საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

არჩილ ნაცვლიშვილი

ქართული დემოკრატიული აზრი რუსეთის პირველი გურჭუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში

(გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მიხედვით)

„მეცნიერება“
თბილისი
1990

63.3(2Г)
Б 374

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ქართული დემოკრატიული აზრის განვითარება რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლებში გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მიხედვით.

აღნიშნული გაზეთები გამოხატავდნენ ქართველი მშრომელი ხალხის — გლეხობის ფართო ფენების ინტერესებსა და მისწრაფებებს.

ნაშრომის მიზანია გააშუქოს საქართველოში წვრილბურჟუაზიულ-გლეხური დემოკრატიის პოზიცია.

მონოგრაფიაში განხილულია „გლეხისა“ და „მიწის“ გამოცემის ისტორია და მათი პრობლემები, კერძოდ, შესწავლილია აგრარული საკითხი და მისი გადაწყვეტის საერთო-დემოკრატიული კონცეფციები, ეროვნული საკითხი, სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა და მასთან დაკავშირებული მოვლენები.

გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ თავიანთი იდეური მიმართულებით, საბრძოლო სულისკვეთების დემოკრატიულ და პროგრესულ ორგანოებს წარმოადგენდნენ.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. გრ. მ ა რ გ ი ა ნ ი

რეცენზენტები: ფილოსოფ. მეცნ. დოქტ. გ. ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი
ისტ. მეცნ. კანდ. ა. ა ს ა თ ი ა ნ ი

Н $\frac{0503020906}{М\ 607\ (06)—90}$ 143—90 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990

ISBN—5—520—00706—3

შესავალი

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დემოკრატიზაციის თანამედროვე ეტაპზე საგანგებო ინტერესს იმსახურებს დემოკრატიისათვის ბრძოლის მდიდარი ტრადიციების კვლევა-ძიება.

დემოკრატიისათვის ბრძოლა ჰუმანური საზოგადოებისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. ამ საზოგადოებისათვის ბრძოლის პროცესში პროლეტარიატსა და გლეხობას გზადაგზა უხდება გადაჭრას დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებიც. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ ქვეყნებს, სადაც ჭარბადაა წარმოდგენილი ბატონყმურ-მემამულური ურთიერთობების გადმონაშთები, სადაც კაპიტალისტური ექსპლუატაცია დამძიმებულია ფეოდალურით და მათი ლიკვიდაცია აქტუალურ საზოგადოებრივ ამოცანას წარმოადგენს.

რუსეთი XX საუკუნის დასაწყისში სწორედ ასეთი ქვეყანა იყო. მიუხედავად იმისა, რომ აქ მრეწველობაში კაპიტალისტური ურთიერთობები განვითარდა, წარმოიშვა მონოპოლიები და ქვეყანა გადავიდა კაპიტალიზმის გარკვეულ სტადიაზე. სოფლის მეურნეობაში და ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ფეოდალიზმის გადმონაშთები — მემამულური მიწათმფლობელობა, დროებითვალდებულება, თვითმპყრობელობა და სხვ. ამიტომ, რუსეთში ჯერ კიდევ გადასაწყვეტი იყო დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები.

გარდა ამისა, მოცემულ პერიოდში რეაქციის გაძლიერებამ დემოკრატიული მოძრაობების წინაშე დამატებითი ამოცანები წარმოშვა. რეაქციასთან ბრძოლა ართულებდა დემოკრატიული მოძრაობის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას.

დემოკრატიული მოძრაობები სხვადასხვაგვარია. ყველა მათგანი არ ისახავს მიზნად იდეალური საზოგადოების დამკვიდრებას. ამის მიუხედავად, ამ მოძრაობებსა და პროლეტარულ რევოლუციას შორის შინაგანი კავშირი არსებობს. დემოკრატიული მოძრაობები არყევენ მოძველებულ ურთიერთობებს, მის წინააღმდეგ ბრძოლაში აბამენ ხალხის ფართო მასებს, ამზადებენ და აადვილებენ დემოკრატიის გამარჯვებას.

XX საუკუნის დამდეგს რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მწიფდება. მართალია, ის კვლავ ფეოდალიზმის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ, ამავე დროს, ანტიიმპერიალისტური ხდება. ასეთ პირობებში მუშათა კლასს შეუძლია იყოს რევოლუციის ბელადი, ჰეგემონი. ყოველივე ეს აახლოებს დემოკრატიულ რევოლუციას სოციალისტურ რევოლუციასთან, საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ პირველი გადაიზარდოს მეორეში.

დემოკრატიისათვის ბრძოლა ხსენებულ ეპოქაში ორგანულადაა დაკავშირებული პროლეტარიატის ბრძოლასთან საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის.

საერთოდემოკრატიული მოძრაობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰუმანური საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვებისათვის, ნიადაგს უმზადებს მას, ბრძოლაში აბამს წვრილბურჟუაზიულ და ნახევრადპროლეტარულ მასებს.

დემოკრატიული გარდაქმნების დაპირისპირება ჰუმანურ საზოგადოებასთან უმართებულოა. თუ რეფორმისტები უარს ამბობენ რევოლუციაზე, „მემარცხენე“ ოპორტუნისტები კი დემოკრატიულ რეფორმებზე, მართებული მიდგომით — რეფორმები უნდა შეფასდნენ ძირეულ რევოლუციურ გარდაქმნათა პერსპექტივასთან კავშირში. მთელ რიგ შემთხვევაში დემოკრატიულ რეფორმებს რევოლუციური შინაარსი გააჩნიათ და მათ შეუძლიათ ჰუმანური საზოგადოებისაკენ გარღამავალ ღონისძიებათა როლის შესრულება. დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლაში ყალიბდება პროგრესული ძალების ფართო კოალიცია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დემოკრატიული მოძრაობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. იგი ძირს უთხრის კოლონიურ სისტემას და ნიადაგს ამზადებს რადიკალური რევოლუციური გარდაქმნებისათვის.

დემოკრატიისათვის ბრძოლა ჰუმანური საზოგადოებისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ის არ ამოწურავს ამ ბრძოლას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდ მნიშვნელობას იძენს დემოკრატიული აზროვნებისა და მოძრაობის შესწავლა 1905—1907 წლების რევოლუციის მსვლელობაში, მით უმეტეს, რომ იმ დროს დემოკრატიული იდეოლოგია ჩვენში ფართო პოპულარობით სარგებლობდა.

დემოკრატიული პრესის ისტორია საქართველოში ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. მისი საწყისები საძიებელია გასული საუკუნის 30-იანი წლების ქართულ ჟურნალისტიკაში, კერძოდ, სოლომონ დოდა-

შვილის ჟურნალში — „ლიტერატურულნი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832 წ.).

დემოკრატიული და რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცა გასული საუკუნის 60-იანმა წლებმა („საქართველოს მოამბე“, „გუთნის დედა“, „დროება“, „სასოფლო გაზეთი“ და სხვ.); 70-იანმა და 80-იანმა წლებმა (ჟურნ. „მნათობი“, „ივერია“, „ობზორი“, „ნოვოე ობოზრენიე“, ხალხოსნური ჟურნალი „იმედი“, გაზეთი „შრომა“ და ა. შ.). ეს ტრადიცია გაღრმავდა XIX საუკუნის 90-იან წლებშიც როგორც დემოკრატიული („ცნობის ფურცელი“, „თეატრი“, „მოამბე“, „აკაკის კრებული“, „საქართველოს კალენდარი“ და სხვ.), ისე სოციალ-დემოკრატიული ორგანოების წყალობით („კვალი“ და ა. შ.).

XX საუკუნის დამდეგი და, მეტადრე, რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლები სხვადასხვა იდეური მიმართულების ბეჭდვითი ორგანოების სიმრავლით გამოირჩევა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საქართველოში ამ პერიოდში მეტ-ნაკლები ინტენსივობით 60-მდე დასახელების ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შედეგად, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობები ორგანიზაციულად იწყებენ ჩამოყალიბებას და არაპროლეტარული პოლიტიკური პარტიები წარმოიქმნებიან.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დემოკრატიული აზროვნება და მოძრაობა არ თმობენ მოწინავე პოზიციებს და განმათავისუფლებელ ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობენ. დემოკრატიული მოძრაობა და იდეები პროგრესულ მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ და იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში დადებით როლს ასრულებდნენ.

თავის დროზე ქართულ ისტორიოგრაფიაში, სამწუხაროდ, თავი იჩინა რევოლუციურ მოძრაობაში „საერთო დემოკრატიისა“ და არაპროლეტარული დემოკრატიული პოლიტიკური მიმდინარეობების როლის ერთგვარმა შეუფასებლობამ, ზოგჯერ სრულმა უგულებელყოფამ, რამაც რთული ისტორიული პროცესის გამარტივებამდე და გაუბრალოებამდე მიგვიყვანა. ასეთი ვითარება შეიქმნა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის ე. წ. „ისტორიული მისიის“ უკიდეგანო იდეალიზაციის შედეგად, რამაც ჩვენი ისტორიული პროცესის გაყალბებამდე მიგვიყვანა. ასეთი პოზიციის გადასინჯვა სკკპ XX ყრილობის (1956) შემდეგ დაიწყო, თუმცა, ჯეროვნად ვერ გაღრმავდა. 1985 წლის აპრილის პლენუმისა და განსაკუთრებით სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის (1988) შემდეგ, საჯაროობისა და დემოკრატიზაციისათვის

ბრძოლის გაძლიერებისდაკვალად, ახალი ეტაპი დაიწყო სამამულო ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, სახელდობრ, ისტორიულ კვლევა-ძიებაში დოგმატიზმის, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის დაძლევაში, რის შედეგადაც ახალი სტიმული ეძლევა ჩვენი ისტორიული პროცესის ღრმამეცნიერულ გაშუქებას და ობიექტურ შეფასებას. ასეთ ვითარებაში აქტუალური ხდება საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზრის არაპროლეტარული დემოკრატიული მიმდინარეობების გაშუქებაც. მოცემული პრობლემის კვლევა მით უფრო უპრიანია, რომ იმდროინდელი საქართველო გლეხური, უპირატესად წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო.

XX საუკუნის დამდეგის ქართული დემოკრატიული აზროვნება მრავალი მიმდინარეობით იყო წარმოდგენილი. მათი ბრძოლა მკაფიოდ აისახა იმდროინდელ პუბლიცისტიკაში. დემოკრატიული პრესა კლასობრივი ბრძოლის, პარტიათა შეჯახების ასპარეზად იქცა. ესა თუ ის იდეური მიმართულება განსაზღვრავდა ამა თუ იმ ორგანოს ადგილსა და როლს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. წარმოიქმნა იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებათა მთელი რიგი მრავალფეროვნება. მათი თეორიული მემკვიდრეობის სარკეა იმდროინდელი ქართული პუბლიცისტიკა.

რაკი ქართული დემოკრატიული აზრი რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს, მიზნად დავისახეთ მისი მონოგრაფიული გაშუქება გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მაგალითზე. ასეთი არჩევანი შემთხვევითი არაა; საქმე ისაა, რომ ამ ორგანოებში ცხადად აისახა თანადროული გლეხური დემოკრატიის იდეები და მისწრაფებები. ჩვენ სპეციალურად განვიხილავთ ამ ორგანოების იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას, ვაფასებთ მათ ისტორიულ მნიშვნელობას.

ამასთან, ვითვალისწინებთ იმ ისტორიული მომენტის თავისებურებებს, როცა აღნიშნული გაზეთები გამოდიოდა (1906 წლის 22 ივნისიდან 1907 წლის 26 მაისამდე)[1].

ჩვენი საკვლევი თემის ირგვლივ სპეციალური მეცნიერული გამოკვლევა არ არსებობს. საკითხის ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ საქართველოში დღემდე უყურადღებოდ რჩებოდა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი, რომლებთან გარკვეულ ურთიერთობაში, კავშირსა თუ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ჩაისახა და განვითარდა. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა წვრილბურჟუაზიული, გლეხური იდეოლოგიის მიმდინარეობათა შესწავლა.

---

1 ამ შემთხვევაში მხედველობაში არ ვიღებთ იმ გარემოებას, რომ გაზეთ „მიწის“ ორი ნომერი 1908 წლის დასაწყისში გამოვიდა.

ცნობილია, რომ 1905—1907 წლების რევოლუციაში ბურჟუაზიას, ცნობილი მიზეზების გამო, არ შეეძლო ეთამაშა ავანგარდის როლი. იგი მოკლებული იყო უნარს ბოლომდე მიეყვანა ეს რევოლუცია და ამიტომ ყოველთვის მზად იყო მცირე დათმობების ფასად შეთანხმებოდა მთავრობას, ხელი აეღო რევოლუციურ ბრძოლაზე. ეს მართლაც ასე მოხდა მეფის (17 ოქტომბრის) მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ.

კიდევ მეტი, ბურჟუაზია არც ამ რევოლუციის ავანგარდის მოკავშირედ გამოდგებოდა. ძალზე მკვეთრი იყო რევოლუციაში მათი ინტერესების დაპირისპირება. პროლეტარიატის ერთადერთი მოკავშირე რევოლუციაში იყო გლეხობა, რომლის ინტერესებსაც ნათლად გამოხატავდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიები.

ამდენად, წვრილბურჟუაზიული, გლეხური დემოკრატიისა და პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის შესწავლა მჭიდროდ უკავშირდება მოკავშირისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიას. რევოლუციური ბრძოლა მასებისათვის, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, რაც წითელ ზოლად გასდევს რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიას, ორგანულად იყო დაკავშირებული სხვადასხვა პარტიებისადმი, მეტადრე წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი და მათი იდეოლოგიისადმი რევოლუციის ავანგარდული ძალების დამოკიდებულებასთან.

ამდენად, საგანგებო ინტერესს იმსახურებს საზოგადოების სხვადასხვა კლასების თუ ფენების მოქმედება რევოლუციის მსვლელობაში. საერთო დემოკრატიის როლის ჯეროვანი დაფასების გარეშე, ცხადია, 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორია ხელოვნურად გაღარიბებული სახით წარმოგვიდგება.

ქართველი ბოლშევიკების მიერ დაშვებულ შეცდომებს შორის ერთ-ერთი უმძიმესთაგანი ის იყო, რომ ისინი არ ითვალისწინებდნენ იმჟამინდელ საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებას, სახელდობრ იმას, რომ საქართველო იყო მეფის რუსეთის მიერ ძალით დაპყრობილი ქვეყანა, რომელიც სოციალურთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდა, რომ ასეთ პირობებში ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ერთად გამოდიოდა ყველა კლასი თუ ფენა, ერი და ბერი. ამის უგულებელყოფით ბოლშევიკები უმართებლოდ უკიჟინებდნენ სოციალისტ-ფედერალისტებს, რომლებიც ჩაგვრელთა წინააღმდეგ მთელი ერის კონსოლიდაციას, ყველა კლასისა თუ ფენის დარაზმვას ქადაგებდნენ და ესწრაფოდნენ. ამგვარი მიდგომით ბოლშევიკები ილაშქრებდნენ ე. წ. სოციალისტ-ფედერალისტთა „საერთო ნიადაგის“ თეორიის წინააღმდეგ, ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ ამ

თეორიას სოციალისტ-ფედერალისტები მჩაგვრელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის სოლიდარულად გამოსვლის იმედით ქადაგებდნენ.

გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების მემარცხენე მიმდინარეობის ორგანოებს წარმოადგენდნენ. ისინი 1905—1907 წლების რევოლუციის პირმშონი არიან, ამ რევოლუციის აქტუალურ საკითხებს ეხმაურებიან (განსაკუთრებით აგრარულს) და კარგად გამოხატავენ საერთო-დემოკრატიული მიმდინარეობის შეხედულებებს რევოლუციის დაღმავლობის პერიოდში. ამ გაზეთების მასალების ანალიზი საქართველოში დემოკრატიული პრესის ისტორიის საინტერესო ფურცელს გადაგვიშლის, გვაჩვენებს წვრილბურჟუაზიული, გლეხური იდეოლოგიის როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს.

მართალია, „გლეხისა“ და „მიწის“ შესახებ სპეციალური გამოკვლევები არ არსებობს, სამაგიეროდ, საკუთრივ სოციალ-ფედერალიზმს და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მრავალი ავტორი შეეხო, თუმცა, რთული ისტორიული პროცესის გამარტივების ჟამს მისადმი ავტორთა დამოკიდებულება თითქმის ერთობ ნეგატიური იყო. ჩვენი პრობლემის კვლევას ართულებს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შემადგენლობის იდეური სიჭრელეც.

ბუნებრივია, გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ იდეური შინაარსის დახასიათება შეუძლებელია, თუ საერთოდ, ზოგადად არ იქნა გათვალისწინებული ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილბურჟუაზიული პარტიის იდეოლოგია, სამოქმედო პროგრამა და პრაქტიკული საქმიანობა, ასევე ის იდეური ბრძოლა, რომელსაც მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან ეწეოდა. ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში 20—30-იან წლებში ჩამოყალიბდა გარკვეული შეხედულება, რომელსაც თავისი დროის ბეჭედი აზის („საერთო-დემოკრატიის“ როლის უგულებელყოფის მაუწყებელია).

საქართველოში როგორც კი აღმოცენდა სოციალისტ-ფედერალისტური იდეური მიმართულება, ქართველმა მარქსისტებმა მაშინვე მეტისმეტად მძაფრი ბრძოლა გაუმართეს მას. ამ მხრივ პირველ რიგ-

ში აღსანიშნავია ალ. წულუკიძის[2], ი. სტალინის[3], ფ. მახარაძისა[4] და სხვ. ნაშრომები.

სოციალისტ-ფედერალისტებს საბჭოთა პერიოდის მკვლევართაგან პირველად შეეხნენ ს. ხუნდაძე და ბრ. გიორგაძე.

ს. ხუნდაძე თავის ნაშრომში — „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში"[5] — მიმოიხილავს XIX საუკუნის 90-იანი წლების შუახანების საქართველოში ახლადაღმოცენებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობას, განიხილავს ქართული სოციალ-ფედერალიზმის იდეოლოგების პუბლიცისტურ მემკვიდრეობას და დაასკვნის, რომ ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" თეორია ორიგინალური მსოფლმხედველობა არ არის, მას ფესვები გადგმული აქვს XIX საუკუნის 90-იანი წლების მრავალ მიმდინარეობებში. ავტორის აზრით, ა. ჯორჯაძემ პირდაპირ გაიმეორა გ. მაიაშვილისა და ი. ფანცხავას ეკონომიკური მოსაზრებანი და სწორედ ეს მოსაზრებანი უნდა ჩაითვალოს ა. ჯორჯაძის ეკონომიკური პროგრამის წინამორბედად. ხოლო ეროვნული, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის პროგრამა ა. ჯორჯაძემ მიიღო გ. ლასხიშვილისაგან. ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ ა. ჯორჯაძემ და საერთოდ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ რუსეთის ნაროდნიკებისაგან მიიღო მიწის „სოციალიზაციის" პროექტი და მისი თეორიულ-სოციოლოგიური საფუძვლები. ს. ხუნდაძის აზრით, ა. ჯორჯაძემ წინამორბედთა ნაზრევს თავი მოუყარა, გამოჰყო ძირითადი და მწყობრ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ იდეოლოგიად ჩამოაყალიბა.

ს. ხუნდაძე ხარკს უხდის იმდროინდელ ვითარებას, ისეთ სიტუაციას, როცა სოციალ-დემოკრატიის იდეალიზაცია და არამარქსისტული პარტიების ყოველმხრივი განქიქება მოდაში იყო, რის გამოც ა. ჯორჯაძის იდეებს სავსებით დაუმსახურებლად უწოდებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურს.

ს. ხუნდაძის აზრით, ხალხოსნური იდეოლოგიის ბაზაზე XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა სამი იდეური მიმართულება:

---

2 ა. წ ე ლ უ კ ი ძ ე, ოცნება და სინამდვილე (კრიტიკული შენიშვნები ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის" გამო), თხზ., თბ., 1967, გვ. 140—180; მ ი ს ი ვ ე, ნაციონალიზმი და სოციალიზმი, იქვე, გვ. 84—94; მ ი ს ი ვ ე, ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები, იქვე, გვ. 347—354.

3 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი? თხზ., ტ. I, გვ. 32—54.

4 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, არჩ. ჯორჯაძის „სოფელი და ქალაქი", თხზ., ტ. VI, 1929, გვ. 71—85; მ ი ს ი ვ ე, ისტორიული მატერიალიზმი, იქვე, გვ. 59—70; მ ი ს ი ვ ე, 1905 წელი საქართველოში (მოხსენება განათლების მუშაკთა სახლში), „კომუნისტი", 1924, № 19.

5 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, II, თბ., 1927.

პირველი მიმართულება იზიარებდა ბურჟუაზიულ შეხედულებებს; „მეორე შეხედულების წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს „ვაზეთ „ივერიის“ გარშემო. ამ მიმართულებამ ლიბერალურ-ნაციონალისტური ხასიათი მიიღო; ხოლო მესამე მიმდინარეობა, ქართულ პუბლიცისტიკაში წვრილბურჟუაზიულმა მიმართულებამ წარმოშვა, რომელსაც სათავეში ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია ედგა. ს. ხუნდაძის აზრით, ამის საფუძველზე, XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელმაც, თავის მხრივ, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროგრამა წამოაყენა. ნაშრომში ს. ხუნდაძე არ ეხება უშუალოდ ამ პარტიის ისტორიას. მის მიზანს წარმოადგენს გამოარკვიოს თუ რა მიიღო და რა უარყო ქართულმა სოციალ-ფედერალიზმმა ხალხსნეობის მემკვიდრეობისაგან. ავტორის აზრით, სოციალ-ფედერალიზმი, როგორც იდეოლოგიით, ასევე თავისი მეთაურების შემადგენლობით ხალხსნობის, მისი იდეოლოგიის თავისებური, სოციალისტური გაგრძელება იყო. მისი ფიქრით, ჩვენში ქართველი ბურჟუაზია, როგორც მოქმედი პოლიტიკური ძალა, არ არსებობდა. ამით საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძლიერ განსხვავდებოდა ევროპისა და რამდენადმე რუსეთის ცხოვრებისაგან. სამაგიეროდ, პოლიტიკურ სარბიელზე ძალზე აქტიურად, რადიკალურად გამოვიდა წვრილი ბურჟუაზია, რომელიც დაინტერესდა ახალი ეკონომიკური წყობილების, კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარებით.

1920-იან წლებში, რაპპული შეხედულებებისა და ვულგარულ-სოციოლოგიური სქემების ბატონობის პერიოდში არახელსაყრელი იდეური ატმოსფერო არსებობდა და გასაკვირი არაა, რომ ს. ხუნდაძემ ვერ მოახერხა ვერც 60-იანი და ვერც 70—80-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა ჯეროვანი სიზუსტით შეფასება. აქ გამონაკლისს არც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არასწორი შეფასება წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ს. ხუნდაძის გამოკვლევა პირველი ნაშრომი იყო, რომელიც ერთგვარ წარმოდგენას უქმნიდა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

გრ. გიორგაძის ნაშრომში — „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864—1905“[6] — შესრულებულია მდიდარი დოკუმენტური მასალის გამოყენებით. ავტორი მიმოიხილავს აღნიშნული პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობ-

---

6 გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864—1905, თბ., 1928.

ბებს, მოკლედ გადმოგვცემს ქართული სოციალ-ფედერალისტური მიმდინარეობის რაობას, გვიხასიათებს XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების იდეურ მიმართულებას. ავტორი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსებას უკავშირებს „ივერიის“ ფრონტის დაშლას და ახალი საზოგადოებრივი ძალის ჩამოყალიბებას, რომელიც, მისი აზრით, ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამომხატველი იყო. აქვე გრ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგობა შემდგომში ეროვნულ-დემოკრატების პარტიამ ითავა. ავტორი ამჩნევს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებში სხვადასხვა იდეურ მიმდინარეობას, თუმცა ყველა მათგანს შეცდომით განიხილავს როგორც ერთიან ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობას. ვფიქრობთ, გრ. გიორგაძის ნაშრომში დაშვებული შეცდომების სათავე ზოგიერთი სოციალ-დემოკრატის, მათ შორის ფ. მახარაძისა და მისი მოწაფეების შეხედულებებში უნდა ვეძიოთ.

1932 წელს გამოვიდა ფ. მახარაძის ნაშრომი „1905 წლის რევოლუცია ამიერკავკასიაში“[7], რომელშიც ავტორმა მიმოიხილა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში საქართველოში არსებული არაპროლეტარული პარტიები, ხაზგასმით აღნიშნა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სიჭრელე, მაგრამ, იმ სწორხაზობრივ დასკვნამდე მივიდა, რომ თითქოსდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამაში არაფერი იყო სოციალისტური და რევოლუციური და ამ პარტიას არავითარი გავლენა არ ჰქონდა მშრომელთა რევოლუციურ მასებში. ავტორის მცდარი აზრით, ეს იყო წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, თავადაზნაურულ-კლერიკალური პარტია. აქ საქმე გვაქვს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გარკვეული დამსახურების ხელაღებით უარყოფასთან, იმის გაუთვალისწინებლობასთან, რომ ბოლშევიკების ტაქტიკა სოციალისტ-ფედერალისტებთან დამოკიდებულებაში, რაც მძაფრ და შეუბრალებელ კრიტიკაში ვლინდებოდა, არ გამორიცხავდა ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში სოციალისტ-ფედერალისტებთან დროებით, გარკვეულ შეთანხმებულ საქმიანობას. ამით აიხსნება ინტერპარტიული კომიტეტის შექმნა 1905 წლის ოქტომბერში, საერთო გაფიცვის ბიუროს არჩევა საყოველთაო აჯანყების მოსაწყობად და სხვ. ამდენად, ფ. მახარაძის ნაშრომი, ჩვენი აზრით, უკან გადადგმული ნაბიჯია ს. ხუნდაძის ნაშრომთან შედარებით.

---

[7] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წლის რევოლუცია ამიერკავკასიაში (მეორე შევსებული გამოცემა), თბ., 1932.

გ. ხაჭაპურიძის წიგნში — „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“[8] — მოკლედაა მიმოხილული ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მოღვაწეობა რევოლუციაში და გაკეთებულია დასკვნა, რომ ეს იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების გაერთიანებით. გ. ხაჭაპურიძის აზრით, სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერი ა. ჯორჯაძე კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მეხოტბე იყო, რადგან პრესაში იცავდა ერის „საერთო ნიადაგის“ და კლასობრივი შშვიდობის თეორიას. ამდენად, გ. ხაჭაპურიძე დამახინჯებულად წარმოგვიდგენს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის რაობას და მისი ლიდერის შეხედულებებს.

„საქართველოს ისტორიის“[9] დამხმარე სახელმძღვანელოში მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაშუქებული 60-იანელების ქართველ რევოლუციონერ დემოკრატთა მოღვაწეობა, ახლებურადაა გააზრებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ეტაპები (ავტორი პ. რატიანი). ამ ნაშრომში მოკლედაა შეფასებული ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (ავტორი ი. კიკვიძე). მკვლევრის მართებული აზრით, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანებული იყო სხვადასხვა პარტია და მიმდინარეობა. მისი არასწორი დასკვნით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იყო ნაციონალისტური, რომელიც აერთიანებდა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ ინტელიგენციას და მთლიანობაში ეს პარტია ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის კლასობრივ ინტერესებს იცავდა.

ლ. გორგილაძის ნაშრომში — „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“[10] — გაშუქებულია XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები. მისი ნაშრომის მეორე ნაწილში[11], სხვა საკითხებთან ერთად საუბარია საქართველოში „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის“ წარმოშობასა და ქართველი მარქსისტების იდეურ ბრძოლაზე მათ წინააღმდეგ. ფაქტობრივი მასალებისადმი არც თუ ისე ობიექტური მიდგომით, ავტორი განიხილავს ქართულ პუბლიცისტიკაში მიმდინარე იდეური ბრძოლის სხვადასხვა საკითხებს და, რაც მთავარია, არაპროლეტარულ პარტიებს „ნაციონალისტურად“ ნათლავს.

---

8 გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955.

9 საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით), ტ. II, თბ., 1962.

10 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961.

11 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1963.

უფრო ადრე გამოვიდა ლ. გორგილაძის წიგნი — „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში"[12]. ავტორის აზრით, ქართული სოციალ-ფედერალიზმი სხვადასხვა მიმდინარეობის სინთეზს წარმოადგენს, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანდნენ მარქსიზმისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ავტორი ამ პარტიას კვლავ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურს უწოდებს, რომლის ფრაზეოლოგიის მიღმა, მისი აზრით, ქართული ნაციონალისტური ბურჟუაზიის თავგამოდებული დაცვა იგულისხმებოდა.

ამგვარი დასკვნების უსაფუძვლობას, ჩვენი დაკვირვებით, თითქოსღა თვითონ ავტორიც გრძნობს, როცა წერს, რომ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია არაპროლეტარული მიმდინარეობების ისტორიის შესწავლაც. მთავარი კი ის არის, რომ ზემოხსენებული შეფასებები სხვა არაფერია თუ არა ისტორიული პროცესის კონიუნქტურული ინტერპრეტაციის გამოვლინება.

ი. კაჭარავა ნაშრომში — „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები"[13] — აშუქებს საქართველოში მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩასახვისა და განვითარების პროცესს. ავტორი განიხილავს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა იდეურ მიმართულებებს. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საქართველოში მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩასახვა-განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნა თერგდალეულთა სოციოლოგიურმა და ისტორიულმა შეხედულებებმა, რომლებიც რევოლუციურ დემოკრატიზმზე იყო დაფუძნებული. ამასთან, ავტორის აზრით, არსებობდა მტრული იდეური გარემოც, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის 80—90-იან წლებში, როდესაც ყალიბდებოდა ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგია.

ნაშრომში ი. კაჭარავა აშუქებს ქართული სოციალ-ფედერალიზმის არსს. მისი აზრით, სოციალისტ-ფედერალისტების იდეური ბელადი ა. ჯორჯაძე ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მედროშე იყო საქართველოში და მისი „საერთო ნიადაგის" თეორიის წამოყენება, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების მიღწევა (ეროვნული ავტონომია) თვითმპყრობელური რუსეთის სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში, სოციალური და ეროვნული ამოცანების ერთმანეთისაგან მოწყვეტა, უკან გადაგმული ნაბიჯი იყო და ნაციონალისტური ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა. ამასთანავე, ავტორი ქართულ სოციალ-ფედერალიზმში მიგვანიშნებს იმ „საერთოდემოკრატიულ

---

12 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1956.
13 ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962.

ელემენტზე“, რომელიც დამახასიათებელი იყო კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ერის ბურჟუაზიის იდეოლოგებისათვის.

როგორც ვხედავთ, აქაც საქმე გვაქვს ხსენებული პოლიტიკური პარტიის არაობიექტურ შეფასებასთან.

ი. მირცხულავას მონოგრაფიაში — „აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ“[14] — შესწავლილია საქართველოს წვრილბურჟუაზიული პარტიების აგრარული პროგრამები. ავტორი ცდილობს გაარკვიოს საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საკითხები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აგრარული პროგრამის განხილვას. ავტორი მართებულად თვლის, რომ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები აგრარულ საკითხში იზიარებდნენ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის აგრარულ პროგრამას („მიწის სოციალიზაციას“). ი. მირცხულავა აკრიტიკებს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ლიდერების, მათ შორის ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიას. ავტორი თვლის, რომ სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნული მოთხოვნები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულებისაა. რა თქმა უნდა, არც ამ თვალსაზრისის გაზიარება შეიძლება.

ლ. ებანოიძის ნაშრომში „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში“[15], გაშუქებულია სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ იდეური ბრძოლის მრავალი საკითხი. ნაშრომში არაპროლეტარული მიმდინარეობები შეცდომით შეფასებულია როგორც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური. აქ ნაგულისხმები არიან ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები.

ამ შეხედულებას იმეორებს გ. ქვანია ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში“[16]. ავტორი სოციალისტ-ფედერალისტებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულების პარტიად თვლის.

ქართველი ბოლშევიკების მიერ ლენინური ეროვნული პროგრამის დაცვას შეეხება ერ. ახობაძის წიგნი „ეროვნული საკითხის ის-

---

14 ი. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., თბ., 1964.

15 ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბ., 1955.

16 გ. ქ ვ ა ნ ი ა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში (მეორე გამოცემა), თბ., 1973 (რუსულ ენაზე).

ტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.)"[17]. ავტორი განიხილავს ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" თეორიას. მისი აზრით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, ხოლო მათი ლიდერების თეორიული მემკვიდრეობა მხოლოდ ნაციონალისტური ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი. ასე რომ, ერ. ახობაძე მოცემულ საკითხებზე იმეორებს წინამორბედ ავტორთა არასწორ მოსაზრებას.

აღსანიშნავია ვ. გაგოიძის ნაშრომი „ნარკვევები ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში"[18]. ჩვენთვის საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ავტორი არკვევს XIX საუკუნის 90-იანი წლებისა და XX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების ფილოსოფიურ საფუძველს. ავტორი თვლის, რომ წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ფილოსოფიის საწყისად ითვლება სუბიექტური იდეალიზმი პოზიტივიზმისა და ნეოკანტიანელობის სახით. ვ. გაგოიძის აზრით, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ სუბიექტური იდეალიზმისა და მეტაფიზიკის პოზიციებიდან გამოდიოდნენ.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ეროვნულ პლატფორმას განიხილავს ა. მუჯირი სადოქტორო დისერტაციაში „პოლიტიკური პარტიები და ეროვნული საკითხი ამიერკავკასიაში ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში"[19]. აქ წარმოდგენილია პარაგრაფი: „წვრილბურჟუაზიული პარტიები და ეროვნული საკითხი ამიერკავკასიაში", სადაც ავტორი მიმოიხილავს ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორიას. მისი აზრით, პარტია იყო მრავალი მიმდინარეობის სინთეზი, რომლებსაც აერთიანებდა ნაციონალისტური იდეოლოგია და სოციალისტური ფრაზეოლოგიის ალმით ფაქტიურად იცავდნენ ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის, უპირატესად წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს. ამით იგი თავის დაცვას ცდილობდა რუსი და სხვა ეროვნების ბურჟუაზიის მოძალებისაგან. მისი სიტყვით, ქართულ სოციალ-ფედერალიზმში არაფერი იყო მარქსისტული სოციალიზმისა. ისინი ფაქტიურად იცავდნენ ახალგაზრდა ბურჟუაზიისა და გაღარიბებული თავად-აზნაურობის ინტერესებს, აშკარად გამოხატავდნენ შეძლებული კლასების რეაქციულ და ნაციონალისტურ მისწრაფებებს.

---

17 ერ. ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში 1900—1917 წწ., თბ., 1965.

18 ვ. გაგოიძე, ნარკვევები ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1971.

19 ა. მუჯირის სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1969 (რუსულ ენაზე).

როგორც ვხედავთ, ა. მუჯირი უკიდურესად უარყოფითად ახასიათებს სოციალისტ-ფედერალისტებს, რითაც წინამორბედ ავტორთა შეცდომებს აღრძავებს.

ეს ახრი ა. მუჯირმა 1969 წელს გამოთქვა. ამჟამად მან დიამეტრალურად შეიცვალა პოზიცია. გაზეთ „კომუნისტში"[20] გამოქვეყნებულ წერილში იგი აღნიშნავს: „ზოგიერთი თანადროული ქართველი მარქსისტი ისე გაიტაცა „საერთო ნიადაგის" თეორიის კრიტიკამ, რომ ჯეროვნად ვერ შეაფასა ეროვნული საკითხის მნიშვნელობა 1905—1907 წლების „რევოლუციურ მოძრაობაში და მარტო სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის უპირატესობის ზოგადი დებულების ჩვენებით შემოიფარგლა". ავტორის აზრით, „ა. ჯორჯაძე აღიარებდა წვრილბურჟუაზიულ, გლეხურ სოციალიზმს და მის იდეოლოგად გვევლინებოდა". ა. მუჯირის მტკიცებით XIX საუკუნის 90-იანი წლებისა და XX საუკუნის დასაწყისის „რევოლუციური დემოკრატიზმი განსახიერებული ეროვნული ფორმით გამოვლინდა სწორედ ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" თეორიაში, რომელიც ზოგიერთი უტოპიურობის მიუხედავად, ეროვნული დემოკრატიის რადიკალურად განწყობილი ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავდა და დემოკრატიული გარდაქმნისათვის ბრძოლის ეტაპზე პროგრესულ, რევოლუციურ როლს ასრულებდა. ავტორის განცხადებით XX საუკუნის დასაწყისში დემოკრატიული (გლეხური) ბურჟუაზიის ინტერესებს განასახიერებდნენ სწორედ ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი და მათი თანამოაზრენი.

საქართველოს ისტორიის ნარკვევებში (მრავალტომეული) ერთ-ერთი პარაგრაფის („ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1905—1907 წწ.")[21] ავტორმა მ. გაფრინდაშვილმა დაახასიათა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების იდეები, მიმოიხილა მათი პრაქტიკული საქმიანობა. ავტორის აზრით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რუსეთის ბურჟუაზიულ პარტიებთან შედარებით, 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში არსებითად ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის რადიკალურ მისწრაფებებს გამოხატავდა.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორიის კრიტიკულ შესწავლაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის გ. ჯანგველაძის მონოგრაფიას[22]. მკვლევარმა საფუძვლიანად განიხილა ის საკითხები, რომელთა გარშემო წარმოებდა მძაფრი იდეური ბრძო-

---

20 გაზ. „კომუნისტი", 1988, 13 ნოემბერი, № 262.

21 საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1900—1921), თბ., 1972, ტ. VI, თავი III, § 4.

22 გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.), თბ., 1974.

ლა ქართველ ბოლშევიკებს, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს შორის. ნაშრომში განხილულია და გაანალიზებული ამ ბრძოლის მიმდინარეობა. ავტორის აზრით, თუ ესერებისა და მენშევიკების ევოლუცია ბურჟუაზიასთან შეთანხმებიდან მათთან ერთად კონტრრევოლუციური შეთქმულებისაკენ მიდიოდა, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის საგრძნობი ნაწილის ევოლუცია მარცხნივ მიდიოდა. გ. ჯანგველაძის აზრით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია იყო წვრილბურჟუაზიული მიმართულების მიმდინარეობა.

ა. სურგულაძის წიგნში[23] განხილულია ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის საქმიანობა. ნაშრომში კარგადაა გადმოცემული ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის იდეები და პრაქტიკული საქმიანობა. ავტორის აზრით, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების ძირითად ბირთვს შეადგენა წვრილბურჟუაზიული მიმართულების ინტელიგენტები, რომლებიც არსებული რეჟიმისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი და თავიანთ მოწოდებას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდნენ. ისინი ესწრაფოდნენ ქვეყნის დემოკრატიულ გადახალისებას, თავს სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევრებად თვლიდნენ, მაგრამ ეს იყო წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, რომელიც სოციალიზმის მარქსისტული მოძღვრებისაგან ძალზე განსხვავდებოდა. ავტორი მართებულად წერს, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალ-ფედერალისტები წინა პლანზე ეროვნულ მოთხოვნებს აყენებდნენ.

ა. ბენდიანიშვილის ნაშრომში[24] ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ამ შესანიშნავი წიგნის მეოთხე თავი — „საქართველოს ავტონომიის პრობლემა და პოლიტიკური პარტიები XX ს. დამდეგს“, სადაც დახასიათებულია ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნული მოთხოვნები, კერძოდ ფართო პოლიტიკური ავტონომიის საკითხი. ავტორის აზრით, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნულ საკითხში საერთო-დემოკრატიულ პლატფორმაზე იდგნენ. მათი მისწრაფებები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ამოცანებს არ სცილდებოდა და ავტონომიის მოთხოვნას ამ ამოცანების გადაწყვეტის საჭიროებით ხსნიდნენ. ა. ბენდიანიშვილის შეხედულებით, სოციალ-დემოკრატები უფრო შორს იხედებოდნენ, კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპზე

---

23 ა. სურგულაძე, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში, თბ., 1986; მისივე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980.

24 ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წწ., თბ., 1980.

იდგნენ და ყოველ მოვლენას პროლეტარიატის ინტერესების თვალთახედვით ზომავდნენ. ეროვნულ საკითხში სოციალისტ-ფედერალისტები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ქართველ ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატებს. ავტორის აზრით, ეროვნული საკითხის ირგვლივ ბოლშევიკებთან კამათში სოციალისტ-ფედერალისტები ბევრ საერთოს პოულობდნენ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან, ხშირად რევიზიონისტებს ეყრდნობოდნენ და თავს ევროპული სოციალიზმის მიმდევრებად აცხადებდნენ.

გ. ლობჟანიძის საკანდიდატო ნაშრომში[25] შესწავლილია ა. ჯორჯაძის სამართლებრივი შეხედულებები. ნაშრომის მეორე თავში ავტორი მიმოიხილავს ა. ჯორჯაძის მსოფლმხედველობას, რომელსაც წინააღმდეგობრივს და ეკლექტიკურს უწოდებს. ნაშრომის ავტორის მოსაზრებით ა. ჯორჯაძე ხან ბურჟუაზიის იდეოლოგია, ხან წვრილი ბურჟუაზიისა. ავტორი მაშინაც ცდება, როცა აცხადებს, რომ ა. ჯორჯაძე თავის მსოფლმხედველობას გვამცნობს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს დ. შველიძის საკანდიდატო ნაშრომი[26], რომელშიც შეინიშნება მთელი რიგი სიახლეები. მასში დახასიათებულია აღნიშნული იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობის განვითარება, რასაც შედეგად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აღმოცენება მოჰყვა. გამოკვლევაში გამოყოფილია გარკვეული პერიოდები ფედერალიზმის განვითარებაში და ცალ-ცალკეა დახასიათებული. ავტორი ცდილობს გვიჩვენოს სოციალიზმ-ფედერალიზმის გენეტიკური კავშირი XIX საუკუნის 90-იანი წლების წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან. ავტორი ეთანხმება ა. წულუკიძის აზრს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ა. ჯორჯაძემ მხოლოდ თავი მოუყარა წინარე ხანის ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ იდეებს და არაფერი მოგვცა ახალი წინამორბედებთან შედარებით. დ. შველიძე ავითარებს ფ. მახარაძის შეხედულებას ქართველ სოციალის-ფედერალისტთა პარტიის ბლოკისტური ხასიათის შესახებ, რომლებსაც აერთიანებდა ერთიანი შეხედულება ეროვნულ საკითხში. და ბოლოს, დ. შველიძის ნაშრომში ახალია ის აზრი, რომ ბოლშევიკების კრიტიკის ზეგავლენით ფედერალისტთა ერთი ნაწილი მარცხნივ გადაიხარა და გარკვეული როლი შეასრულა 1905—1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში.

---

25 გ. ლობჟანიძე, არჩილ ჯორჯაძე მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის და მე-XX საუკუნის დასაწყისის ქართული სოციალ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების მკვლევარი, ავტორეფერატი, თბ., 1987.

26 დ. შველიძე, ქართველი ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის წინააღმდეგ (1895—1907 წწ.), ავტორეფერატი, თბ., 1981; გამოვიყენეთ სადისერტაციო ნაშრომიც.

დ. შველიძე სათანადოდ არ ითვალისწინებს აღნიშნული ეპოქის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, იმ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც აღმოცენდა საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზრის სოციალისტ-ფედერალისტური მიმღინარეობა.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაზე, სხვადასხვა საკითხთან მჭიდრო კავშირში, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს: უ. სიდამონიძემ[27], ვ. ესაიაშვილმა[28], ი. ხუციშვილმა[29], ვლ. მაჭავარიანმა[30], გ. მეგრელიშვილმა[31], გ. ზაქარიაძემ[32], ვ. საბახტარაშვილმა[33], ი. მელქაძემ[34], ფ. ნადიბაიძემ[35], ფ. ლომაშვილმა და ზ. გეგეშიძემ[36], გ. ჯამბურიამ[37] და სხვ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებლადაა შესწავლილი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების (მიმდინარეობათა) ისტორია. მრავალი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ამ პრობლემასთან საერთოდ, დღემდე დასმულიც კი არ არის. ჯერ კიდევ არაა დაძლეული არაპროლეტარული პარტიებისადმი სუბიექტური და ანტიისტორიული მიდგომა, არაპროლეტარული პარტიები განხილულია როგორც ერთიანი და უცვლელი პო-

---

27 უ. სიდამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917), წიგნში — ქართული ისტორიოგრაფია, ტ. I, თბ., 1968.

28 ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924 წწ.), თბ., 1959.

29 ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955; მისივე, 1905 წელი ქალაქ გორში (თ. ს. უ. შრომები, ტ. XXXV, 1949).

30 ვლ. მაჭავარიანი, მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პროგრამის გამომუშავების ისტორიიდან, თბ., 1960.

31 გ. მეგრელიშვილი, ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, ტ. I (რუსულ ენაზე), თბ., 1960.

32 გ. ზაქარიაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ლენინური ეტაპი, თბ., 1974.

33 ვ. საბახტარაშვილი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905—1907 წწ., თბ., 1959.

34 ი. მელქაძე, საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი 1905—1907 წლების რევოლუციაში (იხ. სპეციალური კრებული: „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბ., 1955); მისივე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960.

35 ფ. ნადიბაიძე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900—1921, თბ., 1980.

36 ფ. ლომაშვილი, ზ. გეგეშიძე, მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება საქართველოში (1892—1904), თბ., 1986.

37 გ. ჯამბურია, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში, თბ., 1957.

ლიტიკური მიმდინარეობანი, არ არის სათანადოდ გაშუქებული და შესწავლილი წვრილბურჟუაზიული პარტიების ევოლუცია. არადა, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების, მენშევიკების, ესერების, ანარქისტებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების მილმა ხომ ნამდვილად საერთოდემოკრატიული მასები დგას, პროლეტარიატის მოკავშირე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. სწორედ ხალხის მასების სხვადასხვა ფენების შეხედულებებს თავისებურად ქადაგებდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიების დემოკრატიულად განწყობილი ინტელიგენტი იდეოლოგები. საერთოდემოკრატიული მოძრაობის ისტორია ჩვენში შეუსწავლელია. მრავალი მეცნიერული ნაშრომი დღესაც ინერციით გამოდის ხავსმორეული შეხედულებების განმეორებით.

მოტანილი ისტორიოგრაფიული მიმოხილვიდან ჩანს, რომ სოციალისტ-ფედერალისტებზე 1980-იან წლებამდე გამოთქმული მოსაზრებანი მეტწილად არ შეესაბამებიან სინამდვილეს, ქართულმა ისტორიულ?ა მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა საზღვრის ზუსტად გავლება ეროვნულ მოძრაობასა და ნაციონალიზმს შორის, ანდა, დამპყრობი ერის ბურჟუაზიის ნაციონალიზმსა და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი დაპყრობილი ერის „ნაციონალიზმს“ შორის[38].

გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ კვლევის პროცესში ვეყრდნობოდით აგრეთვე თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევებს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ისტორიის გაშუქებაში, რასაც არაერთი სოლიდური გამოკვლევა მიეძღვნა[39].

ქართული დემოკრატიული პრესის ორგანოები გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ მდიდარ მასალას შეიცავენ განსაკუთრებით აგრარული ურთიერთობის ასევე, სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხების ახლებურად გაშუქებისათვის. ამის გათვალისწინებით განისაზღვრა წი-

---

38 ბ. რატიანი — „ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე“, ტ. I, თბ., 1976.

39 „Непролетарские партии России“. Урок истории (М., 1984); Е. В. Иллерицкая. „Аграрный вопрос: провал аграрных программ и политики непролетарских партий в России“ (М., 1981); С. П. Трапезников. „Ленинизм и аграрно-крестьянский вопрос“, т. 1 (М., 1967); В. В. Шелохаев. „Кадеты— главная партия либеральной буржуазии в борьбе с революцией 1905—1907 гг“ (М., 1983); Т. Ю. Бурмистрова, В. С. Гусакова. «Национальный вопрос в программах и тактике политических партий в России 1905—1907 гг“. (М., 1976); К. В. Гусев, В. А. Полушкина. „Стратегия и тактика большевиков в отношении непролетарских партий“ (М., 1983).

ნამდებარე ნაშრომის მიზანმიმართულება, სახელდობრ შევეცადეთ, რამდენადაც შეიძლებოდა, რელიეფურად გაგვეშუქებინა ხსენებული დემოკრატიული ორგანოების ჩამოყალიბება და პუბლიკაციები, დაგვეხასიათებინა მათი აგრარული პროგრამა და კონცეფცია, ეროვნული პლატფორმა, სოციალიზმისათვის ბრძოლის იდეების პროპაგანდა.

პრობლემის დამუშავების ძირითად წყაროს წარმოადგენს განსახილველ გაზეთებში გამოქვეყნებული მრავალფეროვანი მასალა. აღნიშნული გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა წვრილბურჟუაზიულ-გლეხური დემოკრატიის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენლის წერილები, რომლებშიც ასახულია ქართველი გლეხობის სულისკვეთება და მისწრაფებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. ფირცხალავას, მ. ჯავახიშვილის, დ. ნახუცრიშვილის, ი. გვარამაძისა და სხვათა წერილები. გაზეთებში ქვეყნდებოდა ცნობილი ქართველი მწერლების — ვაჟა-ფშაველას, ი. ევდოშვილის, თ. რაზიკაშვილის, შ. მღვიმელის, დ. მეგრელის, ნ. ზომლეთელის, ს. შანშიაშვილის, დ. თომაშვილის, ვ. რუხაძის, ბ. ახოსპირელის, ი. ეკალაძის (ი. ცინცაძე) ს. გუნცაძის (ს. მგალობლიშვილი), გ. შინატეხელის და სხვათა ლექსები, ფელეტონები, მოთხრობები, წერილები. გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გლეხების მიერ გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც ვხვდებით მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველ საყურადღებო ფაქტებსა და მონაცემებს.

გაზეთებში გამოქვეყნებულ კორესპონდენციებში ძირითადად გაშუქებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები: მუშათა და გლეხთა მდგომარეობა, მათი კავშირურთიერთობა, აგრარული მოძრაობა, რევოლუციისადმი, ასევე სახელმწიფო სათათბიროსადმი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე მიმდინარეობის დამოკიდებულება და ა. შ. არაერთი სტატია ეხება ეროვნულ საკითხს, კერძოდ, ქართული გლეხური დემოკრატიის ეროვნულ პლატფორმას.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივის ფონდებში დაცული მასალები. ასეთებია: „თბილისის გუბერნატორის ცანცელარიის“, „თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს“. „თბილისის ბეჭდვითი საქმის კომიტეტის“ და სხვა ფონდების მასალები, რომლებიც ახალ შუქს ჰფენენ ჩვენთვის საინტერესო ბეჭდვითი ორგანოების დაარსებას, მათ გარშემო მიმდინარე მიმოწერას, ამ ორგანოების მთელ საქმიანობას სუსხიანი ცენზურის პირობებში.

ნაშრომში გამოყენებულია ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერების, პირველ რიგში ა. ჯორჯაძის[40], გ. ლასხიშვილის[41], გ. მაიაშვილის[42], ს. ფირცხალავას[43] შრომები, ასევე სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების ისეთი გაზეთების მასალები, როგორიცაა „ცნობის ფურცელი", „საქართველო", „შრომა", „ისარი", „ამირანი", „პატარა გაზეთი", „სახალხო გაზეთი", „სახალხო ფურცელი", „სახალხო საქმე" და სხვ. ნაშრომში გამოყენებულია ბოლშევიკური პრესის ორგანოებისა და სხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთების მასალებიც. გამოვიყენეთ აგრეთვე გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმსა და ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული საარქივო დოკუმენტები.

ამ მასალის ანალიზი ცხადყოფს ქართული წერილბურჟუაზიული, გლეხური დემოკრატიის პოზიციას და როლს რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდის მასობრივ მოძრაობაში, ნათელყოფს ამ მიმდინარეობის სუსტ და ძლიერ მხარეებს, მის რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათს.

---

40 ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, წიგ. I — ეროვნული პრობლემების გარშემო (პოლემიკური წერილები), 1911; წიგ. 2 — ჩვენი საზოგადოება, 1911; წიგ. 3 — ნააზრევი, ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია, 1911; წიგ. 4 — წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წწ. 1911; წიგ. 5 — მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. 1911 წლის საქალაქო არჩევნების გამო და სხვ., 1914.

41 გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, თბ., 1934; აგრეთვე მხედველობაში გვაქვს გ. ლასხიშვილის ყველა სტატია „ივერიაში", „Новое обозрение"-ში, „მოამბეში", „ცნობის ფურცელში" და ა. შ.

42 გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი (ზდანოვიჩი), რჩეული ნაწერები, ტ. I, 1877—1891, თბ., 1967; ტ. II, 1892—1916, თბ., 1968.

43 ს. ფ ი რ ცხ ა ლ ა ვ ა, ეროვნება და ეროვნული თავისუფლება, თბ., 1918; მ ი ს ი ვ ე, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი", 1971, № 6.

თავი I

დემოკრატიული პრესის ორგანოები — „ბლეხი“ და „მიწა“

1. ეპოქის დახასიათება

რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის ეროვნულ ისტორიაში. მასში გამოვლინდა ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია და რევოლუციური სულისკვეთება, უნარი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის დაუცხრომელი ბრძოლისა.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ რუსეთში მძვინვარებდა თვითმპყრობელობის სისხლიანი რეპრესიები. ნათელი გახდა, რომ თავისუფლების მოპოვება შეუძლებელი იყო დიდი ბრძოლისა და მსხვერპლის გარეშე. მშრომელი მასები უკან იხევდნენ, მაგრამ ბრძოლას არ წყვეტდნენ. ცარიზმი ბობოქრობდა. ქვეყანას მოედვნენ დამსჯელი რაზმები, საველე სასამართლოები, შავრაზმელები. ისინი არბევდნენ მუშათა პროფკავშირებს, დეპუტატთა საბჭოებს, საგლეხო კომიტეტებს (სოფლად).

სუსხიანი რეაქცია მძვინვარებდა რუსეთის განაპირა რაიონებში, მათ შორის კავკასიაში — ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. აქ მოქმედებდნენ 15 ქვეითი, 8 საკავალერიო და კაზაკთა პოლკი, 11 საარტილერიო ბატარეა, მეტყვიამფრქვეველთა 3 ასეული და 8 ცალკე ბატალიონი, რომლებსაც ეხმარებოდა 3000-ზე მეტი პოლიციელი, თავადაზნაურობის შავი რაზმები და „პატრიოტული“ საზოგადოების ნაძირალა ბანდიტური ელემენტები[1].

საქართველოში სამხედრო წესები გამოცხადდა. აქტიურად მოქმედებდა ჯერ კიდევ 1905 წელს შექმნილი შავრაზმული ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ხუცესი გოროდცოვი ედგა. მოსახლეობის აწიოკებაში მონაწილეობას იღებდა 700 კაციანი „თავადაზნაურთა დრუჟინა“, რომელსაც თავადები ამილახვარი და აბდუშელიშვილი მეთაურობდნენ.

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 263.

ყოველივე ამის მიუხედავად, 1906 წელს, „სისხლიანი კვირის“ წლისთავზე, გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, თელავში და სხვაგან. დიდი გაფიცვა მოეწყო რკინიგზაზე. გაზაფხულზე და ზაფხულში გაფიცვები მოედო თბილისის წვრილ სახელოსნოებს, ნოქრებს, მუშებს. 1906 წლის აპრილის შუა რიცხვებში ჟანდარმერიამ გაანადგურა ავლაბრის არალეგალური სტამბა. მაისის პირველ ნახევარში გაფიცული იყვნენ სტამბების, თამბაქოს ფაბრიკების, დეპოსა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები. გაიფიცნენ ჭიათურის მუშებიც, შემდეგ საპნის, ტყავის დამმუშავებელი ფაბრიკის მუშები. დიდი გაფიცვა მოხდა ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკაში. გაიფიცნენ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მუშები და მეზღვაურები.

1906 წელს შესამჩნევი გახდა რევოლუციური მოძრაობა ჯარში. გამართა ჯარისკაცთა მიტინგები. თბილისში და ბათუმში დაიწყო ჯარისკაცთა შეირაღებული გამოსვლები. 1906 წლის თებერვალში დიდ მღელვარებას ჰქონდა ადგილი თელავში მდგარ ბატალიონში. 26 მარტს თბილისში „მინგრელსკის პოლკი“ აჯანყდა. ივნისში აჯანყება მოედო ბათუმის გარნიზონის ნაწილებს. ივნისშივე მღელვარებებს ჰქონდა ადგილი თბილისში, აგრეთვე დაბა კოჯორში (კაზაკებს შორის).

მუშათა გაფიცვები გრძელდებოდა. ივნისში გაფიცულნი იყვნენ თბილისის ტრამვაის, ჭიათურის მაღაროების, ბათუმის, თელავის, ხაშურის, სურამისა და სხვა ქალაქების მუშები. 1906 წლის 22 ივნისს თბილისის მუშათა კლასმა დიდი პოლიტიკური გაფიცვა მოაწყო. ეს იყო სოლიდარობის გამოსვლა, იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობა აპირებდა დაეხვრიტა 27 ჯარისკაცი, რომლებიც აქტიურობდნენ „მინგრელსკის პოლკის“ აჯანყების დროს. ამ გაფიცვას მხარი დაუჭირეს თბილისის გარნიზონის ზოგიერთმა ნაწილმა, ხაშურში მდგომმა რკინიგზის ბატალიონის ჯარისკაცებმა, სხვა საწარმოთა მშრომელებმა და მთავრობა იძულებული გახდა შეემსუბუქებინა ჯარისკაცებისათვის გამიზნული სასჯელი. 24 ივნისს განმეორებით მოეწყო რკინიგზელთა გაფიცვა.

1906 წლის ივნისში ალ. წულუკიძის გარდაცვალების წლისთავზე საქართველოს მუშათა კლასმა დაბა-ქალაქებში პანაშვიდები და სამგლოვიარო მიტინგები მოაწყო[2].

მთავრობა დღითიდღე აძლიერებდა რეპრესიებს. კაპიტალისტები მიმართავდნენ ლოკაუტს და მუშა-მოსამსახურეებს მასობრივად ითხოვდნენ. მთავრობა ფიზიკურად უსწორდებოდა გამოჩენილ რე-

---

[2] ლ. ებანოიძე, ალექსანდრე (საშა) წულუკიძე, თბ., 1945, გვ. 105.

ეოლუციონერებს. 1905 წლის 22 ივნისს სოხუმის ციხეში მოკლეს რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი ლევან გოთოშია, 4 ივლისს მოკლეს შიო ჩიტაძე, 17 ივლისს ქუთაისში მოკლეს აბრამ (ალეკა) რიჟინაშვილი და ა. შ.[3]

მუშათა გაფიცვები გრძელდება 1906 წლის შემოდგომაზე. სექტემბრის ბოლოს თბილისში მკერავი მუშების გაფიცვა დაიწყო და სამ თვეს გაგრძელდა. ეს პერიოდი აღინიშნა აგრეთვე გლეხთა მასობრივი რევოლუციური გამოსვლებით. მათ ადგილი ჰქონდა თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, ახალქალაქის, ქუთაისის, შორაპანის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდისა და სხვა მაზრებში, აგრეთვე სოხუმის ოლქის სოფლებში.

გლეხები არ თმობდნენ მემამულეების, ხაზინისა და ეკლესიის მიწებს, რომლებიც მათ ხელთ იგდეს რევოლუციის აღმავლობის დღეებში, არ იხდიდნენ გადასახადებს, არ ემორჩილებოდნენ მოხელეებს, ჰყავდათ თავიანთი არჩეული „გლეხთა რევკომები“, რომლებიც სოფლის საქმეებს განაგებდნენ.

დამსჯელი რაზმების (ალიხანოვ-ავარსკი, კრილოვი, გავრილოვი, ჩერნოგოროვი, გამალეია და სხვ.) თარეშის მიუხედავად, გლეხები მთელი 1906 წლის განმავლობაში აქტიურობდნენ. 1906 წლის შემოდგომაზე გლეხთა მოძრაობამ ფართო გაქანება მიიღო. ამ პერიოდში ყალიბდება მთავრობის დამსჯელი ექსპედიციების წინააღმდეგ მებრძოლი გლეხთა რაზმები, რომლებიც „ტყის ძმების“ სახელითაა ცნობილი. ესენი იყვნენ რევოლუციის ჯარისკაცები, წითელრაზმელები, რომლებიც აწყობდნენ პარტიზანულ თავდასხმებს დამსჯელ რაზმებზე, ანგარიშს უსწორებდნენ ხალხის მტრებს, იცავდნენ სოფლებს და წესრიგს... ისინი გლეხთა მხურვალე მხრდაჭერით სარგებლობდნენ, გლეხები ამარაგებდნენ მათ სურსათით, ტანსაცმლით, ტყვია-წამლით, ფულით და ა. შ. ასეთი რაზმები მრავალგან მოქმედებდნენ ოზურგეთის, სენაკის, შორაპნის, გორის, დუშეთისა და თელავის მაზრებში. ისინი გაბედულ აქციებს ახორციელებდნენ მთავრობის მოხელეების, ჟანდარმერიისა და მეფის ერთგული სამხედრო ძალების წინააღმდეგ[4].

ამრიგად, მიუხედავად რევოლუციის უკან დახევისა, ბრძოლები გრძელდებოდა ქალაქად, სოფლად და სამხედრო ნაწილებშიც, მაგრამ მას 1905 წლის ძალა და მასშტაბი აღარ ჰქონდა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიტე 1906 წლის 11 იანვარს მოახსენებდა იმპერატორს, რომ კავკასიაში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში იძულებული ვიქნებითო დიდხანს შევინარჩუნოთ რეჟიმი,

---

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 274.

4 იქვე, გვ. 277.

რომელიც დაემყარება ამ რაიონებში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების დისლოკაციას.

ცარიზმი დიდ იმედებს ამყარებდა სახელმწიფო სათათბიროზე, რომლის საშუალებით ფიქრობდა გლეხთა მასები ჩამოეშორებინა რევოლუციური მოძრაობისაგან, განემტკიცებინა კავშირი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, რომელმაც 1905 წლის ოქტომბრის შემდეგ ხელი აიღო მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე და დაიწყო მასთან დაახლოება. 1905 წლის 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის საფუძველზე ოდნავ ფართოვდებოდა დაბალი ფენების მონაწილეობა არჩევნებში. მაგრამ 1906 წლის 20 თებერვალს გამოცემული ახალი დებულების თანახმად, უკიდურესად შემცირდა მუშებისა და გლეხების საარჩევნო უფლებები. არჩევნების უფლებას მოკლებული აღმოჩნდნენ აგრეთვე ქალები. და ახალგაზრდები (25 წლამდე), სამხედრო მოსამსახურეები, ეროვნულ უმცირესობათა ერთი ნაწილი. არჩევნები მუშებისათვის სამსაფეხურიანი იყო, გლეხებისათვის — ოთხსაფეხურიანი, მემამულეებისა და ბურჟუაზიისათვის კი — ორსაფეხურიანი.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი ითვალისწინებდა, რომ სათათბირო აღჭურვილი უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო უფლებებით. ეს, რა თქმა უნდა, არ აწყობდა მთავრობას და მთელი რიგი დებულებებით მან ჯერ კიდევ არჩევნებამდე შეზღუდა ეს ორგანო.

სათათბიროს გახსნამდე გამოიცა „რუსეთის იმპერიის ძირითადი სახელმწიფო კანონები", რომელთა ძალით ქვეყანაში უმაღლესი ძალაუფლება იმპერატორის ხელში რჩებოდა. სახელმწიფო ადმინისტრაცია მინისტრებიდან მოყოლებული უმდაბლეს მოხელემდე მხოლოდ მას ემორჩილებოდა. კანონები არმიისა და ფლოტის მიმართ მხოლოდ იმპერატორს შეეძლო გამოეცა.

რეაქციის გაძლიერების გამოხატულება იყო სათათბიროს არჩევის წინ მოლიბერალო ვიტეს განთავისუფლება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან და მის ნაცვლად გორემიკინის დანიშვნა.

დაბოლოს, არჩევნების დროისათვის მთავრობამ გუბერნიების უმრავლესობაში (70%-მდე) გამოაცხადა საგანგებო სამხედრო მდგომარეობა, რამაც მას საშუალება მისცა უხეშად ჩარეულიყო არჩევნების მიმდინარეობაში და სასურველი მიმართულება მიეცა მისთვის.

სათათბირომ არ გაამართლა მეფის მთავრობის იმედები და მთავრობამ ორჯერ დაითხოვა იგი. პირველად 1906 წლის 9 ივლისს, ხოლო მეორედ — 1907 წლის 3 ივნისს, რაც რევოლუციის საბოლოო დამარცხებას მოასწავებდა[5].

---

5 რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობის შესახებ, ქვემოთ, გაზეთების მასალების განხილვასთან დაკავშირებით, საგანგებოდ გვექნება მსჯელობა.

სათათბირომ არც მშრომელების იმედები გაამართლა. მართალია, მან ენერგიულად დააყენა მიწის საკითხი და მოითხოვა მისი გადაცემა მშრომელი გლეხობისათვის, მაგრამ ამ საკითხში დეპუტატთა შორის ერთსულოვნება არ სუფევდა, სათათბიროს რეალური ძალა არ გააჩნდა და მიზანს ვერ მიაღწია.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდი აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ სწორედ ამ დროს, კერძოდ, 1905 წლიდან იღებს სათავეს მუშათა პროფესიული ორგანიზაციები. პროფესიულმა მოძრაობამ ფართო გასაქანი მიიღო საქართველოშიც. 1905 წლის ივნისში საქართველოში წარმოიქმნა ფარმაცევტთა პროფკავშირი, ნოემბერში კი შეიქმნა პედაგოგების, სასტუმროების თანამშრომელთა, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების, საქალაქო თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეების, ქინამოსამსახურეებისა და სხვათა პროფესიული ორგანიზაციები. ეს პროცესი გაგრძელდა 1906 წელს. გაზაფხულსა და ზაფხულში წარმოიქმნა ფეიქართა, მბეჭდავთა, ფეხსაცმლის მკერავთა, წყალსადენის მუშაკთა კავშირები. ივნისი-ივლისში — მეთამბაქოე მუშების, ტრამვაის თანამშრომლების, დურგლების, პურის მცხობელთა, მექუდეების, მღებავების, მეეტლეებისა და სხვათა პროფესიული კავშირები[6].

აღსანიშნავია, რომ კავშირებში ერთიანდებოდნენ გაბატონებული კლასების წარმომადგენლებიც: 1906 წლის გაზაფხულზე თბილისში შეიქმნა ბითუმად მოვაჭრეთა კავშირი, ცოტა მოგვიანებით ადელხანოვმა ჩამოაყალიბა „თბილისის კაპიტალისტების კავშირი", შავრაზმელებმა შექმნეს „პატრიოტების" საზოგადოება, რომელმაც, თავის მხრივ, ჩამოაყალიბა „გაფიცვების წინააღმდეგ მებრძოლი კავშირი" და ა. შ.

1906 წლის შემოდგომაზე საქართველოში პროფესიული კავშირების რაოდენობამ 35-ს მიაღწია. ამ კავშირების მუშაობის კოორდინაციისათვის იმავე წლის დეკემბერში შეიქმნა პროფკავშირთა ადგილობრივი ვაერთიანება (პროფკავშირების მუშათა დეპუტატების საბჭო). პროფკავშირები სტამბავდნენ გაზეთს — „ახალი დროება", რომელიც 1906 წლის ნოემბრიდან 1907 წლის იანვრამდე გამოდიოდა[7].

პროფესიული გაერთიანებების (კავშირების) საკითხს დიდი ყურადღება მიექცა გაზეთ „მიწის" ფურცლებზე, და როგორც ქვემოთ დავინახავთ, გაზეთის მესვეურებმა ის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნიეს.

---

6 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 274—275.

7 იქვე, გვ. 275—276.

1906—1907 წლები საქართველოში აღინიშნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი გამოვლინებით და არაპროლეტარული, წვრილბურჟუაზიული პარტიების გააქტიურებით, რაც ძირითადად ორი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის ირგვლივ მოხდა: პირველი, ეს იყო გლეხთა საკითხი (და მასთან დაკავშირებული მიწის საკითხი), მეორე — ეროვნული საკითხი.

ეროვნული საკითხი საქართველოში საზოგადოების ყოველ წევრს აწუხებდა და იგი ყველა კლასისა და პოლიტიკური მიმდინარეობის ერთ-ერთ მთავარ საკითხად გამოიყურებოდა.

თავადაზნაურობის მემარჯვენე ფრთისათვის ეროვნული საკითხის „გადაწყვეტა" თვითმპყრობელობისა და მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნების ფორმით იყო შესაძლებელი: ქართველი ხალხი იმპერატორის მფარველობის ქვეშ — ასეთი იყო ეროვნული საკითხის თავადაზნაურული მოდელი. ეს ფაქტიურად არსებული ვითარების შენარჩუნება-განმტკიცებას ნიშნავდა. თავადაზნაურობის ეს ნაწილი უშუალოდ მონაწილეობდა რევოლუციური მასების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავადაზნაურთა მეორე ნაწილი, ლიბერალური თავადაზნაურობა ოპოზიციაში ედგა მთავრობას, მაგრამ მისი ოპოზიციურობა მშრალ ფრაზებს არ სცილდებოდა. იგი ცდილობდა მოერიგებინა რევოლუციური მასები და მთავრობა.

პოზიცია, რომელიც სუსტ ეროვნულ ბურჟუაზიას ეჭირა ეროვნულ საკითხში, დიდად არ განსხვავდებოდა ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიციისაგან. ისიც ეროვნული ავტონომიისათვის იბრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობის საფარქვეშ. ეს იყო ლიბერალური თავადაზნაურობის საბრძოლო პროგრამა და არსებითად მას იმეორებდა ეროვნული ბურჟუაზიაც.

რაც შეეხება წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მასებს (გლეხობა, წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.) მათი საბრძოლო პროგრამა ფართო პოლიტიკური თვითმმართველობის მოთხოვნას შეიცავდა, მაგრამ ამასთან, ის ამ ავტონომიას დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში წარმოიდგენდა და არა თვითმპყრობელობის საფარქვეშ. ამ მიმდინარეობის გამომხატველი გახდა ძირითადად ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და, განსაკუთრებით, ამ პარტიის მემარცხენე მიმდინარეობა.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ერთფეროვანი არ იყო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ის ბლოკისტური იყო. სოციალისტ-ფედერალისტების გარდა, პარტიაში შედიოდნენ ქართველი ესერები, ანარქისტები, ყოფილი ხალხოსნები. პარტიაში გამოიკვეთა ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც

შემდგომ (1907 წ.) გამოეყო სოციალისტ-ფედერალისტებს და დამოუკიდებელ პარტიად გაფორმდა (1917 წ.). პარტიაში ძირითადად ორი იდეური მიმართულება დომინირებდა: ჩაგრული, მცირე ერის ეროვნულ-წვრილბურჟუაზიული მიმართულება — არ. ჯორჯაძის მეთაურობით და წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულება—ს. ფირცხალავას მეთაურობით.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა პერიოდი აღინიშნა პარტიაში წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული მასების მოზღვავებით, რამაც განაპირობა რევოლუციის ოროს პარტიაში რევოლუციურ-დემოკრატიული ელემენტების გაძლიერება. რევოლუციურ-დემოკრატიული ელემენტების მომძლავრებასთან ერთად, პარტია განიკდიდა ქართველი ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტების მოზღვავებას, რომლებიც „განაწყენებულნი" იყვნენ სოციალ-დემოკრატების ზოგიერთი ლიდერის ეროვნული ნიჰილიზმით. ამგვარ ელემენტებს პარტიის მხოლოდ ეროვნული პროგრამა აინტერესებდათ, ხოლო სოციალურს — ყურადღებას არ აქცევდნენ. პარტიის ასეთი სიჩრელით უკმაყოფილო იყო სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერი არ. ჯორჯაძე. 1905 წლის ივნისში იგი წერდა გ. დეკანოზიშვილს: „ჩვენ პარტიაში დომხალივით ირევა სხვადასხვა რჯულის ხალხი. ვინც ავტონომიას თანაუგრძნობს, სულ ჩვენ პარტიაში შემოვიდნენ და საქმე ძლიერ გაგვიფუჭეს, რადგან ეს ხალხი სოციალიზმის წინააღმდეგია. საზოგადოდ ძლიერ სუსტობს სოციალიზმის პროპაგანდა"[8].

არსებითად წვრილბურჟუაზიული ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ აგრეთვე მენშევიკები, რომლებმაც ეროვნულ საკითხში კულტურულ-ეროვნული ავტონომიის იდეა წამოაყენეს და ამ პოზიციიდან ებრძოდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა ფართო პოლიტიკური ავტონომიის თვალსაზრისს.

ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები იცავდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს პრინციპი არ გამოირჩეოდა გარკვეულობით და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც არ აღმოჩნდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ეროვნულად ჩაგრული ხალხის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის საიმედო საფუძველი. სპეციფიკური გამონაკლისი იყო ფინეთი, აგრეთვე პოლონეთი, რომლებსაც საგარეოპოლიტიკურმა ვითარებამ შეუქმნა პირობები ეროვნული თვითგამორკვევისათვის და ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოპოვებისათვის. ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატე-

---

8 ჟურნ. „კავკასიონი", X, პარიზი, 1965, გვ. 161. ციტირებულია გ. ჯანგველაძის ზემოთ დასახელებული წიგნიდან, გვ. 77—78.

ბის აზრით, ეროვნული საკითხის რეალურად გადაწყვეტის ერთადერთი გზა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებაზე გადიოდა.

ამრიგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის უკანდახევისა და დამარცხების პერიოდში მრავალ მიმდინარეობად დაიყო. რევოლუციის გავლენით ის აღმავლობის გზით მიდიოდა და მნიშვნელოვან ნაკადად ერთვოდა განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო მდინარეს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო ჩანს ქართველი სამღვდელოების მოძრაობაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რაშიც მრავალი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე (არასასულიერო პირი) ჩაება.

რით გამოიჩინეს თავი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა 1905—1907 წლებში?

უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მოამრავლეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, გამოაცოცხლეს და აამოძრავეს ქართული საზოგადოებრივი აზრი, მსჯელობის საგნად აქციეს ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხი. მძლავრი სახალხო მოძრაობით გამხნევებულებმა უფრო თამამად შეუტიეს ცარიზმს და რეპრესიების მიუხედავად, თავდადებით იბრძოდნენ თავიანთი იდეების განხორციელებისათვის.

რევოლუცია, როგორც უკვე აღინიშნა, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ დაღმავალი გზით წავიდა და რევოლუციური ძალების საერთო შესუსტების პირობებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაც შეუძლებელი შეიქმნა.

ამრიგად, 1905—1907 წლების რევოლუციის თავისებურებებს შორის აღსანიშნავია აგრარული პრობლემის წინა პლანზე წამოწევა. რევოლუციაში მუშათა კლასის მხარდამხარ აქტიურად იბრძოდა გლეხობა, მაგრამ ამ ორ კლასს შორის კავშირი არ იყო მტკიცე და ეს გახდა რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

ამასთანავე, 1905—1907 წლების რევოლუციას საქართველოში ანტიკოლონიური ბრძოლის ხასიათიც ჰქონდა. მან აამოძრავა ქართველი ხალხის ეროვნული ძალები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია.

რევოლუციური მოძრაობის უმაგალითო გაქანება საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის ბრძოლის გამწვავებითაც აღინიშნა.

ყველა ამ თავისებურების გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის ამა თუ იმ მიმართულების მართებული შეფასებისათვის, მისი ისტორიული როლისა და მნიშვნელობის გარკვევისათვის.

ჩვენ სწორედ ამ ფონზე ვიხილავთ და ვაფასებთ გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მოღვაწეობას.

2. გაზეთების ისტორია

ქართული დემოკრატიული პრესა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში საკმაოდ მრავალფეროვანია. ამის ძირითადი მიზეზია რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რაც გამოიხატა მრავალი სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ჟურნალ-გაზეთების დაარსებაში. ფორმალურად უპარტიო ინტელიგენტები თავს იყრიდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანოებში. ისინი არსებითად ქვეყნის პროგრესული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განვითარების ინტერესებს გამოხატავდნენ. ამავე მიზანს ისახავდნენ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის, ანარქისტული, სოციალისტ-რევოლუციური მიმდინარეობის ჟურნალ-გაზეთები. პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის ინტერესების დაცვას ესწრაფოდა სოციალ-დემოკრატიული — ბოლშევიკური და მენშევიკური პრესაც.

რევოლუციის პერიოდისათვის განაგრძობდა არსებობას XIX საუკუნის რამდენიმე დემოკრატიული ორგანო: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „კვალი“ და სხვ. ამ ორგანოებში ერთდროულად თანამშრომლობდნენ, როგორც დემოკრატიული მიმართულების, ასევე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (1906—1907 წწ.) გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) მიმართულების შემდეგი ორგანოები: „ელვა“, „განთიადი“, „ახალი ცხოვრება“, „ახალი დროება“, „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“, „მნათობი“ და სხვ. მენშევიკური მიმართულებისა: „სხივი“, „წინ“, „გრიგალი“, „ზარი“, „გზა“, „ლამპარი“, „ნაპერწკალი“, „ტალღა“, „ჩვენი ცხოვრება“, „სიმართლე“, „შიკრიკი“, „ლახვარი“, „საყვირი“, „ცისარტყელა“, „ჩვენი სიტყვა“, „რიჟრაჟი“, „ჩვენი გზა“, „ცისკარი“, „ცის ნამი“, „წყარო“ და სხვ. რეაქციის წლებშიც მენშევიკები მრავალ პერიოდულ გამოცემას სტამბავდნენ. 1908 წელს ბოლშევიკური მიმართულების მხოლოდ ერთი არალეგალური ორგანო — „თბილისის პროლეტარიატი“ გამოდიოდა.

არაპროლეტარული დემოკრატიული პრესის გამოცემები მომრავლდა საქართველოში 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ. 1906—1907 წლებში გამოდიოდა დემოკრატიული პრესის ისეთი ორგანოები, როგორიცაა: „ახალი დროება“, „შრომა“, „მეგობარი“, „გლეხი“, „მიწა“, „პატარა გაზეთი“, „ნობათი“, „ხმა“, „მუშა“, „ძალა“, „ისარი“, „ქარიშხალი“ და სხვ. ეროვნულ-

ლიბერალური მიმართულების ორგანო იყო: „შურდული“, „გრდემლი“ და სხვ. ამავე პერიოდში გამოდიოდა წვრილმწარმოებელთა პროფესიული, ქართული სასულიერო და სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები. მთავრობის ოფიციალურ ორგანოდ კვლავ გაზეთი „კავკაზი“ რჩებოდა.

ამრიგად, 1908 წელს საქართველოში უკვე 60-მდე სახელწოდების პერიოდული ორგანო გამოდიოდა, რომელთაგან უმრავლესობა დემოკრატიული მიმართულებას მიეკუთვნებოდა[9].

მოცემული ხანის ქართული დემოკრატიული აზრის შესასწავლად შევარჩიეთ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მემარცხენე მიმართულების ორი გაზეთი — „გლეხი“ და „მიწა“[10]. ჩვენი აზრით, ამ გაზეთებში ყველაზე რელიეფურადაა ასახული ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ხსენებული ფრთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ძირეული საკითხები კერძოდ, აგრარული საკითხი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციური მოთხოვნების მთავარი მომენტები. ისინი სრულ საშუალებას იძლევიან დავახასიათოთ რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდის ქართული დემოკრატიული აზრი, გამოვამჟღავნოთ მისი ისტორიული როლი.

„ყოველკვირეული სახალხო გაზეთი „გლეხი“ — ამ სათაურით 1906 წლის 22 ივნისს გამოვიდა. გაზეთ „გლეხის“ ბოლო ნომერი კი 1906 წლის 3 აგვისტოს გამოიცა. გაზეთს რედაქტორად ხელს აწერდა მ. ადამაშვილი (შემდეგში ცნობილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი). ამის საფუძველზე მრავალმა მკვლევარმა მ. ჯავახიშვილი მიიჩნია აღნიშნული გაზეთის რეალურ გამომცემელ-რედაქტორად[11]. ასე მაგალითად, პროფ. ტ. კვანჭილაშვილმა თავის მონოგრაფიაში „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება“[12], მ. ჯავახიშვილი დაასახელა ამ გაზეთის რეალურ რედაქტორად და მისი მოწინავე წერილების ავტორად. ეს შეხედულება მრავალმა მკვლევარმა გაიზიარა და გაიმეორა, იგი ტრადიციული გახდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობენ შემდეგი მონაცემები: 1. ის გარემოება, რომ მ. ადამაშვილი

---

[9] А. Абрамишвили. Грузинская периодика (1819—1917), Тбилиси, 1968, с. 14.

[10] ისტორიულ წყაროებში გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ ხან ჟურნალებად იხსენიებიან, ხან კი — გაზეთებად (გაზეთები 16 გვერდიანია, ორსვეტად ნაბეჭდი).

[11] იხ. ნ. ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილის მოღვაწეობის უცნობი ფურცელი, გაზეთი „თბილისი“, 1966, 3 იანვარი; აგრეთვე ე. ჯიჯეიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური წერილები, ჟურნ. „ჭოროხი“, 1971, № 1.

[12] ტ. კვანჭილაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თბ., 1966.

(მ. ჯავახიშვილი) ხელს აწერს გაზეთის ნომრებს როგორც რედაქტორ-გამომცემელი; 2. 1936 წელს მ. ჯავახიშვილი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: „1906 წელს „გლეხი"-ს რედაქტორობისათვის სამართალში მიმცეს. მე შვეიცარიაში გავიპარე[13]; 3. გაზეთ „შრომაში" 1906 წლის ივლისში სისტემატურად ქვეყნდებოდა განცხადებები, რომელთაც ხელს აწერდა გაზეთ „გლეხის" რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი[14]. იგივე გაზეთი აქვეყნებს ცნობას, რომ მთავრობა „გლეხის" რედაქტორ-გამომცემელს ბრალს სდებდა კანონის 128 და 129 მუხლის ძალით[15]. ბრალდებული სწორედ მ. ჯავახიშვილი იყო; 4. 1928 წელს მ. ჯავახიშვილი დ. კასრაძისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „1906 წ. ვრედაქტორობდი კვირეულ ჟურნალს — „გლეხს". ჟურნალი მეცხრე ნომერზე მიმიკეტეს და სამართალში მიმცეს"[16] (მ. ჯავახიშვილი არასწორად აღნიშნავს, რომ გაზეთი მეცხრე ნომერზე დაიხურა, მას უნდა ეთქვა, რომ შვიდი ნომრის გამოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ აკრძალა გაზეთი).

სინამდვილეში მ. ჯავახიშვილი არ იყო გაზეთ „გლეხის" რედაქტორ-გამომცემელი. გაზეთის ფაქტიური ხელმძღვანელის, რედაქტორ-გამომცემლის მოვალეობას სხვა პირი ასრულებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ს. ფირცხალავა თავის მოგონებებში წერს: „ეხლან

რას ემყარება ეს მოსაზრება? ავტორი იშველიებს შემდეგ მონაცემებს:

1. გ. ბაქრაძე „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ აღნიშნავს, რომ გაზეთ „გლეხის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი იყო მ. ადამაშვილი, ნამდვილი რედაქტორი კი — სამსონ ფირცხალავა[19]. ასევე, გაზეთ „მიწის“ ოფიციალური რედაქტორი-გამომცემელი იყო გრ. ტატიშვილი, ხოლო ნამდვილი რედაქტორი — სამსონ ფირცხალავა[20].

2. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში“ წერს: „იმ ხანებში ჩვენმა კომიტეტმა გადასწყვიტა გლეხებისათვის განსაკუთრებულ ორგანოს დაარსება. ამ საქმის გაძღოლა იკისრა სამსონ ფირცხალავამ. მისი უახლოესი თანაშემწე გახდა მიხეილ ჯავახიშვილი. გამოვიდა გაზეთი „გლეხი“, მისი დაკეტვის შემდეგ „მიწა“ და სხვა“[21]. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ერთ-ერთი გაზეთის ოფიციალური რედაქტორი მ. ჯავახიშვილი იყოო. როცა გაზეთი დახურეს, მთავრობამ მისი დაპატიმრება გადაწყვიტა, მაგრამ მან თავს უშველა და ცოტა ხნით საზღვარგარეთ გაიხიზნა.

3. მ.ადამაშვილის (იგივე მ. ჯავახიშვილის) ოფიციალურ რედაქტორად დანიშვნა, ხოლო გაზეთის ფაქტიურ რედაქტორად ს. ფირცხალავას შერჩევა იმით აიხსნება, რომ მ. ადამაშვილს მთავრობის წინაშე რეპუტაცია შერყეული არ ჰქონდა და მას შეეძლო გაზეთის გამოცემის ნებართვის მიღება, მაშინ, როცა ს. ფირცხალავას, იმავე წელს, თვენახევრის პატიმრობის შემდეგ (10 თებერვალს გაათავისუფლეს საპატიმროდან), მთავრობა გაზეთის გამოცემის ნებართვას არ მისცემდა.

4. მ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობს: „Я был только фиктивным редактором означённой газеты, в редактировании которой я не принимал решительно никакого участия и не мог принимать, так как за время всей моей литературной деятельности, считая и время издания газеты „Глехи“, я состоял одным из главных сотрудников самой умеренной из всех когда-либо существующих на грузинском языке газеты „Иверия“... Думаю, что одновременно я не мог работать в двух противоположных по направлению газетах...“[22]

---

19 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), თბ., 1947, გვ. 21.

20 იქვე, გვ. 22.

21 გ. ლასხიშვილი, მემუარები (1885—1915), თბ., 1934, გვ. 217—218.

22 ლ. ნანიტაშვილი, უსაფუძვლო კომენტარების გამო. ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. II, 1971, გვ. 420—421; მისივე, „წერი-

5. ს. ფირცხალავა თავის „მოგონებათა ფურცლებში“ წერს: „დავაარსე საგლეხო გაზეთი, სახელად „გლეხი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 22 ივნისს“. ამ გაზეთის დახურვის შემდეგ გამოდის გაზეთი „მიწა“.

„მიწა“ იყო იგივე „გლეხი“,— განაგრძობს ს. ფირცხალავა, — იმავე თანამშრომლებით და მიმართულებით, ერთისა და მეორის ხელმძღვანელი და მთავარი შემდგენელი ვიყავი მე. ვწერდი მეთაურებს, სხვა წერილებს, ვთარგმნიდი, ვაგროვებდი ამბებს...“[23].

6. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია გაზეთ „გლეხის“ კომპლექტი, რომელსაც ს. ფირცხალავას ხელით აქვს მინაწერი: „გამოდიოდა ს. ფირცხალავას რედაქციით“, მინაწერი შესრულებულია 1906—1910 წლებში.

7. პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ გაზეთ „გლეხის“ კომპლექტს მიწერილი აქვს ი. გრიშაშვილის ხელით: „ჯერ გამოდიოდა „გლეხი“ ს. ფირცხალავას რედ. 1906 წელს (სულ შვიდი ნომერი გამოვიდა)“[24]. იქვე დაცულია გაზეთ „მიწის“ კომპლექტიც, რომელსაც ბოლოში აქვს მინაწერი, შესრულებული ს. ფირცხალავას ხელით: „1906—7—8 წწ. „გლეხის“ და „მიწის“ რედაქცია და ხელმოუწერელი წერილები ეკუთვნის ს. ფირცხალავას[25]. ამას იქვე ადასტურებს ი. გრიშაშვილის ხელმოწერაც.

8. ს. შანშიაშვილი თავის მოგონებაში წერდა: „გარდა იმისა, რომ ს. ფირცხალავა „სახალხო ფურცლის“ მთავარი ხელმძღვანელი იყო, მისი რედაქტორობით სხვადასხვა წლებში გამოდიოდა გაზეთები „მიწა“, „გლეხი“ და ჟურნალები „ფასკუნჯი“ და „გვირგვინი“. ამ ორგანოებში მეც ვთანამშრომლობდი“[26].

9. ს. შანშიაშვილი თავის მეორე მოგონებაში იმეორებს, რომ ს. ფირცხალავა რედაქტორობდა „გლეხს“, „მიწას“, „სახალხო ფურცელს“ და სხვებს, თუმცა, ოფიციალურ რედაქტორებად იყვნენ და-

---

ლები“, თბ., 1981, გვ. 76; აგრეთვე, ტ. ,ქ ვ ა ნ ჯ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კომენტარი ზედმეტი არ არის, ჟურნ. „ცისკარი“, 1971, № 6, გვ. 150.

23 ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, ჟურნ. „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 167.

24 იხ. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული გაზეთ „გლეხის“ კომპლექტი — გ. 765 (მეორე კომპლექტი).

25 ი ქ ვ ე; გაზეთ „მიწის“ კომპლექტი — მ. 765.

26 ს. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი (მოგონება), „ლიტერატურული საქართველო“, 1970, № 10.

სახელებულნი: მიხ. ჯავახიშვილი — ადამაშვილი, გრ. ტატიშვილი (ასოების ამომჭრელი)...[27]

10. 1948 წლის 2 ნოემბერს, როცა იდგა საკითხი ს. ფირცხალავას მწერალთა კავშირის წევრად მიღების შესახებ, მის განცხადებაში აღნიშნული იყო: „... ჩემი ხელმძღვანელობით გამოდიოდა საგლეხო გაზეთი „გლეხი“ და „მიწა“...[28]

11. 1951 წლის 10 ივლისს გ. ლეონიძე თავის შუამდგომლობაში ს. ფირცხალავასათვის პერსონალური პენსიის დანიშვნის თაობაზე წერდა: „...1906—1907 წწ. მისი ფაქტიური რედაქტორობით და გამომცემლობით გამოდიოდა საგლეხო ყოველკვირეული ჟურნალი „გლეხი“ და ამის დახურვის შემდეგ „მიწა“[29]...

ეს მონაცემები უდავოდ ადასტურებენ, რომ გაზეთ „გლეხის“ ფაქტიური რედაქტორ-გამომცემელი იყო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და ლიდერი სამსონ ფირცხალავა, ხოლო ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად (და ზოგიერთი წერილის ავტორად) გვევლინება მიხეილ ჯავახიშვილი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ლ. ნანიტაშვილის წერილს — „უსაფუძვლო კომენტარების გამო“ — გამოეხმაურა ტ. კვანჭილაშვილი სტატიით „კომენტარი ზედმეტი არ არის“, სადაც სცადა დაეცვა თავისი თვალსაზრისი და ხსენებული გაზეთის როგორც ოფიციალურ, ისე ფაქტიურ რედაქტორად მ. ჯავახიშვილი ეღიარებინა[30].

საპასუხო წერილში ლ. ნანიტაშვილმა დაბეჯითებით განმარტა, რომ გაზეთის ფაქტიური რედაქტორი სწორედ სამსონ ფირცხალავა იყო[31].

1974 წელს ამ პოლემიკას გამოეხმაურა ი. ბოცვაძე. მან თსუ ჟურნალისტიკის კათედრის საჯარო სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში განიხილა გაზეთ „გლეხის“ რედაქტორის ვინაობა[32]. მკვლევარმა

---

27 ს. შანშიაშვილი, მეორე მოგონება (ავტოგრაფიული ცალი ინახება ლ. ნანიტაშვილთან).

28 ლ. ნანიტაშვილი, უსაფუძვლო კომენტარების გამო. ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1971, გვ. 428.

29 ლ. ნანიტაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 428—429.

30 ტ. კვანჭილაშვილი, კომენტარი ზედმეტი არ არის, ჟურნ. „ცისკარი“, 1971, № 6, გვ. 148—155.

31 ლ. ნანიტაშვილი, უსაფუძვლო კომენტარების გამო, ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1971, გვ. 417—430.

32 ი. ბოცვაძე, გაზეთ „გლეხის“ რედაქტორის ვინაობის საკითხისათვის. ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1974, გვ. 480—493.

დაწვრილებით გააანალიზა ზემომოტანილი მონაცემები, მხარი დაუჭირა ლ. ნანიტაშვილის მოსაზრებას და გაზეთ „გლეხის“ ფაქტიურ რედაქტორად ს. ფირცხალავა მიიჩნია. აქვე მან ამ დებულების სასარგებლოდ რამდენიმე ახალი მონაცემიც დაიმოწმა.

ამრიგად, შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს, რომ გაზეთი „გლეხი“ გამოდიოდა ს. ფირცხალავას რედაქტორობით. გაზეთ „გლეხის“ დაარსებისა და საქმიანობის ისტორია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1906 წლის 16 მარტს დავით ნახუცრიშვილმა ხელისუფლებისაგან ნებართვა ითხოვა ქართულ ენაზე გამოეცა ყოველკვირეული გაზეთი „გლეხი“[33]. გაზეთის გამოცემის ნებართვა ერთი თვის შემდეგ მიიღო, რომლის მიხედვითაც, დ. ნახუცრიშვილს უფლება ეძლეოდა ქ. თბილისში, ქართულ ენაზე გამოეცა ყოველკვირეული გაზეთი „გლეხი“, შემდეგი პროგრამით: 1. ლიტერატურა, 2. პოლიტიკა, 3. საზოგადოებრივი ცხოვრება, 4. სოფლის მეურნეობა, 5. ისტორია, 6. ბიბლიოგრაფია, 7. ბუნებისმეტყველება, 8. ეთნოგრაფია, 9. ილუსტრაცია, 10. კარიკატურა. წლიური ხელმოწერა გაზეთზე 3 მან., ნომერი — 5 კაპ. გაზეთს დაბეჭდავდა „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის“ სტამბა[34].

საგლეხო გაზეთის გამოსვლაზე ცნობა გამოაქვეყნა გაზეთმა „შრომამ“. 1906 წლის 25 მაისს, ახალი ამბების განყოფილებაში. გაზეთი იტყობინებოდა: „როგორც გადმოგვცეს, ივნისის დასაწყისში ტფილისში გამოვა ახალი პოპულარული საგლეხო ჟურნალი „გლეხი“...[35] 13 ივნისის ნომერში გაზეთი „შრომა“ იუწყებოდა: „ამა ივნისის 18-დან ტფილისში გამოვა ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი „გ ლ ე ხ ი“.

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: „მ ი წ ა დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მიწა მიწის მუშებს!“ გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელი გლეხობის განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და გააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასია, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრიობას განახლებას და ახალს,

---

33 სსცსა, ფ. 17. ანაწ. 1, საქ. 9182. „По ходатайству Давида Георгиевича Нахуцришвили о разрешении издавать ему в гор. Тифлисе газету на грузинском языке под названием „Глехи“ (Крестьянин)“, ფურც. 1.

34 ი ქ ვ ე, ფურც. 6.

35 გაზ. „შრომა“, 1906, № 40.

სამართლიანობასა, თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას...

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპიორის ქუჩა № 43) და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. რედაქტორ-გამომცემელი დ. ნახუცრიშვილი"[36].

თავდაპირველად გაზეთ „გლეხის" რედაქტორ-გამომცემელი უნდა ყოფილიყო დ. ნახუცრიშვილი, მაგრამ, მან ეს ნებართვა, იმავე წლის 16 ივნისის განცხადებით, ჯერ კიდევ გაზეთის გამოცემის დაწყებამდე, გადასცა მ. ადამაშვილს (მ. ჯავახიშვილს), რომელიც აღნიშნული გაზეთის ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი გახდა. ამის შესახებ არქივში დაცულ შესაბამის მასალებში ვკითხულობთ: „...своё право по свидетельству... за № 1178 от 16 мая сего года на издание и редактирование еженедельной газеты „Глехи" на грузинском языке передаю... Михаилу Саввичу Адамашвили, на что имеется и его, Адамашвили, согласие"... ეს ხელს აწერს დავით გიორგის-ძე ნახუცრიშვილი.

იმავე ფურცელზე ვკითხულობთ: „Изъявляю согласие на издание и редактирование еженедельной газеты „Глехи".. означенная газета будет печататься в типографии „Идеал" მას კი ხელს აწერს მიხეილ საბას ძე ადამაშვილი[37].

მ. ადამაშვილმა გაზეთ „გლეხის" ოფიციალური რედაქტორ-გამომცემლის ნებართვა (№ 2225) 1906 წლის 21 ივნისს მიიღო.

გაზეთი „შრომაც" 1906 წლის № 62-ში „გლეხის" რედაქტორ-გამომცემლად მ. ადამაშვილს ასახელებს და აცხადებს, რომ „ხუთშაბათს ამა ივნისის 22-ს გამოვა ახალი სახალხო გაზეთ „გლეხი"-ს პირველი ნომერი"... შემდეგ მოტანილია „გლეხის" პირველი ნომრის შინაარსი; ასევე, მეორე ნომრის შინაარსია მოცემული „შრომის" № 69-ში. უნდა აღინიშნოს, რომ „შრომის" რედაქცია სიხარულით შეხვდა „გლეხის" გამოცემას და აუწყა მკითხველს: „გუშინ გამოვიდა პირველი ნომერი ახალის ქართულის გაზეთისა „გლეხი". დაწვრილებით გაზეთს შემდეგ გავაცნობთ მკითხველთ, ეხლა კი საჭიროდ მიგვაჩნია გამოვსთქვათ სრული ჩვენი სიამოვნება იმის შესახებ, რომ დაარსდა პერიოდული გამოცემა, რომელიც გლეხთა ინტერესებს

---

36 გაზ. „შრომა", 1906, № 56.

37 სსცსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 9182. „По ходатайству Давида Георгиевича Нахуцришвили о разрешении издавать ему в гор. Тифлисе газету на грузинском языке под названием "Глехи" (Крестьянин) и о передаче редактирования газеты Адамашвили М." ფურც. 7.

ემსახურება. ვუსურვებთ ახალმოძმეს წარმატებასა და გამარჯვებას"[38].

გაზეთ „გლეხს" პირველი ნომრიდანვე დიდი პოპულარობა მოუპოვებია მშრომელთა ფართო მასებში. ს. ფირცხალავა იგონებდა: „ჩემი საგლეხო გამოცემა ძალიან პოპულარული იყო. პირველ ხანებში მყიდველები ერთმანეთს ტაცებდნენ ხელში „გლეხსა" და „მიწას" და მოუთმენლად ელოდებოდნენ მორიგი ნომრის გამოსვლას". შემდეგ მოგონებათა ავტორი განაგრძობს: „ბევრისგან მომდიოდა დიდი კმაყოფილების და მადლობის წერილები. ერთგან წარმოდგენა გაემართათ და მისი შემოსავალი ჩვენს რედაქციას შემოსწირეს. გაზეთის ტირაჟი 4500-მდე ადიოდა. ეს იმ დროისათვის ძალიან დიდი იყო"[39]...

გაზეთის პირველი ნომერი იწყება მეთაური წერილით— „გლეხი", რომელშიც გაზეთის მიზანდასახულებაზეა საუბარი. მოწინავეს მოსდევს ი. ეკდოშვილის ლექსი „გლეხი". შემდეგ მოჰყვება წერილები: „მშრომელო ხალხო შეერთდით", „ახლოვდება განკითხვის დღე", „სახელმწიფო სათათბირო", „სათათბიროს მშრომელთა ჯგუფის პროგრამა", სარევოლუციო მოძრაობის ამბები საქართველოში, მოძრაობა რუსეთში — გლეხებში, მუშებში, ჯარში. ეს ცნობები ამოკრეფილი იყო სხვა გაზეთებიდან, ან მოწოდებული იყო გაზეთის საკუთარი კორესპონდენტების მიერ. ნომერი მთავრდება შ. არაგვისპირელის ზღაპრით „... და აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით". ამ სახის მასალა იყო დაბეჭდილი გაზეთის დანარჩენ ნომრებშიც.

„გაზეთი აწოდებდა თავის მკითხველებს სარევოლუციო მოძრაობის ამბებს, არკვევდა ეკონომიურს, პოლიტიკურს და სოციალურ საკითხებს, უჩვენებდა, თუ როგორ იბრძოდნენ გლეხები სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში) განთავისუფლებისთვის. მოუწოდებდა მათ, რომ იმოქმედონ ორგანიზებულად, შეკავშირდნენ, ერთად იყვნენ ქალაქის მუშებთან, მოიპოვონ თავისუფლება და მიწა, თვითონ გაუძღვენ თავის საქმეებს და მოემზადონ სოციალიზმისათვის, რომელიც მიანიჭებს მათ ბედნიერებას"[40]. ასე აგვიწერს ს. ფირცხალავა თავის მოგონებებში გაზეთის მასალებს და მის მიზანდასახულებას.

როგორც უკვე აღინიშნა, 7 ნომრის გამოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ გაზეთი „გლეხი" დახურა. ამის შესახებ გაზეთმა „შრომამ" აცნობა თავის მკითხველს: „6 ივლისს გენ. გუბერნატორის გან-

---

38 გაზ. „შრომა", 1906, № 65.

39 ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი", 1971, № 6, გვ. 168.

40 ი ქ ვ ე, გვ. 167.

კარგულებით დაიკეტა კვირეული გაზეთი „გლეხი“. სტამბის ინსპექტორი მივიდა „იდეალის“ სტამბაში, სადაც გაზეთი „გლეხი“ იბეჭდებოდა და მოითხოვა უკანასკნელი ნომრები. სტამბაში აღმოჩნდა მხოლოდ 4 ნომერი. დანარჩენი რამდენიმე ათასი ცალი გაზეთისა უკვე გაყიდულიყო“[41].

შემდეგ ნომერში გაზეთი „შრომა“ აზუსტებს ამ ცნობას: „გლეხის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი „გლეხი“ არ დაუკეტიათ. სტამბაში მისულა სტამბის ინსპექტორი და უთქვამს... რომ საცენზურო კომიტეტის დადგენილებით „გლეხის“ მესამე ნომერი უნდა დაეიჭიროო. მეტრანპაჟს ვერ გაუგია საქმის ნამდვილი ვითარება და შეატყობინა რედაქციას, რომ გენ. გუბერნატორმა „გლეხი“ დაკეტაო. ამრიგად, მეტრანპაჟმა რედაქცია შეცდომაში შეიყვანა და გამოაცხადებინა, ვითომ მთავრობას გაზეთი დაეკეტოს. შემდეგი ნომერი „გლეხისა“ გამოვა ხუთშაბათს საღამოს ჟამზე“[42].

ბუნებრივია, იბადება კითხვა — რატომ მოხდა ასეთი გაუგებრობა“? ან რად დააკავა საცენზურო კომიტეტმა გაზეთ „გლეხის“ მესამე ნომერი?

ამის შესახებ დაწვრილებით ვკითხულობთ საარქივო მასალებში: თბილისის ბეჭდვითი საქმის კომიტეტი ავალებს ინსპექტორს დააკავოს გაზეთ „გლეხის“ მესამე ნომერი, მოიძიოს ეს ნომერი რედაქციაში, სტამბაში, გაზეთების გამყიდველებთან და წარუდგინოს კომიტეტს[43].

გაზეთ „გლეხის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებულია „სახალხო არაკი“ (თარგმანი), რომლის ავტორია საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე კარლ ლიბკნეხტი. სწორედ ამ ნაწარმოებს და მასთან ერთად მ. ადამაშვილის სტატიას „გლეხის წერილებს“ გამოუწვევია ადმინისტრაციის შეშფოთება. არქივის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ გაზეთში „გლეხი“ (1906 წ. 5 ივლისი, № 3) გამოქვეყნდა ორი სტატია, რომელმაც ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია. პირველი წერილი წარმოადგენს კ. ლიბკნეხტის ცნობილ ზღაპარს „ობობა და ბუზი“. კომიტეტის აზრით, მეორე წერილიც („გლეხის წერილები“) ანალოგიური ხასიათისაა და იწვევს არეულობასა და კონფლიქტს მესაკუთრეებსა და მშრომელებს შორის. საბუთში მინიშნებულია, რომ ამგვარი წერილების ბეჭდვა აკრძალულია 1906 წლის 13

---

41 გაზ. „შრომა“, 1906, № 76.

42 იქვე, № 77.

43 სსცსა, ფ. 480, ანაწ. II, საქ. 91. „О привлечении к ответственности редактора газеты „Глехи“—Адамашвили“, ფურც. 1.

თებერვლის ბრძანებულებით. ამის გამო დაკავებულ იქნეს გაზეთ „გლეხის“ მესამე ნომერი და პასუხისგებაში მიეცეს რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი[44].

1906 წლის 31 ივლისს თბილისის სასამართლო პალატის სხდომაზე მოისმინეს პროკურორის მოხსენება გაზეთ „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემლის მ. ადამაშვილის მძიმე დანაშაულის გამო. მოხსენებაში ნათქვამია: „...в виду явно противозаконного содержания статей, помещённых в № 3 газеты „Глехи“ и выражённого ими дерзостного порицания верховной власти Империи, наложенный Тифлисским комитетом по делам печати арест на означённый № газеты следует утвердить и само издание газеты .. приостановить до судебного приговора и что в отношении подсудимого Адамашвили, как преданного суду за преступление, влекущее за собой потери прав. . следует принять меры пресечения ему способов уклонятся от суда, представление залога в сумме одной тысячи рублей, а до представления такового заключить его, Адамашвили под стражу[45].

ამრიგად, ნათელია, რომ გაზეთი „გლეხი“ ხელისუფლებამ დახურა რევოლუციური მიმართულების გამო. რედაქტორ-გამომცემელმა სასჯელს თავი დააღწია საზღვარგარეთ გაქცევით. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „შრომა“, უფრო გვიან დახურა ხელისუფლებამ, ვიდრე „გლეხი“. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს გაზეთის რევოლუციურ მიმართულებაზე.

როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილი საქართველოში დაბრუნდა 1909 წელს და ჟურნალ „ერში“ თანამშრომლობისათვის იგი კვლავ მისცეს პასუხისგებაში, ერთი წელი მეტეხის ციხეში ამყოფეს, ხოლო შემდეგ გადაასახლეს ქ. როსტოვში. ამჟამად ამ ცნობის მოტანა იმისათვის დაგვჭირდა, რომ საარქივო მასალებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი, თუ როგორ შეაფასა ხელისუფლებამ გაზეთ „გლეხის“ მიმართულება.

1909 წლის ბოლოს დაკავებულ მ. ჯავახიშვილს (მ. ადამაშვილს) სასამართლომ გაუხსენა 1906 წელს გაზეთ „გლეხის“ რედაქტორობა და გამოითხოვა იმ დროის სასამართლო მასალები.

არქივის ერთ-ერთ საბუთში წერია: „Главное Управление по делам печати предлагает Тифлисскому Комитету сообщить, в дополне-

---

[44] სსცსა, ფ. 480, ანაწ. 11, საქ. 91. „О привлечении к ответственности редактора газеты „Глехи“—Адамашвили“, ფურც. 2.

[45] იქვე, ფურც. 7.

:ние... сведения о сущности упоминаемого в означенном представлении судебного приговора в отношении самого инкриминируемого издания"[46] (საუბარია გაზეთ „გლეხზე". ხაზი ჩვენია— ა. ნ.)

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო 1909 წლის 30 დეკემბერს შეკითხვას უგზავნის თბილისის ბეჭდვითი საქმის კომიტეტს"...не был ли в сентябре месяце 1906 года закрыт, издававшийся в гор. Тифлиссе на грузинском языке журнал „Глехи" („Крестьянин") за революционное направление и не привлекался ли к уголовной ответственности редактор-издатель его и кто именно является таковым"[47].

1910 წლის 5 იანვარს თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს აცნობებენ, რომ „გლეხის" რედაქტორ-გამომცემელი იყო მ. ადამაშვილი, მაგრამ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე გაიქცა საზღვარგარეთ[48]. ამის შემდეგ, 1910 წლის 27 სექტემბერს სასამართლოს გამოაქვს განაჩენი — მ. ადამაშვილს მიესაჯოს ერთი წლით პატიმრობა[49].

გაზეთ „გლეხის" დახურვის შესახებ გაზეთი „შრომა" აუწყებდა მკითხველს: „ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დახურულ გაზეთის „გლეხის" ხელისმომწერნი და მკითხველნი დაკმაყოფილებულ იქნებიან რედაქციისაგან"...[50]

როგორ აპირებდა რედაქცია ხელისმომწერთა დაკმაყოფილებას?

გაზეთ „შრომის" ამავე ნომერშია გაცემული პასუხი ამ კითხვაზე: „მოკლე დროში გამოვა ახალი სახალხო გაზეთი „მიწა" გრ. ტატიშვილის რედაქტორობით".

მართლაც, ახალი გაზეთი სულ მალე გამოვიდა[51].

გაზეთი „მიწა" „გლეხის" უშუალო გაგრძელება იყო. ამას აღნიშნავს გაზეთის ფაქტიური რედაქტორი ს. ფირცხალავა: „მიწა" იყო

---

46 სსცსა, ფ. 480, ანაწ. 11, საქ. 91." О привлечении к ответственности редактора газеты „Глехи"—Адамашвили" ფურც. 19.

47 იქვე, ფურც. 13.

48 იქვე, ფურც. 14.

49 იქვე, ფურც. 16.

50 გაზ. „შრომა", 1906, № 103.

51 ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი", 1971, № 6, გვ. 167.

იგივე „გლეხი“ „იმავე თანამშრომლებით და მიმართულებით“[52]. ამ აზრს იზიარებენ მკვლევარები გ. ბაქრაძე[53] და ა. აბრამიშვილი[54].

გაზეთ „მიწის“ გამოცემაზე წინასწარ იყო მიღებული ნებართვა, წინასწარ იყო ნიადაგი მომზადებული. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს შემდეგი მოსაზრება:

როგორც ზემოთ ითქვა, 5 ივლისს გამოვიდა გაზეთ „გლეხის“ № 3, რომლის დაკავებაც ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა დაავალა თავის ინსპექტორს. ინსპექტორი სტამბაში მივიდა 6 ივლისს. ამის შესახებ ცნობა მოიპოვება გაზეთ „შრომასა“ და საარქივო მასალებში. თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ გაზეთს დახურვა ემუქრებოდა. გაზეთ „გლეხის“ ფაქტიურმა რედაქტორმა ს. ფირცხალავამ იზრუნა ახალი გაზეთის — „მიწის“ გამოცემაზე, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად დაასახელა ცნობილი ლითოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი, რომელმაც 1906 წლის 7 ივლისს ხელისუფლებისაგან ითხოვა გაზეთ „მიწის“ გამოცემის უფლება[55]. ნებართვა მიიღო 2 სექტემბერს[56], ხოლო გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 7 სექტემბერს (1906 წელს გამოვიდა გაზეთ „მიწის“ 16 ნომერი, ხოლო 1907 წელს 19 ნომერი). გაზეთი „მიწა“ გამოვიდა იგივე პროგრამით, რომლითაც „გლეხი“ გამოდიოდა. შედარებისათვის მოვიტანთ ამონაწერს არქივის სათანადო მასალებიდან: „...ему (გ. ტატიშვილს) разрешается издавать в Тифлиссе еженедельную газету, на грузинском языке, под названием „Мица“ (Земля)[57]. გაზეთი უნდა გამოსულიყო შემდეგი შინაარსით: 1. ლიტერატურა, 2. კრიტიკა, 3. პოლიტიკა, 4. ისტორია, 5. სოფლის მეურნეობა, 6. ეთნოგრაფია, 7. ბიბლიოგრაფია, 8. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, 9. ილუსტრაციები და 10. კარიკატურები.

როგორც ვხედავთ, „მიწის“ პროგრამაში „გლეხისაგან“ განსხვავებული მხოლოდ განყოფილებათა ჩამოთვლის ნუმერაციაა შეცვლილი.

---

52 იქვე.

53 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), თბ., 1947, გვ. 22.

54 А. Абрамишвили, Грузинская периодика (1819—1917), Тб., 1968, გვ. 78.

55 სსცსა, ფ. 17, ანაწ. I საქ. 5439. По заявлению Григория Павловича Татнева о разрешении издавать в Тифлиссе грузинскую газету под названием „мица“ (Земля)“, ფურც. 1; იხ. აგრეთვე, ფ. 480, ანაწ. II, საქ. 45.

56 იქვე, ფურც. 6.

57 სსცსა, ფ. 17, ანაწ. I, საქ. 5439. „По Заявлению Григория Павловича Татнева о разрешении издавать в Тифлиссе грузинскую газету под названием „Мица“ (Земля)“, ფურც. 6.

1947 წელს გამოვიდა გ. ბაქრაძის წიგნი — ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), რომელშიც იგი მიიჩნევს, რომ გაზეთი „მიწა“ ხელისუფლებამ დახურა[58]. გ. ბაქრაძე არ ასახელებს, რომ 1908 წელს გაზეთ „მიწის“ კიდევ ორი ნომერი გამოვიდა. ამის შესახებ მკვლევარმა არაფერი იცის, მას ხელთ არ ჰქონდა 1908 წლის ორი ნომერი, ამიტომ, გაზეთ „მიწის“ შემცვლელ ორგანოდ გაზეთ „ახალი ქვეყნის“ გამოცემას მიიჩნევს (გამოდიოდა 1907 წელს. № 1 — 24/VI; № 27—23/XII).

ამის შესახებ ა. აბრამიშვილი წერს: „В библиографии Г. А. Бакрадзе не указаны номера за 1908 г.; это привело его к ошибочному заключению, что газета была прекращена в 1907—8 гг. и продолжением её была „Ахали квекана“, выходившая в 1907—8 гг. Фактически „Ахали квекана“ закрылась раньше, чем „Миша“[59].

ფაქტიურად გაზეთი „მიწა“ ხელისუფლებას არ დაუხურავს. მისი გამოცემა შეჩერდა რეაქციის გაძლიერების გამო (1907 წლის 3 ივნისი). გაზეთ „მიწის“ ბოლო, მე-19 ნომერი გამოვიდა 26 მაისს. № 20 უნდა გამოსულიყო 2 ან 3 ივნისს და, როგორც ჩანს, ეს რევოლუციური ორგანო რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის გაძლიერებისთანავე წყვეტს არსებობას.

ამ მოსაზრებას ასაბუთებს ს. ფირცხალავას შემდეგი სიტყვებიც: „რეაქცია გაძლიერდა. ამან გამოიწვია საერთო სულიერი დაცემა, მოდუნება, ხალხს დაეკარგა ხალისი მოქმედების, ბრძოლის, ეს დაეტყო ჩვენს საგლეხო გამოცემასაც, იკლო მისმა გასავალმა და გაძნელდა აგენტებისაგან ხვედრი ფულის დროზე მიღება. ამ პირობებში იძულებული ვიყავი შემეჩერებინა „მიწა“... რეაქციამ ძლიერ მოუჭირა ხელი პრესას და პარტიები არალეგალურ გამოცემებს დაუბრუნდნენ, ...ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ადმინისტრაცია არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა „მიწას“ და მეც თავი დავანებე მისი აღდგენის ცდას“[60].

არქივში დაცული ერთ-ერთი საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ „მიწის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი გ. ტატიშვილი ხელისუფლებას აცნობებდა, რომ გაზეთი „მიწა“ შემდგომში დაიბეჭ-

---

58 გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), თბ., 1947, გვ. 22.

59 A. А б р а м и ш в и л и, Грузинская периодика (1819 — 1917), Тбилиси, 1968, с. 79.

60 ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 168.

დებოდა „სორაპანის“ სტამბაში[61]. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა განცხადების დაწერის თარიღი — 1907 წლის 29 დეკემბერი (საბუთის მეორე გვერდზე წერია, რომ ნებართვა მიღებულ იქნა 1908 წლის 3 იანვარს. ამ ცნობას ხელს აწერს გაზეთის მდივანი ს. ფირცხალავა). უფრო ადრე გ. ტატიშვილმა ხელისუფლებას მოსთხოვა გაზეთ „მიწისათვის“ სახელი შეეცვალათ და ძის მაგივრად გამოეცა ჟურნალი „ფასკუნჯი“. საბუთში აღნიშნულია, რომ 1908 წლის 27 ოქტომბრიდან გაზეთი „მიწა“ გამოვა „ფასკუნჯის“ სახელწოდებით და დაიბეჭდება „შარაძის“ სტამბაში[62]. საბუთი დათარიღებულია 1908 წლის 20 ოქტომბრით და, რაც ჩვენთვის საინტერესოა, საბუთის კალიგრაფია ეკუთვნის ს. ფირცხალავას. შემდგომ, რედაქციამ გადაწყვიტა ჟურნალი „ფასკუნჯი“ დაებეჭდა სტამბა „სორაპანში“, რის შესახებაც აცნობა ხელისუფლებას[63].

ამრიგად, ჩვენი აზრით, 1907 წლის ბოლოსათვის, და არც შემდეგ, გაზეთი „მიწა“ ხელისუფლების მიერ დახურული არ ყოფილა. მას მხოლოდ სახელი და მიმართულება შეეცვალა — „ყოველკვირეული სალიტერატურო-სამხატვრო გაზეთი „ფასკუნჯი“[64].

ამით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ 1908 წლის დასაწყისში გაზეთის მესვეურებმა სცადეს „მიწის“ გამოცემის განახლება, გამოვიდა კიდეც გაზეთის 2 ნომერი (1 და 13 იანვარს), მაგრამ ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეძლო რედაქციამ. ამის შემდეგ გაზეთი „მიწა“ აღარ გამოსულა.

ს. ფირცხალავა თავის მოგონებებში რატომღაც არ ახსენებს 1908 წლის დასაწყისში გაზეთის ორი ნომრის გამოსვლას. არადა გაზეთის ორივე ნომერში საკმაოდაა ხელისუფლების საწინააღმდეგო რევოლუციური შინაარსის მასალა. ამასთან, ს. ფირცხალავას ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“, მოთავსებულია გაზეთ „მიწის“ სწორედ 1908 წლის მეორე ნომერში.

ამრიგად, გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ რევოლუციამ წარმოშვა, ხოლო რეაქციამ მათ ბოლო მოუღო. გაზეთების ბედი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული რევოლუციის ბედთან.

როგორც უკვე აღინიშნა, 1908 წელს გამოვიდა გაზეთ „მიწის“ ორი ნომერი. მეორე ნომერში დაბეჭდილი იყო ანონიმური წერილი:

---

[61] სსცსა, ფ. 17, ანაწ. I, საქ. 5439. „По заявлению Григория Павловича Татиева о разрешении издавать в Тифлиссе Грузинскую газету под названием „Мица“ (Земля)“, ფურც. 8.

[62] იქვე, ფურც. 11.

[63] იქვე, ფურც. 14.

[64] საბუთებში „ფასკუნჯი“ ხან გაზეთად მოიხსენიება, ხან კი — ჟურნალად.

„ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“, რომლის ავტორობის საკითხი საგანგებო კვლევის საგნად იქცა.

მკვლევარმა ლ. ნანიტაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი ეკუთვნის გაზეთის ფაქტიურ რედაქტორს ს. ფირცხალავას[65]. ამ შემთხვევაში იგი ემყარება მინაწერს, რომელიც აქვს გაზეთ „მიწის“ კომპლექტს. ეს კომპლექტი ეკუთვნოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მინაწერში ვკითხულობთ: რედაქცია და ხელმოუწერელი წერილები ს. ფირცხალავასია“.

მინაწერი აქვს აგრეთვე ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ გაზეთ „მიწის“ მეორე კომპლექტს, რომელიც ი. გრიშაშვილს ეკუთვნის. პოეტი განმარტავს, რომ ფსევდონიმი „სიტყვა“ ს. ფირცხალავას გულისხმობს[66].

ცნობილია, რომ 1907 წელს გაზეთ „მიწის“ რედაქციით გამოვიდა კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“. კრებულის წინასიტყვაობა და წერილი სათაურით „მკვლელს“ (ილიას დასაფლავების დღე) ეკუთვნ-ს ს. ფირცხალავას (ხელმოწერილია ფსევდონიმით — „სიტყვა“).

წინასიტყვაობაში ავტორი მიმოიხილავს ილიას მკვლელობით აღშფოთებული ქართველი ხალხის სულიერ განწყობილებას და დასძენს: ყოველი კუთხიდან მოსული შვილები ეამბორეს მის წმინდა გვამს და ყვავილებით და დიდებით შეამკეს მისი უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი, არამც თუ საქართველოს, რუსეთსაც არ უნახავს ასეთი დიდებული, ბრწყინვალე დასაფლავება მამულიშვილისა. განსვენებული მგოსნის კუბოს გარშემო შეიკრიბა მთელი ერი, ერთი მწუხარებით გამსჭვალული, ძლიერი და მრისხანე!...“[67].

გაზეთ „მიწაში“ გამოქვეყნებულ წერილში, „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“, მოიპოვება ანალოგიური ადგილი, სადაც თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ზემომოტანილი ციტატა[68]. ვფიქრობთ, ეს ორი წერილი სტილის მიხედვითაც ერთსადაიმავე ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს გავიზიაროთ ლ. ნანი-

---

65 ლ. ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ერთი ანონიმური ბროშურის ავტორის ვინაობისათვის, „წერილები“, თბ., 1981, გვ. 107—110.

66 ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული გაზეთ „მიწის“ მეორე კომპლექტი — მ. 765.

67 „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, რედაქცია „მიწისა“, ტფ., 1907.

68 გაზ. „მიწა“, 1908, № 2.

ტაშვილის მოსაზრება და დავასკვნათ, რომ ანონიმური წერილის — „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“ — ავტორი არის ს. ფირცხალავა.

საინტერესოა წერილის შემდგომი ბედი.

1914 წელს იგი ცალკე ბროშურად დაიბეჭდა ქ. გორში, მაგრამ ცენზურამ მისი გავრცელება შეაჩერა. „ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის“ თავმჯდომარეს სპეციალური დეპეშით მოუთხოვია: „გთხოვთ სტამბა „ქართლში“ შეაჩეროთ ბროშურა „ვინ იყო ჭავჭავაძე“[69].

იმავე დღეს გორში თავად მ. ციციანოვის კუთვნილ სტამბაში („ქართლში“), სადაც დაიბეჭდა ეს ბროშურა, მივიდა გორის „პრისტავი“ ფატალიბეკოვი და დაბეჭდილი ეგზემპლარები მოითხოვა. ადგილზე აღმოჩნდა 2373 ეგზემპლარი, რომლებსაც კონფისკაცია გაუკეთდა, ხოლო ანაწყობი უკვე დაშლილი იყო[70].

თბილისის საცენზურო კომიტეტი ამასაც არ დასჯერდა და დამატებითი ცნობებისა და გადარჩენილი ცალების გაგზავნა მოითხოვა, როგორც გორის მაზრის უფროსისაგან, ასევე სტამბის მფლობელისაგან[71].

სტამბის პატრონმა მ. ციციანოვმა მოახსენა ბეჭდვითი საქმის კომიტეტს: „ჩემს სტამბაში დაიბეჭდა „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“ 2400 ეგზემპლარი. მათ შორის ამჟამად 2375 ეგზემპლარი ჩაბარდა გორის მაზრის მმართველობას, 15 ეგზემპლარი ჩაგბარდათ თქვენ, ხოლო 10 ეგზემპლარი ბეჭდვისას გაფუჭდა და მე გავანადგურე პოლიციის მოთხოვნამდე“[72].

საბუთიდან ჩანს, რომ თავად მ. ციციანოვს ბროშურის 2 ეგზემპლარი გადაუმალავს. პოლიციას მან 2373 ჩააბარა, მოხსენებით ბარათში კი უჩვენებს 2375 ეგზემპლარს.

ცენზურამ მართლაც ვერ მოახერხა მთელი ტირაჟის მოსპობა. ამ ბროშურის რამდენიმე გადარჩენილი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში — მოსკოვში.

გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მესვეურები მხოლოდ ამ ორგანოებს არ დასჯერდნენ თავიანთ საპროპაგანდო მოღვაწეობაში.

---

[69] სსცსა, ფ. 480, ანაწ. II, საქ. 1187. „О задержании брошюр отпечатанной в гор. Гори в типографии „Картли“ под заглавием „Вин ико Илья Чавчавадзе“, ფურც. 3.

[70] იქვე, ფურც. 4.

[71] იქვე, ფურც. 19.

[72] იქვე, ფურც. 19 (მეორე გვერდი).

ცნობილია, რომ გაზეთების რედაქციამ გამოაქვეყნა მრავალი ბროშურა. ზოგი მათგანი უფასოდ დაურიგდა ხელისმომწერებს. ასეთებია გაზეთ „გლეხის“ რედაქციით გამოცემული ბროშურები: „გადასახადების შესახებ“ (თარგმანი რუსულიდან), 1906; „როგორ უნდა მოეწყოს მიწის საქმე“ (თარგმანი), 1906; „საგლეხო კალენდარი“, 1906; „რა უნდათ სოციალისტებს?“ თარგმანი გლეხიშვილისა (დ. ნახუცრიშვილი), 1907.

ბაქოს ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა „კალამის“ (ს. ფირცხალავა) და გაზეთ „მიწის“ რედაქციით გამოქვეყნდა შემდეგი ბროშურები: ლ. ნათაძე, „ბავშვის მოვლა“ (პედაგოგიური წერილები), 1906; ე. ბელლამი, „ზღაპარი წყლის შესახებ“ (თარგმანი დადვაძისა), 1906; ნ. კაბანოვი, „ოლქობრივი თვითმართველობა“ (თარგმანი რ. ხირსელისა), 1906; ნ. კაბანოვი, „მიწის კანონმდებლობა ახალ ზელანდიაში“, თარგმანი გ. ახალციხელისა (გ. სალარიძე), 1906; ფ. ნაუმოვი, „როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და თავისუფლება“, თარგმანი გ. ახალციხელისა (გ. სალარიძე), 1907; ვ. პოსსე. „ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია“ (თარგმანი ს. ფირცხალავასი), 1907; „საქართველოს ეკლესიის აკლება“, 1907; „ვინ რისთვის იბრძვის. პარტიები და მათი პროგრამები შედგენილი „მიწის“ რედაქციის მიერ“, 1907; „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ (რედაქცია „მიწისა“), 1907 და სხვ.

აღნიშნული ბროშურების სათაურებიდანაც ჩანს, რომ მათში გაშუქებული პრობლემები ემთხვევა გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე გამოთქმულ შეხედულებებს. ვფიქრობთ, ბროშურების ცალ-ცალკე განხილვა შორს წაგვიყვანს. შევეცდებით ძალზე მოკლედ შევეხოთ ბროშურებში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს.

ალ. ნათაძის ნაშრომის („ბავშვის მოვლა“) მიზანია ქართველ დედებს დაეხმაროს ბავშვის აღზრდის მეტად ძნელ და პასუხსაგებ საქმეში. ავტორის აზრით, ნაშრომი ბევრ სარგებლობას მოუტანდა მკითხველს, ვისაც სურდა ბავშვის აღზრდა თანადროული მეცნიერების დონეზე.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილით აღშფოთებული ქართველი ხალხი დამწუხრებული იყო. იმდროინდელმა პრესამ აღბეჭდა ეს დიდი მწუხარება. ს. ფირცხალავამ გ. სალარიძესთან ერთად ეს მასალა შეკრიბა, წინასიტყვაობა დაურთო და გაზეთ „მიწის“ რედაქციით წიგნად გამოაქვეყნა „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“. კრებულში დაბეჭდილია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა გამოსათხოვარი სიტყვები.

აღნიშნული ბროშურებიდან რამდენიმე დაბეჭდილია გაზეთებში „გლეხსა“ და „მიწაში“. ბროშურებში განხილულია ფართო პოლი-

ტიკური თვითმმართველობის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები. ავტონომიას ისინი ესწრაფოდნენ დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლების პირობებში. სოციალურ-ეკონომიკური საკითხებიდან ბროშურებში მოთხოვნილი იყო: სახელმწიფოში მცხოვრები ყველა მოქალაქის თანასწორობა, აგრარული საკითხის გადაჭრა გლეხობის სასარგებლოდ („სოციალიზაცია") და ა. შ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბროშურებში საქმე გვაქვს იმ საკითხებთან, რომლებიც განხილულია გაზეთების ფურცლებზე და მკაფიოდ ასახავენ საერთოდემოკრატიის იდეურ მიმართულებას.

3. გაზეთების ავტორები და თანამშრომლები

გაზეთების „გლეხისა" და „მიწის" რედაქციების თანამშრომლებისა და გამოქვეყნებული მასალების ავტორების წრე საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ გაზეთების იდეურ-პოლიტიკურ პროფილს ძირითადად მისი რამდენიმე თანამშრომელი განსაზღვრავდა.

მთავარ ფიგურას რედაქციის თანამშრომელთა შორის წარმოადგენდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი სამსონ გიორგის ძე ფირცხალავა. მან XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ცხოვრების რთული გზა განვლო.

ს. ფირცხალავა დაიბადა 1872 წლის 4 მაისს სოფელ მათხოჯში (ხონის რ-ნი). წერა-კითხვა სამსონს უფროსმა ძმებმა შეასწავლეს. შემდეგ სწავლა განაგრძო ხონის ორკლასიან სასწავლებელში და ქუთაისის გიმნაზიაში. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ს. ფირცხალავა დაეწაფა ეროვნული კულტურის საგანძურს,— აგროვებდა და სწავლობდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ეცნობოდა ქართველ მწერალთა პოეტურ და პროზაულ თხზულებებს, ქართულ პუბლიცისტიკას.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდს ეკუთვნის ს. ფირცხალავას პირველი წერილების გამოქვეყნება გაზეთ „ივერიაში" („სანვინის" ფსევდონიმით). ეს იყო სამი რეცენზია ქუთაისის თეატრის წარმოდგენებზე — „ქართული დრამა ქუთაისში"[73]. ამ რეცენზიებში გაკრიტიკებულია ქუთაისის სახალხო თეატრის წარმოდგენები, მოყვანილია მსახიობთა პროფესიონალიზმის დაბალი დონის მაჩვენებელი მაგალითები. შემდეგ ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რა უნდა გა-

---

73 გაზ. „ივერია", 1893, № 24, 27, 30.

კეთდეს ქუთაისის თეატრის დასის პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის, როგორი რეპერტუარი უნდა აირჩიოს დასმა და როგორ უნდა შესრულდეს ესა თუ ის წარმოდგენა.

აქვე უნდა აღინიშნოს ს. ფირცხალავას უფრო ადრეული სამწერლო მიდრეკილებაც. მას, ჯერ კიდევ სოფელში ყოფნის პერიოდში, „ივერიისათვის" გაუგზავნია კორესპოდენცია, რომლითაც სოფლის ამბებს ატყობინებდა. შემდეგ გაუგზავნია ლექსი, რომელშიც ძველ ციხეს აღწერდა, თუმცა არც ერთი მათგანი არ დაბეჭდილა[74].

ს. ფირცხალავამ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც დაუახლოვდა ზ. ავალიშვილს, ლ. ანდრონიკაშვილს და სხვა ქართველ სტუდენტებს. პეტერბურგშივე გაიცნო ივ. ჯავახიშვილი, არჩ. ჯორჯაძე, გრ. რცხილაძე და სხვ. აქ ის ესწრებოდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ივ. თარხნიშვილისა და ალ. ცაგარელის ლექციებს. მალე სტუდენტი ს. ფირცხალავა პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი იყო ამ სათვისტომოს მიერ გამართული საღამოების სულისჩამდგმელი. მას ორი მიზანი ჰქონდა: ჯერ ერთი — პოპულარობა გაეწია ქართული კულტურისათვის, და მეორე — ამ გზით სათვისტომო თავს უყრიდა სახსრებს ხელმოკლე ქართველი სტუდენტების დასახმარებლად.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ს. ფირცხალავა დაბრუნდა საქართველოში. რამდენიმე თვე ცხოვრობდა ქშაბლიურ სოფელში, შემდეგ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო განთავისუფლდა.

ერთხანს ს. ფირცხალავა ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა სააქციო საზოგადოების („ჩემო"-ს) კანტორაში მუშაობდა, რამაც საშუალება მისცა გაცნობოდა ჭიათურელი მუშების ცხოვრებისა და შრომის მძიმე პირობებს. თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა გაზეთ „კვალში"[75]. ამ წერილებმა „საზოგადოების" ხელმძღვანელთა უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც ს. ფირცხალავა იძულებული გახდა დაეტოვებინა ჭიათურა.

შემდეგ ს. ფირცხალავა ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც ეცნობა და პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის" მოღვაწეობას; „მე ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი მესამე დასელებს, — წერდა ს. ფირცხალავა, — მაგრამ მომწონდა მათი მებრძო-

---

74 ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი", 1971, № 6, გვ. 150.

75 გაზ. „კვალი", 1900, № 28—31. „ჭიათურა" — „შთაბეჭდილებანი და ფიქრები დღიურიდან".

ლი ხასიათი"[76], ამ დროს იგი კორესპონდენციებს აგზავნის გაზეთ „კვალში". ქუთაისელი მოღვაწეების სახელით მან გ. წერეთლის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა[77].

ქუთაისში ს. ფირცხალავა აქტიურად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში, განაგრძობს პუბლიცისტურ მოღვაწეობას და მასწავლებლობს. 1899 წელს გაზეთ „ივერიაში" (S — son-ის ფსევდონიმით) აქვეყნებს სტატიას: „წერილი გიმნაზიაში ახლად სწავლა-დამთავრებულთა მიმართ"[78], რომელშიც ქართველ ახალგაზრდობას სპეციალურ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლას ურჩევს. მისი აზრით, ამ პროფესიის მქონე ადამიანი უფრო გამოადგებოდა მშობელ ქვეყანას.

ს. ფირცხალავამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისის საკვირაო სკოლის გახსნაში, სადაც ქართული ენის გაკვეთილებს ატარებდა.

იმავე პერიოდში მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა ქუთაისის თეატრის წარმოდგენებს, რომლებიც გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა სათაურით: „ქართული სცენა ქუთაისში", და „ორიოდე სიტყვა ქუთაისის სახალხო თეატრისა და წარმოდგენების შესახებ"[79].

თეატრთან დაახლოების შედეგი იყო ის, რომ მისთვის მოამზადა ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი"[80]. მასში ქვრივისა და შვილის ტრაგიკულ ამბავს ს. ფირცხალავამ დიალოგის სახე მისცა. ეს პიესა მოგვიანებით, 1907 წელს დაიდგა თბილისში ი. ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად[81].

1901 წლის სექტემბერში ს. ფირცხალავა ჩამოდის თბილისში და მუშაობას იწყებს კორექტორად გაზეთ „ივერიის" რედაქციაში. იგი მალე კორესპონდენციებსაც აქვეყნებს, მათ შორის პატარა ფელეტონებს, რომლებმაც სულ მოკლე ხანში მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ამ წერილებს მალე მოჰყვა პრინციპული შინაარსის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები (რომლებსაც ხელს აწერდა ფსევდონიმებით: „სიტყვა", „კალამი"). მკითხველი საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესა ს. ფირცხალავას ფელეტონურმა წერილებმა („დღიური", „დაუმთავრებელი ამბები", „ფიქრები... მხო-

---

76 ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი", 1971, № 6, გვ. 155.

77 გაზ. „კვალი", 1900, № 4.

78 გაზ. „ივერია", 1899, № 152.

79 იქვე, № 230, 253, 254, 266.

80 სსცსა, ფ. 480, ან წ. 1. საქ. 1866. „Вдова Отарилзе", драматические сцены, переделка из повести Чавчавадзе И. Пирцхалава, С. (1902 г., 29 стр).“

81 გაზ. „ისარი", 1907, № 217.

ლოდ ფიქრები", „პატარა ამბები", „დღევანდელი ამბები" და სხვ.), რომლებიც იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების მეტად მტკივნეულ საკითხებს ეხებოდნენ, სახელდობრ, ქართველთა ეროვნულ უუფლებობასა და დამცირებას, უცხოთა ძალადობას, ქართველთა ეროვნულ შეუგნებლობასა და უმოქმედობას. „მძიმე საცენზურო პირობების გამო მეტად ძნელი იყო ასეთ საგნებზე ლაპარაკი, — გადმოგვცემს ს. ფირცხალავა, — მაგრამ მაინც ვახერხებდი ალეგორიული სახეებით, ქარაგმებით, სიტყვების დაპირისპირებით, იგავებით, ანდაზებით, ძველისძველი მაგალითებით გადამეცა მკითხველისათვის ჩემი გულის ნაღველი, რომ მის გულს ჩემ გულთან ერთად დაეწყო ძგერა"[82].

თბილისში ს. ფირცხალავა დაუახლოვდა „ცნობის ფურცლის" გარშემო შემოკრებილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. არჩ. ჯორჯაძეს ერთხელ უთქვამს მისთვის: „შენ ჩვენი ხარ, ჩვენთან უნდა იმუშაო"[83]. და მართლაც, 1902 წლის აპრილიდან ს. ფირცხალავა გადადის გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციის თანამშრომლად და 14 აპრილს ბეჭდავს თავის პირველ წერილს — „სააღდგომოთ"[84] (ფსევდონიმით „სიტყვა").

„ცნობის ფურცელში" გამოქვეყნებული ს. ფირცხალავას ნაწერები ძირითადად იმავე ხასიათისა იყო როგორც „ივერიაში" — ფელეტონები, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, რეცენზიები და სხვ. მის ნაწერებში ნათლად ჩანს იმდროინდელი თაობის გულისტკივილი, მოწოდება — „ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური აღდგენის და გამართვისათვის..."[85]. ამ პუბლიკაციებში უკვე დასრულებულადაა ჩამოყალიბებული ს. ფირცხალავას შეხედულებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მის ნაწერებში დიდ ადგილს იკავებს ეროვნული საკითხი. არჩ. ჯორჯაძესა და გ. ლასხიშვილთან თანამშრომლობამ იგი სოციალისტ-ფედერალისტთა რიგებში მიიყვანა. ს. ფირცხალავა იგონებს, რომ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში მუშაობის დროს მისი და რედაქციის სხვა თანამშრომელთა საერთო მიზანს ახალი პარტიის — ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნა წარმოადგენდა, რისთვისაც საჭირო იყო პროგრამის შემუშავება, სათა-

---

82 ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი", 1971, № 6, გვ. 156—157.

83 ი ქ ვ ე.

84 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1902, № 1781.

85 ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი", 1971, № 6, გვ. 158.

ნადო სახსრების შეკრება, საზღვარგარეთ გაზეთის არალეგალურად გამოცემა და სხვა[86].

1902 წლის 25 მაისს ს. ფირცხალავას ირჩევენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად, ხოლო 17 ივნისიდან, გამგეობის მდივნად (ამ სამუშაოს ასრულებდა 1910 წლის 29 მაისამდე). იგი უძღვებოდა საზოგადოების საკანცელარიო საქმეს და ბიბლიოთეკას, ზრუნავდა სხვადასხვა სახის ქართული წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემაზე[87].

1903 წელს ს. ფირცხალავამ ილ. ჭყონიასთან ერთად შეკრიბა და გამოაქვეყნა XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის სერგეი მესხის ნაწერების პირველი ტომი (I — 1869—1879 წწ. „ნაწერები“), რომელიც ქართველ მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევდა ს. მესხის საზოგადოებრივ შეხედულებებზე. ამ გამოცემით ს. ფირცხალავა ადასტურებდა თავის სიახლოვეს გამოჩენილი ქართველი სამოციანელების იდეურ მემკვიდრეობასთან.

ლიტერატურული კრიტიკა დადებითად გამოეხმაურა ამ გამოცემას და მოიწონა ს. ფირცხალავას გადაწყვეტილება — გაეცნო ქართველი მკითხველისათვის ს. მესხის „გონებრივი მიმართულება და ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა“[88].

მატერიალური ხელმოკლეობის გამო ს. ფირცხალავამ ვერ შეძლო ს. მესხის ნაწერების მეორე ტომის (II — 1879—1883 წწ. „პირადი წერილები და მოგონებები ს. მესხის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“) გამოქვეყნება.

იმავე წელს ს. ფირცხალავა, შ. მღვიმელთან და ვ. ედილაშვილთან ერთად აარსებს საგამომცემლო ამხანაგობა „ტოროლას“, აქვეყნებს რამდენიმე წიგნს, მაგრამ აქაც უსახსრობა გადაეღობა და გამომცემლობამ არსებობა შეწყვიტა.

1907 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დავალებით ს. ფირცხალავამ აღწერა ი. ჭავჭავაძის ხელნაწერები და ბიბლიოთეკა[89].

1905—1907 წლების პერიოდში ს. ფირცხალავას წერილები მახვილ პუბლიცისტურ ხასიათს იღებს. ამ დროისათვის იგი სოცია-

---

86 იქვე.

87 სსცსა, ფ. 481, ანაწ. 1, საქ. 850, „ს. ფირცხალავას მოხსენება სიტყვაკაზმული ნაწერებისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების შესახებ“, ფურც. 2.

88 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2614. გრ. რცხილაძის რეცენზია: საალიტერატურო შენიშვნები — „ნაწერები სერგეი მესხისა“, ტ. პირველი, გამოცემა ს. ფირცხალავასი.

89 გაზ. „ისარი“, 1907, № 225.

ლისტ-ფედერალისტთა აღიარებული ლიდერია და მის უკიდურესად მემარცხენე (წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) ფრთას ხელმძღვანელობს. მოღვაწის პუბლიცისტიკაში წინა პლანზე დგას აგრარულ-გლეხური საკითხი, მშრომელი გლეხობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

სარედაქტორო მუშაობის პარალელურად, ს. ფირცხალავა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალურ ორგანო გაზეთ „შრომაში“[90] ბეჭდავს ფელეტონებს „დღევანდელი ამბების“ სათაურით, რომლებშიც ჩამოყალიბებულია პუბლიცისტის შეხედულებები მიმდინარე რევოლუციის აქტუალურ საკითხებზე, განხილულია საქართველოს ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების საკითხები. მაგალითად: „რა ხდებოდა სათათბიროს მოწვევამდე“, „რა მოგვიტანა სათათბირომ“, „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მიწის საკითხს“, „მუშა და გლეხი“, „რომელ კლასს ეკუთვნის მშრომელი გლეხობა“, „მონარქია ყველგან ერთნაირია“, „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, „ავტონომია და ფედერაცია“ და ა. შ. ამ პუბლიკაციებს ს. ფირცხალავა ხელს აწერს „იგივეს“ ფსევდონიმით[91].

რეაქციის პერიოდში, 1908 წელს ს. ფირცხალავა სცემს ყოველკვირეულ სალიტერატურო ჟურნალ „მზეს“ — „კაზმული მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი“. ჟურნალს რედაქტორად ხელს აწერს ნ. ასათიანი[92]. პირველ ნომერში დაიბეჭდა ს. ფირცხალავას მეთაური წერილი, რომელშიც განმარტებულია ჟურნალის დანიშნულება და მიმართულება. რედაქტორის აზრით, ხელოვნების სიყვარული განსაკუთრებით საჭიროა ამ დროისათვის, რადგან ქართველ ხალხს ძალას შემატებდა რეაქციასთან საბრძოლველად. ს. ფირცხალავას ღრმად სწამდა, რომ „ხელოვნება თვით თავისუფლებაა და ყოველი მისი ნაწარმოები, თავისუფალი სულის წარმოშობილი, ყოველთვის ებრძვის მონობას და ამსხვრევს მის ბორკილებს[93].

ჟურნალში იბეჭდებოდა გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწარმოებები, კერძოდ, ი. ჭავჭავაძისა და

---

90 გაზ. „შრომა“, 1906, № 49, 50, 55, 59, 66, 71, 77, 82, 88, 94, 100, 106.

91 დასახელებული ფსევდონიმების გარდა ს. ფირცხალავას ფსევდონიმებია: „სამსონი“, „ტოროლა“, „№№“, „**“, „!?“, „S—n“.

92 სსცსა, ფ. 17, ანაწ. I, საქ. 6360. „По прошению Николая Гаврииловича Асатиани о разрешении издавать журнал „Мзе“ (солнце)“; იხ. აგრეთვე გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), თბ., 1947, გვ. 31; А. Абрамишвили, Грузинская периодика (1819—1917), Тб., 1968, с. 106.

93 ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 168.

აკ. წერეთლის ლექსები და მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასა და შ. არაგვისპირელის, კ. მაყაშვილის, დ. მეგრელის, ა. შანშიაშვილისა და სხვათა ლიტერატურული ნაწარმოებები, კ. აბაშიძისა და ივ. გომართლის კრიტიკული წერილები.

„მზის“ არსებობა მესამე ნომრით დასრულდა. ხელისუფლებამ ჟურნალი დახურა და რედ. — გამომცემელი (ფიქტიური) ნ. ასათიანი დროებით დაატუსაღა[94] — გადმოგვცემს ს. ფირცხალავა.

ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა შ. არაგვისპირელის მოთხრობა „სამარცხვინო ბოძზე“, რომელშიც მხილებული იყო ხელისუფლება[95]. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: В № 1, от 6 сего октября, грузинской газеты „Мзе“ появилась статья „у позорного столба“, этюд возмутительного по своему содержанию характера“[96].

ხელისუფლებას არ მოეწონა მისი მამხილებელი მოთხრობა და სწორედ ეს არის ჟურნალის დახურვისა და რედაქტორის პასუხისგებაში მიცემის მიზეზი.

გაზეთმა „ამირანმაც“ აუწყა ქართველ საზოგადოებას ხელისუფლების მიერ ჟურნალის დახურვა[97].

ჟურნალ „მზის“ დახურვის შემდეგ ს. ფირცხალავა იწყებს ყოველკვირეული სამხატვრო-ლიტერატურო ჟურნალ „ფასკუნჯის“ გამოცემას („კაზმული მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი“).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაზეთი „მიწა“ ხელისუფლებას არ დაუხურავს, მას მხოლოდ სახელი და მიმართულება შეეცვალა და ამ შემთხვევაშიც რედაქტორ-გამომცემლად გრ. ტატიშვილი გვევლინება. შემდეგ გრ. ტატიშვილმა ჟურნალის რედაქტორობა ოფიციალურად ს. ფირცხალავას გადასცა[98].

---

94 იქვე.

95 მოთხრობა დაწერილია 1906 წ. მარტში ი. ჯორჯიაშვილის სიკვდილით დასჯის დროს.

96 სსცსა, ფ. 480, ანაწ. II, საქ. 272. „О Разрешении гражданину Николаю Асатиани издавать газету, на Грузинском языке „Мзе“ (Солнце)“, ფურც. 7.

97 გაზ. „ამირანი“, 1908, № 187 (ქრონიკა).

98 სსცსა, ფ. 480, ანაწ. II, საქ. 45. „О разрешении Григорию Павловичу Татиеву издавать газету, на грузинском языке „Мица“ (Земля) и о переименовании этой газеты в „Паскунджи“ (Орёл) передано редактирование Самсону Пирцхалава“, ფურც. 5; აგრეთვე, სსცსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 5439. „По заявлению Григория Павловича Татиева о разрешении издавать в Тифлиссе грузинскую газету под названием „Мица“ (Земля)“, ფურც. 11.

1908 წელს მოვიდა ჟურნალ „ფასკუნჯის“ 8 ნომერი, 1909 წელს კი — 17[99]. „ფასკუნჯის“ რედაქციის თანამშრომლები იყვნენ „მზეში“ მომუშავენი და ჟურნალის სახეც არ შეცვლილა[100]. ჟურნალში დაიბეჭდა მრავალი ისეთი ნაწარმოები, რომლის დასაწყისიც „მზემ“ დაბეჭდა. „ფასკუნჯის“ პირველი ოთხი ნომერი ყოველდღიური გაზეთის ფორმატისაა, მეხუთე ნომრიდან კი — ჟურნალის სახე მიეცა. ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც უცნობი ავტორების, ასევე გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწარმოებები. მათ შორის იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ირ. ევდოშვილი, ა. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, დ. მეგრელი, ბ. ახოსპირელი, ს. მგალობლიშვილი, დ. თომაშვილი, ი. მჭედლიშვილი, ი. ნაკაშიძე, ნ. ნაკაშიძე, კ. მაყაშვილი, ი. ფანცხავა, განდეგილი, ან. ერისთავ-ხოშტარია, გ. ყიფშიძე, ა. ხახანაშვილი, ეკ. გაბაშვილი, ა. სარაჯიშვილი, ვ. მალაქიაშვილი, გ. ჯავახიშვილი, კ. აბაშიძე, ზ. ფალიაშვილი, ივ. გომართელი, კ. ყიფიანი, ტრ. რამიშვილი, აკ. ფაღავა, ნ. ლომოური, თ. რაზიკაშვილი, მ. ჯავახიშვილი, გ. ქიქოძე, იაკ. ნიკოლაძე და ა. შ. „ფასკუნჯში“ დაიბეჭდა რედაქტორის (ს. ფირცხალავას) ნაშრომი „რა არის ტრაგედია, — არისტოტელეს თეორია“. ორიგინალური ნაწარმოების გარდა, ჟურნალში დაიბეჭდა ფ. შილერის, ე. პოს, მ. მეტერლინკის, საადის, მ. ლერმონტოვის, კ. ბალმონტის და სხვა გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები, აგრეთვე ახალგაზრდა, დამწყები პოეტების ნაწარმოებებიც. მაგალითად, გ. ტაბიძის ლექსები: „ნიავი“, „ღამე“, „მომაკვდავი“, „ფიქრი“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „... ვარდი კოკობი“...

ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით, მოგვიანებით ი. გრიშაშვილი აღნიშნავდა: „სამსონ ფირცხალავას, უეჭველად, აქვს ესთეტიკური ალღო. 1909 წელს მან პირველად გამოსცა პოეზიის გაზეთი „მზე“ (შემდეგ „ფასკუნჯი“), რომელშიც იბეჭდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ისეთი წერილები, რომელთაც წმინდა ხელოვნების დამღა ჰქონდა“[101].

ვეთანხმებით რა მგოსნის აზრს, აღვნიშნავთ, რომ ჟურნალები „მზე“ და „ფასკუნჯი“ უდავოდ აძლევდა იმდროინდელ საზოგადოებას, ქართული ლიტერატურით გატაცებულ ადამიანებს უაღრესად საყურადღებო მასალას, სულიერ საზრდოს.

---

99 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819 — 1945), თბ., 1947, გვ. 31; А. Абрамишвили, Грузинская периодика (1819—1917), Тб., 1968, გვ. 108—109.

100 ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 169.

101 „ილიონი“, 1922, № 2, გვ. 56—57.

1909 წელს, 17 ნომრის გამოსვლის შემდეგ „ფასკუნჯი“ წყვეტს არსებობას[102].

არ გამართლდა რედაქტორის იმედი 1909 წლის შემოდგომაზე ჟურნალის გამოცემის განახლებისა. ცოტა უფრო მოგვიანებით, 1910 წელს გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი განახლებული ყოველთვიური სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალ „ფასკუნჯისა“[103], რომელიც მხატვრულად მაღალ დონეზეა გაფორმებული.

ს. ფირცხალავას საგამომცემლო მოღვაწეობა ამით არ ამოიწურება. 1913 წელს იგი გადასახლებიდან თბილისში დაბრუნდა (გადასახლებული იყო დონის-როსტოვში) და გამოსცა სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გვირგვინი“, რომელიც უძღვნა მეგობრის, კუჭია (ალექსანდრე) მიქელაძის ხსოვნას (1912 წელი). მასში დაბეჭდილია მ. წერეთლის „შუმერული და ქართული“, პ. ქავთარაძის მიერ თარგმნილი „ოიდიპოს მეფე“, ს. შანშიაშვილის „მეფე მგოსანი“, ს. ფირცხალავას „ღამე“ და „გლოვის ზარი“, ესკიზი „შოთა რუსთაველი“.

ს. ფირცხალავა აქტიურად თანამშრომლობს „სახალხო გაზეთსა“ და შემდეგ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში (ეს გაზეთები ერთმანეთის გაგრძელება იყო და წარმოადგენდნენ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალურ ორგანოებს). 1917 წლიდან ს. ფირცხალავა რედაქტორობს გაზეთ „სახალხო საქმეს“[104], რომელიც „სახალხო ფურცლის“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა.

გაზეთის რედაქტორობასთან ერთად ს. ფირცხალავა „ქართული მწერლობის სერიით“ წიგნების ბეჭდვას იწყებს. ამ სერიით გამოვიდა ვ. ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი“ და ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“. 1918 წელს გამოვიდა ს. ფირცხალავას წიგნი „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“[105], რომელშიც განვითარებულია ეროვნული საკითხის გადაწყვეტის წვრილბურჟუაზიული კონცეფცია.

ს. ფირცხალავას სახელი უკვდავყო მისი რედაქტორობით ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველმა აკადემიურმა გამოცემამ (1922). წიგნში დაბეჭდილია ი. მეუნარგიას მონოგრაფია „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. განყოფილებაში — „ნაწერის კრიტიკულ ბიბლიოგრაფიული განხილვა“ — წარმოდგენილია ე. თა-

---

102 ჟურნ. „ფასკუნჯი“, 1909, № 17.

103 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), თბ., 1947, გვ. 31.

104 იქვე, 1947, გვ. 50.

105 ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, (1629—1920), თბ., 1941, გვ. 428.

ყაიჩვილის „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები“, ს. ფირცხალავას „ვარიანტების განსხვავება და გამოცემანი“, ასევე მისი „ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემანი“ და ბოლოსიტყვაობა, მ. ჯავახიშვილის „ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი ჩვენს მწერლობაში“, გ. ქიქოძის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, დ. უზნაძის „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, ს. გორგაძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია რედაქტორის მიერ შედგენილი „ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი“, რომელიც მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული.

წიგნის გამოსვლას იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობა აღტაცებით შეხვდა. აღინიშნა, რომ მ. გედევანიშვილის მიერ გამოცემული წიგნის — „ილია ჭავჭავაძე“ — შემდეგ ასეთი წიგნი ჯერ არ დაბეჭდილა. „სამსონ ფირცხალავას რედაქციით გამოცემული „ბარათაშვილი“ აკადემიური გამოცემაა. აქ ყოველივე წვრილმანი, რაც მგოსნის გარშემო მომხდარა, დიდი სათუთობით არის დალაგებული“[106].

1921 წელს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომაზე ქართველი კლასიკოსების მონოგრაფიული შესწავლის კოლეგიაში პ. ინგოროყვასა და ვ. კოტეტიშვილთან ერთად ირჩევენ ს. ფირცხალავასაც. ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ქართული წიგნისადმი ამ უანგარო მოღვაწის უდიდესი მზრუნველობისა[107].

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საბჭოთა მთავრობის ნებართვით, ს. ფირცხალავა საზღვარგარეთ (ემიგრაციაში) წავიდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, კვლავ საბჭოთა მთავრობის ნებართვით, სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ სამწუხაროდ, მალე დააპატიმრეს სამშობლოში დაბრუნებულ სხვა ემიგრანტებთან ერთად.

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის წინაშე იშუამდგომლა მხცოვანი მწერლის, ს. ფირცხალავას განთავისუფლებაზე. ამასთან, მწერალთა კავშირი თავდებობდა, რომ იგი თბილისიდან არ წავიდოდა საქართველოს საგანგებო კომისიის ნებართვის გარეშე[108].

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ს. ფირცხალავა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა და ამ პერიოდშიც გამოაქვეყნა წე-

---

106 „ილიონი“, 1922, № 2, გვ. 56—57.

107 ლ. ნანიტაშვილი, წერილები, თბ., 1981, გვ. 33.

108 ლ. ნანიტაშვილი, „მოღვაწე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, № 2, გვ. 12.

რილები: „სალამი სამშობლოს“[109], „ძველი ქართული პრესის სიამაყე (ს. მესხის გარდაცვალებიდან 65 წლისთავის გამო)“[110], „ქართული ენის სიწმინდისათვის“[111].

ს. ფირცხალავა ავტორია რამდენიმე ისტორიული ხასიათის წიგნისა: „სამაჰმადიანო საქართველო, ან ძველი მესხეთი“ (1915), „თამარ მეფე“ (1939), „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40—6 სს. ძვ. წ.“ (1948), რომლებშიც გამახვილებულია ყურადღება საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე.

ღვაწლმოსილი მამულიშვილი ს. ფირცხალავა 1952 წელს დაღუპა. სიკვდილის წინ მან დაწერა მოგონებები[112], რომელშიც XX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი აზრის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი მრავალ საყურადღებო ფაქტს ამოიკითხავს.

* * *

გაზეთ „გლეხის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი და აქტიური თანამშრომელი იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი მ ი ხ ე ი ლ ს ა ბ ა ს ძ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (ადამაშვილი). მისი ცხოვრება, მოღვაწეობა, მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა შედარებით უკეთაა შესწავლილი, რის გამოც აქ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

* * *

გაზეთებში „გლეხი“ და „მიწა“ აქტიურად თანამშრომლობდა ცნობილი ქართველი მწერალი და დრამატურგი დ ა ვ ი თ გ ი ო რ გ ი ს ძ ე ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი.

დ. ნახუცრიშვილი დაიბადა 1874 წლის 23 ივლისს (ძველი სტილი) სოფ. ხაშმში. პირველდაწყებითი სწავლა ოჯახში მიუღია, ხოლო შემდეგ მშობლებს სოფლის სკოლაში მიუბარებიათ. შვიდი წლის დავითი გომბორში გაგზავნეს რუსული ენის შესასწავლად. გომბორიდან 1883 წელს თბილისში ჩამოიყვანეს და სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს. გიმნაზიის მეორე კლასიდან სასულიერო სასწავლებელში გადავიდა, ხოლო შემდეგ — სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას.

---

109 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, № 29.

110 იქვე, № 33.

111 ი ქ ვ ე, № 40.

112 გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, № 10735; ნაშრომი გამზადებული იყო რედაქციაში წარსადგენად, როდესაც გამოვიდა ლ. ნანიტაშვილის წიგნი „სამსონ ფირცხალავა. მოგონებათა ფურცლები“, თბ., 1988.

თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს აქტიურად თანამშრომლობდა მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალების დაარსებაში („მუზა“, „პირველი ნაბიჯი“). ამავე ჟურნალებში აქვეყნებს თავის პირველ ორიგინალურ თხზულებებს. ჟურნალის დაარსებისათვის 1895 წელს დ. ნახუცრიშვილი სემინარიიდან მეორედ გარიცხეს (პირველად 1894 წელს მოწაფეთა გამოსვლების გამო გაირიცხა). ამჯერად დ. ნახუცრიშვილი პოლტავაში გაემგზავრა და იქ დაამთავრა სემინარიის კურსი. უსახსრობის გამო დავითმა ვერ მოახერხა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, დაბრუნდა საქართველოში და განაგრძო სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

დ. ნახუცრიშვილის როგორც თეატრის მოღვაწისა და მსახიობის სადებიუტო გამოსვლა 1889 წელს განხორციელდა საგარეჯოს თეატრში (მონაწილეობა მიიღო ა. ყაზბეგის „არსენას“ დადგმაში). 1892 წელს ხაშმის სახალხო თეატრის დაარსებასთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ შემოსავალი სოფლის სამკითხველო-წიგნსაცავის შექმნას მოხმარებოდა. საქმის ორგანიზატორად დავითი აირჩიეს, რომელიც ამ საპატიო მოვალეობას წლების მანძილზე პირნათლად ასრულებდა.

თბილისში დასახლების შემდეგ, 1900-იანი წლების დასაწყისში „ავჭალის აუდიტორიის“ მიერ გამართულ წარმოდგენებში მონაწილეობდა („არსენა“, „პეპო“ და სხვ.), აქტიურად ჩაება ქართული თეატრის საორგანიზაციო მუშაობაში. ამავე დროს, 1904 წლამდე დ. ნახუცრიშვილი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მუშაობდა აღმზრდელად, შემდეგ მსახურობდა სინოდალურ კანტორაში.

დ. ნახუცრიშვილი აქტიურად მონაწილეობდა 1905—1907 წლების რევოლუციაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, დ. ნახუცრიშვილმა გაზეთ „გლეხის“ რედაქტორობა მ. ადამაშვილს გადასცა. დ. ნახუცრიშვილი გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფაქტიური რედაქტორის ს. ფირცხალავას უახლოესი თანამოსაქმე იყო. გაზეთების ფურცლებზე დ. ნახუცრიშვილმა გამოაქვეყნა სხვა პუბლიცისტებზე ბევრად მეტი წერილი[113] (24). ესენია: „მშრომელო ხალხო, შეერთდი!“[114], „რა არის მამასახლისი?“[115], „სოფლის ბობოლები“[116], „ხალხის ფული“[117], „მიწა როგორ ვიხმაროთ?“[118], „გურულებს მივბაძოთ“[119],

113 წერილებს ხელს აწერდა „გლეხიშვილის“ ან „გლეხისშვილის“ ფსევდონიმით.

114 გაზ. „გლეხი“, 1906, № 1.

115 იქვე, № 2.

116 იქვე, № 4.

117 იქვე, № 5—6; გაზ. „მიწა“, 1906, № 1.

118 გაზ. „მიწა“, 1906, № 2.

119 იქვე, № 4.

„როდის გაუმჯობესდება გლეხების ცხოვრება?“[120], „რა უნდათ სოციალისტებს? (თარგმანი)“[121], „კიდევ ერთი ნაბიჯი!“[122], „წესდება ხაშმელ შევენახეთა ამხანაგობისა“[123], „ძველი მოკვდა“[124], „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს“[125], „რას მოელის გლეხი სახელმწიფო სათათბიროსაგან“[126], „მუშა ხალხის უფლება მიწაზედ“[127], პარტიები სათათბიროში“[128], „მიწა, მიწა!“[129]. დ. ნახუცრიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე გაზეთ „გლეხში“ გამოქვეყნებული სტატია: „ჩვენებური ამბები“[130].

დ. ნახუცრიშვილი გლეხური დემოკრატიის წარმომადგენელი იყო. ამ პოზიციას იცავდა თავის დრამატურგიულ მოღვაწეობაშიც.

სამწერლო მოღვაწეობის პერიოდში დ. ნახუცრიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“, ხოლო შემდეგ „კვალში“ და „განათლებაში“; გაზეთებში: „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“. მისი პუბლიკაციები ძირითადად ქართულ დრამატურგიას ეხებოდა და ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათისაა. „გლეხიშვილის“ გარდა მისი ფსევდონიმები იყო: „დავით ივრელი“, „ნარვილი“, „ბერიკა“, „რადამისტი“, „გლეხი“, „ხაშმელი“.

1907 წელს დ. ნახუცრიშვილი აირჩიეს ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრად, სადაც ცხრა წელი იმუშავა. აღსანიშნავია ამავე წელს დ. ნახუცრიშვილის მიერ წარმოთქმული მგზნებარე პატრიოტული სიტყვა ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს მთაწმინდაზე.

1917 წელს დ. ნახუცრიშვილი მუშაობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად და პარლამენტის საქმის მწარმოებლად. მაგრამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მალე სიცოცხლე მოუსპეს. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ინტერვენცია საქართველოს ანექსიით და მისი გასაბჭოებით დასრულდა.

---

120 იქვე, № 8—13.
121 იქვე, № 14—15 (ფსევდონიმით „გლეხი“).
122. იქვე, № 16.
123 იქვე.
124 იქვე, 1907, № 1.
125 იქვე, №8.
126 იქვე, № 10.
127 იქვე, № 11.
128 იქვე, № 13.
129 იქვე, № 14.
130 გაზ. „გლეხი“, 1906, № 2 („ხაშმელის“ ფსევდონიმით).

1921—1922 წლებში დ. ნახუცრიშვილი სოფ. ნაშმში მუშაობდა მასწავლებლად, შემდეგ — სართიჭალის განათლების განყოფილების გამგედ.

1923 წლიდან იგი კვლავ თბილისშია და მუშაობს ოპერის თეატრის საქმეთა მმართველად, შემდეგ, განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების კომიტეტის მდივნად, 1924 წლიდან კი სახელმწიფო კონსერვატორიაში მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.

დ. ნახუცრიშვილი 1932 წელს, 58 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ხანგრძლივი და მრავალფეროვანი სამსახურებრივი დატვირთვის მიუხედავად, დ. ნახუცრიშვილი მაინც, მთელი არსებით, ქართული თეატრის აღორძინებისა და დრამატურგიის წინსვლის საქმეს ემსახურებოდა. მან თავისი პრაქტიკულ-ორგანიზაციული საქმიანობით და შემოქმედებითი შრომით გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში.

„მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხალხის მოთხოვნილებას“. — წერდა დ. ნახუცრიშვილი. — თეატრი მით არის შესანიშნავი დაწესებულება, რომ იგი სიამოვნებასთან ერთად შეუმჩნეველად ზნეობრივ გამაფაქიზებელ გავლენასაც ახდენს ადამიანზე. ორიგინალური პიესები უნდა გავამრავლოთ, რადგანაც ასეთი პიესები, როგორიც სუსტნიც არ უნდა იყოს ესინი, მაინც ჩვენს უშუალო წყლულს შეეხებიან“[131].

დ. ნახუცრიშვილის კალამს ეკუთვნის ხუთმოქმედებიანი დრამები — „ბედოვლათი“[132] და „იანიჩარი“ (1900), ერთმოქმედებიანი კომედია „დედაკაცმა აგვრია“ (1901), „მკვლელები და ხმა“ (1907. ი. ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით), დრამატურგიული ეტიუდი „ძეობა და მუზები“ (1908), „პაატა ბატონიშვილი“ („პაატას შეთქმულება“, 1922).

დ. ნახუცრიშვილმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაწერა კინოსცენარები: „წითელი დირექტორი“ (1929), „კოლხეთის ასული“ (1928—1929), საოპერო ლიბრეტო „იავნანა“, საბავშვო პიესები: „ნაცარქექია“ და „რუხი მგელი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია კიკილა“ პირველი ქართული საბავშვო სპექტაკლი იყო.

დ. ნახუცრიშვილს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი ქართულად ნათარგმნი ნაწარმოები. მაგ.: ერნსტის კომედია „პედაგოგები“, გ. ჰაუპტმანის „მზის ჩასვლის წინ“. 1906 წელს თბილისში დაიდგა შ. გუნოს ოპერა „ფაუსტი“, რომლის ლიბრეტო დავითმა ზ. ფალიაშვილის დავალებით თარგმნა.

---

131 გ. კაკიაშვილი, დრამატურგთა პორტრეტები, თბ., 1961, გვ. 43.

132 პიესა 1903 წელს გადაკეთდა და „ოჯახის ბურჯი“ ეწოდა.

1914 წელს გამოვიდა დ. ნახუცრიშვილის მოთხრობების კრებული სათაურით „ჯიუტები“, რომელშიც მოთავსებულია მისი რჩეული პროზაული თხზულებები. კრებულში ასახულია იმდროინდელი სოფლის ყოფა-ცხოვრება, ჩაგრული, მშრომელი ადამიანების ცხოვრება და ქართველი ხალხის შორეული წარსულის ლეგენდარული ამბები. ავტორი მშრომელი ხალხის მოსარჩლედ გვევლინება. იგი გლეხური დემოკრატიის ღირსეული წარმომადგენელია.

* * *

გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მესვეურების გვერდით აუცილებელია მოვიხსენიოთ რედაქციის თანამშრომელი, პირველი ქართველი გრავიორ-ქსელოგრაფი გ რ ი გ ო ლ პ ა ვ ლ ე ს ძ ე ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი (1848—1911). გაზეთების გაფორმება, მათი სისადავე, კომპოზიციური მთლიანობა, დიდი გემოვნებით შესრულებული პირველი გვერდის ნახატი, ნაბეჭდის მაღალი ხარისხი — გ. ტატიშვილის დამსახურებაა. გარდა ამისა, გ. ტატიშვილი იყო გაზეთ „მიწის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი, რაც იმ პერიოდში მეტად საშიშ საქმეს წარმოადგენდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გაზეთების დროულად გამოსვლაში.

გაზეთებში „გლეხი“ და „მიწა“ წერილებს აქვეყნებდა აგრეთვე მრავალი ქართველი მწერალი[133] და საზოგადო მოღვაწე. მათ შორისაა გამოჩენილი ქართველი მწერალი-პუბლიცისტი, პოეტი, მკვლევარი — ეთნოგრაფი და სახალხო მასწავლებელი ი ვ ა ნ ე პ ა ვ ლ ე ს ძ ე გ ვ ა რ ა მ ა ძ ე (1831—1912) „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილი, რომელიც კორესპონდენციებს უგზავნიდა გაზეთ „გლეხის“ რედაქციას სათაურით „საუბარი გლეხებთან“[134]. კორესპონდენციებში ივ. გვარამაძე ესაუბრება გლეხობას მათ გასაჭირზე, უხსნის ამგვარი ცხოვრებიდან თავის დაღწევის გზებს, მოუწოდებს გაერთიანებისაკენ, კავშირების დაარსებისკენ.

გაზეთების მესვეურებთან დაახლოებული პიროვნება იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლ უ ა რ ს ა ბ გ ე რ ა ს ი მ ე ს ძ ე ბ ო ც ვ ა ძ ე (1866—1919), რომელსაც გაზეთ „მიწაში“ (ფსევდონიმით „ლ. ბ-ძე“) გამოქვეყნებული აქვს წერილი: „კრების თავისუფლება“[135]. წერილში ავტორი მოუწოდებს გლეხობას მოიპოვონ კრებისა და სიტყვის თავისუფლება.

---

133 გაზეთებში გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს ცალკე პარაგრაფში შევეხებით.

134 გაზ. „გლეხი“, 1906, № 5—7.

135 გაზ. „მიწა“, 1906, № 5.

საყურადღებო ფაქტია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, პუბლიცისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძის (ფსევდონიმი — „ფრონელი") (1862—1916) წერილების გამოქვეყნება გაზეთ „მიწაში" სათაურით: „ბატონ-ყმობის გადავარდნა საქართველოში"[136]. ამ წერილში ა. ყიფშიძე, ერთ-ერთი პირველთგანი ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა შორის, არკვევს 1905—1907 წლების რევოლუციის გამომწვევ მიზეზებს და 1861 წლის საგლეხო რეფორმის ნაკლოვანებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მსჯელობა საგლეხო რეფორმის ცალმხრივობაზე, ძალზე ახლოს დგას ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებასთან.

გაზეთების რედაქციასთან თანამშრომლობდა აგრეთვე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი (1951—1914). გაზეთ „მიწაში" ა. სარაჯიშვილს გამოქვეყნებული აქვს საკმაოდ ვრცელი წერილი: „როგორ გაუძღვნენ სიცილიელი გლეხები თავიანთ საერთო საქმეს"[137], რომელშიც დახასიათებულია სიცილიელი გლეხობის საქმიანობა, ჩამოთვლილია ის მიღწევები, რომელსაც სიცილიის გლეხობამ შეკავშირების შედეგად მიაღწია.

ანალოგიურ მიზნებს ისახავს გ. ახალციხელის ფსევდონიმით გაზეთ „მიწაში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი, ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი გიორგი ნიკოლოზის ძე სალარიძე (1870—1938). მისი პუბლიკაცია, „როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და თავისუფლება"[138], ფ. ნაუმოვის ნაშრომის თარგმანია. წერილში აღწერილია კონსტიტუციური თავისუფლებების მოპოვებისათვის ფრანგი ხალხის მიერ გაწეული ბრძოლის ეპიზოდები. ავტორი ქართველ გლეხობას ურჩევს მათ მიბაძონ.

გაზეთ „მიწაში" მეტად ნაყოფიერი იყო ცნობილი ქართველი მწერალი-ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ თომას ძე ცინცაძის (1872—1933) თანამშრომლობა. „ია ეკალაძის" ფსევდონიმით გაზეთში დაბეჭდილია მისი ვრცელი თარგმანი „ბრძოლა სიმართლისათვის"[139], წერილები: „მწარე და ტკბილი ფიქრები"[140] და კორესპონდენცია „ჩვენებური ამბები"[141]; „ი. — ცანის" ფსევდო-

---

136 გაზ. „მიწა", 1907, № 8, 10.
137 იქვე, 1906, № 2—9.
138 იქვე, № 15—16.
139 იქვე, № 10—16; 1907, № 1, 2.
140 იქვე, 1908, № 1.
141 იქვე.

ნიმით ხელმოწერილია წერილი „მაძიებელნი“[142]. ი. ცინცაძის არა მარტო აღნიშნული პუბლიკაციები, არამედ ამ პერიოდის მთელი რიგი სხვა ნაშრომები რევოლუციური პათოსით აღაგზნებდა მშრომელ გლეხობას. ი. ცინცაძის პუბლიკაციებში გადმოცემული იდეები ძირითადად ემთხვევა გაზეთების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებას, მის არაპროლეტარულ რევოლუციურ-დემოკრატიულ სულისკვეთებას.

„ამხანაგის“ ფსევდონიმით გაზეთ „გლეხში“ წერილი „შიო ჩიტაძის მოკვლა“[143] გამოაქვეყნა ქართველმა რევოლუციონერმა გ ი ო რ გ ი ს პ ი რ ი დ ო ნ ი ს ძ ე ლ ო მ თ ა თ ი ძ ე მ (1884—1916). ამ მკვლელობით აღშფოთებული პუბლიცისტი აღწერს შ. ჩიტაძის დამსახურებას ქართველი ხალხის და, საერთოდ, რევოლუციური მოძრაობის წინაშე, სამარცხვინო ბოძზე აკრავს მეფის ხელისუფლების ძალმომრეობას.

სამწუხაროდ, ვერ დადგინდა ფსევდონიმებით ხელმოწერილი მთელი რიგი ფრიად საყურადღებო პუბლიცისტური წერილებისა თუ სტატიების ავტორთა ვინაობა. ამასთან, დაუდგენელია ზოგიერთი ხელმოუწერელი სტატიის ავტორთა ვინაობაც. როგორც აღინიშნა, ი. გრიშაშვილისა და ლ. ნანიტაშვილის აზრით, ყველა ხელმოუწერელი სტატია ეკუთვნის ს. ფირცხალავას. ამ აზრის გასაზიარებლად, ვფიქრობთ, დამატებითი კვლევაა საჭირო, რაც ამჯერად ჩვენი ძირითადი ინტერესების მიღმა რჩება.

---

142 გაზ. „მიწა“, 1907, № 16, 18, 19.

143 გაზ. „გლეხი“, 1906, № 4.

თ ა ვ ი II

აგრარული საკითხი გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს აგრარული საკითხი წარმოადგენს. რუსეთში იგი განსაკუთრებული სიმძაფრით 1861 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ წარმოიშვა, ხოლო საქართველოში — 1864 წლიდან. საგლეხო რეფორმამ ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი. ფეოდალური მიწათმფლობელობა რუსეთში დიდხანს შემორჩა, ბატონყმობის გადმონაშთები სერიოზულად აფერხებდნენ რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კიდევ მეტი, ჩამონაჭრების სახით გლეხობამ მიწის ფართობის თითქმის 1/5 დაკარგა და მიწის სიმცირეს მწვავედ განიცდიდა.

ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, ფეოდალიზმის გადმონაშთების არსებობა აგრარულ საკითხს განსაკუთრებულ, თავისებურ ხასიათს ანიჭებდა 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის თვალსაჩინო გახდა რუსეთში სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავება. ძირეული წინააღმდეგობა მდგომარეობდა მრეწველობაში უაღრესად განვითარებულ, მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვნად განვითარებულ კაპიტალიზმსა და მიწათმფლობელობის ძველ, შუასაუკუნეობრივ ფორმებს შორის. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ძველი მიწათმფლობელობის მძაფრი მსხვრევა.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება უფრო მეტად იყო შებორკილი ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთებით, ვიდრე რუსეთში. რეფორმის შემდეგ ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა. დროებითვალდებულება საბატონყმო ვალდებულებათა გასტუმრებას გულისხმობდა, ამას ემატებოდა მიწის გამოსყიდვის გადასახადები. ახალი კაპიტალისტური ურთიერთობები ნელი ტემპით იკაფავდნენ გზას.

მაგრამ განვითარების საერთო. გეზი კაპიტალიზმის გაძლიერების გზით მიდიოდა. ეს იყო გარდამავალი ხანა, რომელიც. გარკვეული

მიზეზებისა და პირობების გამო, ძალზე გაჭიანურდა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობათა სისუსტე, საბატონო სისტემის არსებობა, კაპიტალიზმზე გადასვლის გაჭიანურების ძირითად მიზეზებს წარმოადგენდნენ.

ქართველი გლეხები, ისევე როგორც მთელი რუსეთის გლეხობა, თავგამოდებით იბრძოდა ბატონყმობის ყოველგვარი გადმონაშთების წინააღმდეგ. ამასთან, ქართველი გლეხობა, ისევე როგორც მთელი რუსეთის გლეხობა, სოციალური დიფერენციაციის პროცესს განიცდიდა. საშუალო გლეხობა სოციალურ-ეკონომიკურად იშლებოდა სოფლის ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარებად.

გლეხობის სხვადასხვა ფენის ინტერესების დაცვას ცდილობდნენ რევოლუციონერი დემოკრატები, ხალხოსნები, ესერები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვ. მაგრამ მათი კონცეფციები და იდეები წინააღმდეგობრივი და არარეალური იყო. ისინი ვერ ხედავდნენ გლეხთა ინტერესების დაკმაყოფილების რეალურ გზას, საკითხის მეცნიერულ გადაწყვეტას ვერ იძლეოდნენ.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე მიმდინარეობის, ქართველი გლეხობის რევოლუციური იდეები აგრარულ საკითხში მკაფიოდაა ასახული გაზეთების „გლეხისა“ (1906) და „მიწის“ (1906—1907) ფურცლებზე.

I. 1861 წლის საგლეხო რეფორმის შეფასება

ბატონყმობის გაუქმება რუსეთში მეტად თავისებურ პირობებში მოხდა. არსებითად ეს იყო ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმა, მაგრამ იგი მეფემ და მემამულეებმა გაატარეს. აქედან ცხადია, ამ რეფორმას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ბოლომდე ბურჟუაზიული ხასიათი. იგი გატარდა არა „ამერიკული გზით“, რომელიც ერთბაშად და საფუძვლიანად ანგრევს ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას, ფართო გზას უხსნის ფერმერულ, კაპიტალისტურ მეურნეობათა განვითარებას, არამედ „პრუსიული გზით“, რაც გულისხმობს რეფორმის ნახევრულობას, ფეოდალიზმის გადმონაშთების შენარჩუნებას და კაპიტალიზმის შემაფერხებელი ფაქტორების დატოვებას.

საგლეხო რეფორმა წინააღმდეგობრივი და რთული მოვლენა იყო. მისი ისტორიული შეფასება გულისხმობს დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენას, მისი რეალური ხასიათის განსაზღვრას.

გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ ამ მოვლენაზე ხშირად აქვეყნებდნენ სტატიებს: „გლეხების განთავისუფლება (ცხრამეტი თებერვალი)“, „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს“, „ბატონყმობის გადავარდნა“, „ჩვენი დედინაცვალი“ და ა. შ.

გაზეთები კარგად ხედავენ საგლეხო რეფორმის დადებით მხარეს. ისინი თვლიან, რომ „ამ დღეს მოისპო რუსეთში ბატონყმობა და განთავისუფლდნენ გლეხები მონობისაგან. დაიმსხვრა ბორკილები, გლეხმა მოიხსნა მძიმე უღელი და თავისუფლათ მოითქვა სული“[1].

სტატიაში „გლეხების განთავისუფლება“ ავტორი რეფორმის მნიშვნელობას ხედავს გლეხის პიროვნული მდგომარეობის გაუმჯობესებაში, გლეხი ადამიანად იქცა, გამოფხიზლდა, ამოძრავდა. „მართალია, დღეს გლეხს არა აქვს სრული თავისუფლება, მაგრამ ცხრამეტს თებერვალს იმის თავისუფლება მაინც მოიპოვა, რომ აღარ არის სხვისი მონა და ყმა“[2].

ავტორი გატაცებულია 19 თებერვლის ქება-დიდებით: „მაშინ გაგვითენდა თავისუფლების პირველი დღე!“ — აცხადებს იგი — მაშინ „დაედვა საძირკველი ჩვენს თავისუფალ ცხოვრებას!“.

ავტორი თვლის, რომ მისი დროის გლეხთა მძლავრი მოძრაობა, ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის არ იქნებოდა, „რომ ცხრამეტ თებერვალს არ დამსხვრეულიყო ბატონყმობის ბორკილი და გლეხებს არ გადაეგდოთ კისრიდან ბატონყმობის უღელი“. ახლა, მისი აზრით, საჭიროა ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის, მთელი მიწისათვის.

საგულისხმოა, რომ სტატიის ავტორი რეფორმის მიზეზად გლეხთა მღელვარებას, მათ ანტიბატონყმურ ბრძოლას თვლის და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთავრობა სწორედ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებამ გახადა იძულებული გაეუქმებინა ბატონყმობა.

„გლეხების უკმაყოფილებამ რომ უფრო და უფრო იმატა და გამწარებულს გლეხებს დიდი არეულობა რომ უნდა მოეხთინათ, მთავრობა შეშინდა და გამოაცხადა ბატონყმობის მოსპობა“[3].

ამჯერად პუბლიცისტი კმაყოფილდება მხოლოდ გლეხთა პიროვნული თავისუფლების აღნიშვნით, იმ დროს, როცა რეფორმამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სტატიის ავტორი გადაჭარბებით აფასებს მეფის მანიფესტის „განმათავისუფლებელ“ მისიას, თვლის მას თავისუფლების პირველ დღედ, გლეხთა თანამედროვე ბრძოლის დასაწყისად და ა. შ.

---

1 გაზ. „მიწა“, 1907, № 8, სტატია: „გლეხების განთავისუფლება“ (ცხრამეტი თებერვალი).

2 იქვე.

3 იქვე.

გაზეთ „მიწის“ ზემოხსენებულ ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით: „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს“. რაში ხედავს ავტორი (დ. ნახუცრიშვილი) რეფორმის უარყოფით შედეგებს? უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ რეფორმის დროს გლეხს „... არ მისცეს მიწა, მისივე საკუთარი მიწა; გაისტუმრეს უმიწოთ თითქმის; ვისაც მისცეს, ისე ცოტა მისცეს, რომ სათქმელად არა ღირდა... განთავისუფლების შემდეგ კი ისე მოხდა, რომ მიწა ბატონებს დარჩათ და გლეხები კი ცარიელ-ტარიელები დარჩნენ“[4].

აქ მართებულადაა მითითებული საგლეხო რეფორმის ყველაზე მძიმე, უარყოფით შედეგზე — მიწის დატოვება მემამულეთა საკუთრებაში. ავტორი ამის მიზეზად იმას თვლის, რომ ბატონყმობის გაუქმება მოახდინეს ზემოდან, მთავრობამ და მემამულეებმა. ამასთანავე მიუთითებს, რომ მთავრობა და თავადაზნაურობა გლეხთა მედგარმა ბრძოლამ აიძულა გადაედგა ეს ნაბიჯი.

დ. ნახუცრიშვილი ეხება იმ შიდაწოდებრივ ბრძოლას, რომელიც გაიმართა რუსეთის თავადაზნაურობაში რეფორმის განხორციელების ფორმისა და შინაარსის საკითხზე. იგი მიუთითებს, რომ თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გლეხთა სრულიად უმიწოდ განთავისუფლებას ითხოვდა, ამასთან გარკვეული ფულადი კომპენსაციით. მეორენი კი, „უფრო გონიერები“ — შენიშნავს ავტორი, თვლიდნენ, რომ გლეხებს ცოტაოდენი მიწა უნდა მიეცესო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინათ გლეხების საყოველთაო აჯანყება. „ხალხი ხომ ყველას ამოგვჟლეტავს, აღარც მიწას დაგვანებებს და საქმეც უფრო აიწეწება“ და მერე იმიტომ, რომ გლეხს შეძლებოდა გადასახადის გადახდა ხაზინისათვის — „ხალხს თუ მიწა არ ექნება, გადასახადი როგორღა გადაიხადოს ხაზინის სასარგებლოდ“[5].

გლეხს მიწა მისცეს „ნადელი“, მაგრამ არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობაში და დაავალეს გამოესყიდა იგი, ფასიც მებატონეებმა და მთავრობამ განსაზღვრეს. ამ გზით გლეხის განთავისუფლება თანდათანობით მოხდებოდა. „მანამდის კი მოვალენი იყვნენ, ჩვენი ბრძანებაც აღასრულონ ხოლმე — ვუწოდოთ „დროებით ვალდებულნი“. ამასთან, მიწა ისე ცოტა უნდა მიეცეთ, რომ „გლეხს მუდამ აკლდებოდეს დასამუშავებლად მიწა და ჩვენგან მოუხდეს ღალით აღებაო“[6].

---

4 გაზ. „მიწა“, 1907, № 8, სტატია: „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს“.

5 იქვე.

6 იქვე.

ამრიგად, ასკვნის ავტორი, „თუმცა გლეხი ბატონს მოაშორა ამ მანიფესტმა, მაგრამ სამაგიეროთ გლეხს მიწა ჩამოაშორა. ასე რომ თუმცა ბატონი უგლეხოთ დარჩა, გლეხი კიდეე უმიწოთ დასტოვეს“[7].

აქედან გამომდინარე, რეფორმამ ვერ უზრუნველყო აგრარული საკითხის გადაჭრა, ვერ მოხსნა ის წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშვა რუსეთში საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის.

„ბატონყმობა მოისპო ქაღალდზე, — წერდა ამავე საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „გლეხში“ ს. ფირცხალავა, — ნამდვილათ კი არსებობდა და გლეხი ისევ ყმა იყო მემამულისა...“[8].

რატომ ვერ გადაჭრა რეფორმამ აგრარული საკითხი? დ. ნახუცრიშვილის აზრით ამის მიზეზი გლეხების შეუგნებლობა იყო. გაუნათლებელი, შეუგნებელი გლეხი ენდობოდა მთავრობას (მეფეს) და მოტყუებული დარჩა.

„განთავისუფლების წინა წლებში გლეხკაცობაში მოძრაობა დაიწყო ბატონების წინააღმდეგ... ამ მოძრაობამ ბატონებიც და მთავრობაც ისე შეაშინა, რომ იფიქრეს: მოდი ჩვენვე მივცეთ თავისუფლება, რასაც თხოულობენ, თორემ თუ მოთმინების ძაფი გაუწყდათ და აგვიჯანყდნენ ყმები... მეტსაც წაგვგლეჯავენო...“ და მართლაც ასე მოხდა. „... ხაფანგი იყო დაგებული 19 თებერვლის მანიფესტში“ და გლეხი გაება მასში. „ვინ, იცის ჯერ კიდევ სანამდის დასტანჯავს და დაბეჩავებულად ატარებს რუსეთის და მასთან ჩვენს გლეხკაცობას ის მანიფესტი თუ ხალხი ფხიზლად არ იქნება მუდამ და არ განაგრძნობს ბრძოლას“[9].

ამრიგად, გაზეთის მასალებში სწორადაა მითითებული გლეხების უმიწოდ განთავისუფლების მთელი უსამართლობა და მძიმე შედეგები.

1861 წლის საგლეხო რეფორმაზე გაზეთების პუბლიცისტები გლეხობის მოსარჩლე მოღვაწეთა საქმიანობას გადმოგვცემენ (რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში). აი, რას წერს დ. ნახუცრიშვილი: „თუმცა მაშინდელმა განათლებულმა კაცებმა, სოციალისტებმა ბევრი სწერეს, ბევრი აურზაური ასტეხეს, ხალხს ატყუილებენო, გლეხს მიწას არ აძლევენ, თუმცა მიწა სულ გლეხისა არისო, მაგრამ გამგონი არავინ იყო, ხალხი შეუგნებელი იყო, მეფე ისე სწამდა როგორც ღმერთი, ენდობოდა კიდეც მას და ამიტომ სა-

---

7 გაზ. „მიწა“, 1907, № 8, სტატია: „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს“.

8 გაზ. „გლეხი“, 1906, № 3, სტატია: „გლეხი და მემამულე“.

9 გაზ. „მიწა“, 1907, № 8, სტატია: „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს“.

ბრალო თავგამოდებული მაშინდელი სოციალისტების წერა და სიტყვა ტყუილად დაიკარგა, თვითონაც თან გადაჰყვნენ თავიანთ აზრებს, თავი შესწირეს გმირულად ხალხისათვის კეთილის სურვილს"[10].

ამ სიტყვებში ჩვენ ვხედავთ დიდი რევოლუციონერი დემოკრატებ'ს, სოციალისტ-უტოპისტების ღვაწლის შეფასებას.

ამრიგად, გაზეთები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან სახგლეხო რეფორმის დადებით და უარყოფით მხარეებზე. აგრარულ საკითხში ძირითადად სწორ აზრებს გვაწვდიან რეფორმის შესახებ. საგლეხო რეფორმა მათ მიაჩნიათ 60-იანი წლების წინა ხანების რევოლუციური სიტუაციით გამოწვეულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად. ამასთან, რეფორმა შეფასებულია როგორც ხალხის მოტყუების ფაქტი. რეფორმამ არსებითად ხელუხლებელი დატოვა მემამულეთა მიწათმფლობელობა და სწორედ ამან განაპირობა 1905—1907 წლების რევოლუციაში გლეხობის მისწრაფება — რევოლუციურად გადაეწყვიტა რეფორმის მიერ გადაუჭრელი აგრარული საკითხი. გაზეთების მესვეურების აზრით, 1861 წლის შედეგად წარმოიშვა 1905 წელი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაზეთები უყურადღებოდ არ ტოვებენ სხვა ბურჟუაზიულ რეფორმებსაც, რომლებიც გატარდა 60—70-იან წლებში.

წერილში „ჩვენი დედინაცვალი" ამ საკითხზე საგანგებო მსჯელობაა გაშლილი: „ამ ორმოციოდე წლის წინათ რუსეთში ბატონყმობა გადავარდა და რუსის გლეხი ბატონისაგან თითქმის სრულიად განთავისუფლდა. ამ წყალობამ საქართველომდისაც ჩამოახწია, მაგრამ იმას წყალობისა აღარა ეცხორა: რუსეთის მთავრობამ ჩვენი გლეხისათვის სრული თავისუფლება არ გაიმეტა, ერთი ხელი გაუხსნა, მეორე კი ისევ ბატონს შერჩა. მას აქეთ გლეხი ნახევრად ისევ ყმა არის და ძველებურად — ჩვენებურად ისევ ათასნაირ ბეგარას აძლევს თავის ბატონს"[11].

ამიტომ გაზეთი „მიწა" ირწმუნებოდა: „... ჩვენივე ხელით უნდა მოვიპოვოთ ყველაფერი, რაც გვინდა, რაც ჩვენს უფლებას შეადგენს და ურომლისოდაც გაძლება არ შეგვიძლიან"[12].

ამ მასალებში აღნიშნულია და განხილულია ის განსხვავება, რომელიც არსებობდა რუსეთისა და საქართველოს საგლეხო და სხვა ბურჟუაზიულ რეფორმებს შორის, მოცემულია საქართველოში მეფის

---

10 გაზ. „მიწა", 1907, № 8, სტატია: „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს".

11 გაზ. „მიწა", 1907, № 13, სტატია: „ჩვენი დედინაცვალი".

12 იქვე.

რუსეთის პოლიტიკის დახასიათება. სტატიის („ჩვენი დედინაცვალი“) ავტორი მოითხოვს ეროვნულ თავისუფლებას და თვითმმართველობას საქართველოში.

ამრიგად, 1861 წლის საგლეხო რეფორმის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მესვეურები არსებითად სწორ პოზიციებზე იდგნენ და მთლიანობაში მათი თვალსაზრისი მართებულია.

საერთოდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული დემოკრატიული აზრი 1900-იან წლებში სწორად აფასებდა საგლეხო რეფორმის ისტორიულ მნიშვნელობას, ხედავდა მასში იმ უსამართლობათა სათავეს, რომლის გამოც რუსეთის იმპერიაში, განსაკუთრებით მის სოფელში, გამართული იყო მძაფრი აგრარული ბრძოლა.

2. აგრარული საკითხის გადაწყვეტის წვრილბურჟუაზიული კონცეფცია

აგრარული პრობლემის ქვეშ იგულისხმება ის სახელმძღვანელო პრინციპები და დებულებები, რომლებსაც მისდევს და ახორციელებს ესა თუ ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა სოფლის მეურნეობის, სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა კლასის, ფენისა და ჯგუფის მიმართ.

ახალი აგრარული თეორიები (და პროგრამები) გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩნდება რუსეთში. ისინი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ბაზაზე აღმოცენდნენ და ლიბერალურ-ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მრწამსის ავტორთა შეხედულებების შესაბამისად განვითარდნენ. რუსეთის განვითარების ისტორიული თავისებურებების გამო აგრარულ-გლეხურმა საკითხმა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაიკავა. რუსმა ხალხოსნებმა ამ საკითხზე უზარმაზარი ლიტერატურა შექმნეს და მრავალი თვალსაზრისი წამოაყენეს. თვალსაზრისების ეს მრავალფეროვნება ძირითადად ორ კონცეფციაზე დაიყვანება: ლიბერალურ-დემოკრატიულზე და რევოლუციურ-დემოკრატიულზე.

საკითხის ორგვარი გადაწყვეტა ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავდებოდა მიზნების მიღწევის გზებისა და მეთოდების საკითხში. ლიბერალები ფიქრობდნენ, რომ ეს ამოცანები შეიძლება განხორციელდეს რეფორმების გზით, მეფისა და მემამულეების მხრივ დათმობების გზით, მემამულეებისათვის სათანადო ანაზღაურების პირობით. რევოლუციონერი დემოკრატები კი ამ ამოცანების შესრულებას უკავშირებდნენ მონარქიული წყობილების დამხობას მშრომელი მასების აჯანყების შედეგად, კონსტიტუციურ-დემოკრატიული წყო-

ბილების დამყარებას, ძალაუფლების გადასვლას მშრომელი მასების ხელში.

ცხადია, არც ერთი და არც მეორე გზა რეალური არ იყო. მაგრამ თუ რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების ინტერესებს გავითვალისწინებთ, რევოლუციონერ-დემოკრატთა მოთხოვნები უფრო შეესაბამებოდა ამ ინტერესებს.

რუსეთის და მით უფრო საქართველოს პირობებში აგრარულ-გლეხური საკითხის გადაწყვეტის წვრილბურჟუაზიული იდეები მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დაწყების შემდეგაც, ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მშრომელთა ფართო მასებში. ამ პოპულარობის საფუძველი იყო მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა, რომელიც წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების აგრარული პროგრამის ქვაკუთხედს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა 1906 წელს თავიანთ პროგრამაში შეიტანეს ესერებმა, სწორედ იმის გამო, რომ ეს მოთხოვნა გლეხობის მხარდაჭერით სარგებლობდა. მიწის სოციალიზაციის იდეა შეტანილი იყო აგრეთვე ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პროგრამაშიც. საქართველოში ამ საკითხის უფრო რევოლუციურად გადაწყვეტას მოითხოვდა სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე მიმდინარეობა ს. ფირცხალავას მეთაურობით.

რას გულისხმობდა მიწის სოციალიზაცია?

მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა ნიშნავდა მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას, მთელი მიწა უნდა გადასულიყო მშრომელი ხალხის მფლობელობაში (და არა საკუთრებაში). მიწა უნდა დარიგებოდა გლეხებს იმის მიხედვით თუ ვის რამდენი მიწის დამუშავება შეეძლო. ეს უნდა განეხორციელებინა ადგილობრივ არჩეულ საზოგადოებრივ მმართველობას (კომიტეტებს). იკრძალებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, იჯარით გაცემა ან მემკვიდრეობით გადაცემა.

მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ გლეხობაშიც. გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ თავიანთ ფურცლებზე მიწის სოციალიზაციის იდეას უჭერდნენ მხარს. ეს ლოზუნგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპისათვის რევოლუციური იყო, რამდენადაც ხელს უწყობდა გლეხთა ფართო მასების ჩაბმას რევოლუციურ მოძრაობაში.

როგორ წარმოედგინათ გაზეთ „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების ავტორებს მიწის სოციალიზაცია?

ისინი, უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმით ასაბუთებდნენ, რომ ქვეყნად არსებული უსამართლობის, გლეხთა მძიმე მდგომარეობის, მათი ჩაგვრის ძირითადი მიზეზია მიწაზე მემამულური საკუთრების არსებობა[13]. გაზეთების მესვეურთა რწმენით, აუცილებელია მოისპოს მიწაზე მემამულური საკუთრება, საერთოდ მიწის კერძო საკუთრება. მიწა უნდა გადაეცეს გლეხებს, მიწის მუშებს.

„... პირველი საქმე გლეხისათვის მიწაა. როგორც თევზს არ შეუძლია უწყლოთ ყოფნა და ადამიანს უჰაეროთ, ისე არ შეუძლია გლეხს ცხოვრება უმიწოთ"[14].

მიწაზე კერძო საკუთრება ს. ფირცხალავას ბუნებრივ უკანონობად მიაჩნია. „მიწა ქვეყნის გაჩენიდან არსებობს, მიწა არავის არ გაუკეთებია. მიწა გაჩენილია ისე, როგორც მზე, მთვარე, ჰაერი, მთელი ქვეყანა. ქვეყანა არავისი საკუთრება არაა: ჩვენ მოვსულვართ, ვცხოვრობთ, ვსარგებლობთ; მოვკვდებით, წავალთ, ქვეყანა — მიწა, მზე, ჰაერი, ისევ აქ რჩება. არავის შეუძლია სთქვას: ჩემია მზე, ჩემია ჰაერიო. ასე არავის არ შეუძლია სთქვას: მიწა ჩემი საკუთრებაა. როგორც ყველას შეუძლია გათბეს მზის სხივებით, იცხოვროს ჰაერში, ისარგებლოს ჰაერით, ისე ყველას შეუძლია ისარგებლოს მიწით, სახლი დაიდგას მიწაზე, მოჭრას ტყე, დაამუშაოს მიწა, მოხნას და დასთესოს"[15].

პუბლიცისტის ამ სიტყვებში გამოსჭვივის „ბუნებითი სამართლის" მოძღვრების გავლენა, რომლის მიხედვით ადამიანებს ბუნებით მინიჭებული აქვთ უფლება მიწაზე, ისევე როგორც ჰაერზე, მზეზე და ა. შ[16].

ს. ფირცხალავა კონკრეტულად ასახელებს მიწის მესაკუთრეებს — მეფეს, მეფის ოჯახს, ხაზინას, ეკლესია-მონასტრებს, მემამულეებს და მოითხოვს, რომ მათ მიწა-ჩამოერთვას.

„მიწა უნდა ჩამოერთვას მეფეს და მის ნათესავებს და მემამულეებს და მოითხოვს, რომ მათ მიწა ჩამოერთვას.

---

13 გაზ. „გლეხი", 1906, № 1, მოწინავე: „გლეხი".

14 იქვე, № 2, მოწინავე: „მიწა".

15 იქვე.

16 „ბუნებითი სამართლის" მოძღვრება ჩაისახა ანტიკურ სამყაროში (პლატონი, არისტოტელე, ციცერონი და ა. შ.). კლასიკური ფორმით ჩამოყალიბდა XVII—XVIII საუკუნეების ევროპის მოწინავე მოაზროვნეების მიერ (ჰ. გროციუსი, სპინოზა, ჯ. ლოკი, ვოლტერი, მონტესკიე, რუსო და ა. შ.). „ბუნებითი სამართლის მოძღვრება" მიმართული იყო ხელისუფლების თვითნებობის, ძალადობისა და საერთოდ აბსოლუტიზმის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანებს გააჩნიათ ბუნებისაგან მინიჭებული მთელი რიგი თანდაყოლილი უფლებები და მათი ხელყოფის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებას.

და არ სთესავენ. მიწა იმას უნდა ჰქონდეს, ვინც თვითონ საკუთარის მარჯვენით მუშაობს მიწაზე..,"[17].

მაგრამ როგორი სტატუსით უნდა გადავიდეს მიწა მისი დამმუშავებლის ხელში? აქ ს. ფირცხალავა ასე მსჯელობს: „მაგრამ მიწები საკუთრებად კი არ გადაეცემა, კი არ დაურიგდება მიწის მუშა გლეხებს. დღეს რომ გლეხებს მიწები გადავსცეთ და ვუთხრათ: ეს სრული თქვენი საკუთრებაა, გინდათ გაყიდეთ, გინდათ დააგირავეთ, გინდათ დაამუშავეთ, — მაშინ მალე ისეთივე უსამართლობა გაჩნდება, როგორიც დღეს არის"[18].

ამრიგად, ყოველგვარი საკუთრება მიწაზე, არა მარტო მემამულური არამედ გლეხურიც (სანადელო) უსამართლობის წყაროდ შეიძლება იქცეს. „სოფელში ყოველთვის ერთი უფრო ღონიერია, მეორე უფრო სუსტი; ერთი უფრო მოხერხებულია, მეორე — არა. ერთს ბევრი ჰყავს შვილი, მეორეს — ცოტა. ხშირად რამე უბედურება შეემთხვევა გლეხს — სეტყვა მოვა, ან ჭირი გაუჩნდება საქონელს, ან ვინმე მოუკვდება, — გაჭირვებული გლეხი მაშინვე მირბის მდიდართან, თხოვს დახმარებას და უგირავებს, ან მთლად ყიდის თავის მიწას. ამას მალე ის მოყვება, რომ ზოგს სრულიად დაეკარგება მიწა და ზოგი კი ბევრს შეიძენს და ვისაც მიწა ექნება, ის აუცილებლივ დაჩაგრავს უმიწო გლეხს, დაჩაგრავს ისე, როგორც მემამულეები ჩაგრავენ დღეს გლეხებს"[19].

მაშასადამე, თავიდან რომ ავიცილოთ ასეთი უსამართლობა, სამუდამოდ უნდა მოისპოს მიწის საკუთრება; მიწის საკუთრება არ უნდა იყოს, არ უნდა შეიძლებოდეს მისი არც გაყიდვა, არც ყიდვა, არც მემკვიდრეობით გადაცემა და არც დაგირავება. მიწა უნდა იყოს საზოგადო კუთვნილება მთელი მუშა ხალხისა და ყველას უნდა შეეძლოს ისარგებლოს მიწით, იმუშაოს მიწაზე[20].

ზემოხსენებულ კორესპონდენციებში სრული სიცხადითაა გადმოცემული მიწის სოციალიზაციის მოთხოვნები, სოციალიზაციის ძირითადი დებულებები. გაზეთები ამას მიწის განსაზოგადოებას უწოდებენ და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. „... ეს დაიხსნის მხოლოთ გაჭირვებულ, გაღატაკებულ მიწის მუშა გლეხობას სიღარიბისა და შიმშილისაგან"[21].

---

17 გაზ. „გლეხი", 1906, № 2, მოწინავე: „მიწა".

18 იქვე.

19 იქვე.

20 იქვე.

21 გაზ. „მიწა", 1906, № 12, მოწინავე: „მიწის განსაზოგადოება და ღარიბი გლეხი".

გაზეთებში გადმოცემული ეს შეხედულებები თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ესერთა ერთ-ერთი ლიდერის ვ. ჩერნოვის შეხედულებას მიწის სოციალიზაციაზე[22].

გაზეთ „გლეხის“ № 4-ის მოწინავეში, მიწის კონფისკაციისა და მიწით სარგებლობის საკითხი კიდევ უფრო დაწვრილებითაა განხილული. მსჯელობს რა გლეხის დაბეჩავებული მდგომარეობის მიზეზებზე, გაზეთი გადადის მიწის განსაზოგადოების შედეგების გადმოცემაზე.

„არავის არ შეუძლია დაესაკუთროს მიწას, ვერავინ იყიდის მიწას, ვერც გაყიდის, ვერც დააგირავებს, ვერც გადასცემს თავის მემკვიდრეს; ვერავინ დაეპატრონება მიწას თავის ნებით, მიწა მთელი ხალხისა იქნება, მიწა იქნება საზოგადო, საერთო საკუთრება და მხოლოდ ხალხს, საზოგადოებას შეუძლია გადასცეს მიწა ამა თუ იმ კაცს სასარგებლოთ და დასამუშავებლად“...[23] ავტორის შეხედულებით მიწით სარგებლობის ნება აქვს „ყოველს სრულწლოვანს ადამიანს, იქნება იგი ქალი თუ კაცი, სულ ერთია, — შეუძლია მოითხოვოს საზოგადოებისაგან მიწა დასამუშავებლად იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი ოჯახის სარჩენად, თუ მას სხვა შემოსავალიც აქვს, მაშინ მიწა მიეცემა ნაკლები. არავის არ შეუძლია მიიღოს იმაზე მეტი მიწა, რამდენის დამუშავებას ვერ მოახერხებს თვითონ, საკუთარის ძალღონით, ან თავის ოჯახის შემწეობით. მიწა შეუძლია მოითხოვოს როგორც ცალკე ადამიანს, ისე მთელს ოჯახს, ამხანაგობას, სოფელს ერთად“[24].

მიწა შეიძლება მოითხოვონ: სახლის დასადგმელად, სხვა შენობისათვის (სახელოსნო) და ა. შ. „მიწა არავის არ გადაეცემა სამუდამოდ, მიწა მიეცემა მშრომელებს მარტო დროებით. ათი-თორმეტი წლის შემდეგ ყოველთვის მოხდება ხელახალი გადანაწილება, დაყოფა მიწებისა...

ვინ უნდა მოაწყოს მიწის საქმე, ვინ უნდა გაანაწილოს მიწები და ადევნოს თვალყური, რომ ყველას მიეცეს მიწა იმდენი, რამდენიც საჭიროა და რამდენის დამუშავება შეუძლია? რასაკვირველია, მიწის პატრონი და მომწესრიგებელი უნდა იყოს ის ხალხი, ვინც სარგებლობს მიწით, ვინც მუშაობს. მიწის საქმეს მოაწყობს ის, ვინც მიწაზე მუშაობს. ყოველი თემის (სოფლის) მიწის მუშები უნდა განაგებდნენ იმ

---

[22] Иллерицкая Е. В. Аграрный вопрос: провал аграрных программ и политики непролетарских партий в России, М., 1981, გვ. 43; Чернов В., „Земля и право“, 1917, вып. 1/2, გვ. 130,

[23] გაზ. „გლეხი“, 1906, № 4, მოწინავე წერილი: „როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე“.

[24] იქვე.

მიწებს, რომლებიც მიწერილი იქნება თემზე. სოფლის ყრილობა გამოიძიებს, ვის რამდენი დასჭირდება მიწა და ისე დაურიგებს ყველას; უპატრონებს, რომ არავინ გააოხროს საზოგადო მიწა, არავინ გააფუჭოს ტყე"[25]. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „რაც გუბერნიაში მიწებია, ამას უპატრონებენ გუბერნიის მუშები, მთელი საქართველოს მიწები უნდა განაგონ მთელი საქართველოს მუშა ხალხის არჩეულმა კაცებმა..."[26].

აქედან ჩანს, თუ როგორ წარმოედგინათ გაზეთების მესვეურებს ის აგრარული ურთიერთობები, რომელიც უნდა წარმოქმნილიყო მესაკუთრეთაგან მიწის ჩამორთმევისა და საზოგადო, საერთო-სახალხო კუთვნილებად მისი გამოცხადების შემდეგ.

გაზეთების ფურცლებზე გამოტანილი ეს იდეები ყველაზე არსებითად გამოხატავენ გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასების ინტერესებს აგრარულ საკითხში, გადაჭრით გამოდიან მემამულური მიწათმფლობელობის წინაღმდეგ და ცდილობენ თანმიმდევრული დემოკრატიზმი გაატარონ აღნიშნულ საკითხში.

სანამ ამ შეხედულების განხილვასა და შეფასებას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ მოვიტანოთ ერთი ამონაწერი გაზეთიდან, რომელიც მიწის გათანაბრებითი განაწილების პრინციპს აანალიზებს.

გაზეთ „მიწის" № 2-ში (1906 წ.) დაიბეჭდა დ. ნახუცრიშვილის („გლეხისშვილის" ფსევდონიმით) წერილი, რომელშიც ავტორი განიხილავს მიწათსარგებლობის რამდენიმე ფორმას — სათემოს, სანადელოს და გათანაბრებითს. ავტორი პირველი ორი ფორმის შესახებ უარყოფითი აზრისაა, ვინაიდან თვლის, რომ ერთიცა და მეორეც „...სასარგებლოა შეძლებულებისათვის და საზარალოა ღარიბი გლეხებისათვის"[27].

ავტორი მხარს უჭერს მიწის გათანაბრებით განაწილებას. მას მოჰყავს კახეთის რამდენიმე სოფლის მაგალითი, სადაც „ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის წინათ გამოიტანეს განაჩენი, რომლის ძალითაც სახელმწიფო მიწები სოფლის ფარგლებში საერთო უნდა გამხდარიყო და ყველა კომლს თანასწორად მისცემოდა სახნავი მიწა.

ვისაც ორმოცი დღისა ჰქონდა, გინდა სულ შესაყიდული ყოფილიყო, ჩამოართვეს და საერთოდ დადეს ...მიწები სასოფლოაო, გამოაცხადეს. აირჩიეს კაცები, გაზომეს, სულ რამდენი დღისა იყო. გაუნაწილეს კომლზედ და შეხვდა თითო კომლს ზოგს სოფელში ცხრა

---

25 იქვე.

26 გაზ. „გლეხი", 1906, № 4, მოწინავე: „როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე".

27 გაზ. „მიწა", 1906, № 2, წერილი: „მიწა როგორ ვიხმაროთ?".

დღიური, მეორეში რვა დღიური და სხვა. ...განაწილების შემდეგ მთელი სოფელი გავიდა მინდვრად და კენჭის ყრით დარიგდა მიწები. ვისაც რომელი მიწა ერგებოდა, იქ უნდა დამდგარიყო. კაი მიწის პატრონს რომ ხრიოკი შეხვედროდა, ხმას ვერ ამოიღებდა. ასე და ამგვარად დამყარდა ზოგიერთ გარეკახეთის სოფლებში მიწის თანასწორი სარგებლობა"[28].

ყოველ ცხრა წელიწადში ხდებოდა მიწის გადანაწილება.

აი, მიწის ასეთი დანაწილება მიაჩნდათ გაზეთების მესვეურებს მისაღებ ფორმად მიწათსარგებლობის სფეროში. მაგრამ მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა არ იყო მეცნიერული, სოციალისტური იდეა. ეს იყო ხალხოსნური სოციალიზმის იდეა, რომელიც გამოხატავდა ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის ფსიქოლოგიას, რომლის მიხედვით სოციალიზმისათვის მებრძოლი მთავარი ძალა გლეხობაა, ვინაიდან იგი ყველაზე გაჭირვებულია და ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მეტ ნაწილს შეადგენს. „რას წარმოადგენს ის (გლეხი — ა. ნ.) დღეს"? — პათეტიკურად კითხულობს გაზეთ „გლეხში" გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის ავტორი („ბოგანოს" ფსევდონიმით) და პასუხობს: „დღეს ის რევოლუციის დედაბოძია, დღეს მან ძირიანად უნდა შესცვალოს მთელი წესწყობილება და დაამაყაროს ახალი ცხოვრება"[29].

მიწის სოციალიზაციის თეორია არაა სოციალიზმისათვის სასარგებლო. კერძო საკუთრების მოსპობა და გლეხობაში მიწის თანაბრად განაწილება არ შექმნის სოფლად სოციალისტურ ურთიერთობას. სასაქონლო მეურნეობის პირობებში, თუნდაც რომ გლეხები საერთო მიწაზე შრომობდნენ, კაპიტალიზმის განვითარება გარდაუვალია. გლეხებისათვის წარმოების საშუალებებისა და იარაღების ფლობა კაპიტალიზმის ამოსავალი წერტილია. მიწის სოციალიზაციის გატარება განამტკიცებდა წვრილ გლეხურ მეურნეობას, წვრილ კაპიტალისტურ ურთიერთობებს და დაბრკოლებად იქცეოდა სოციალიზმის განხორციელების გზაზე.

ესერების აგრარული პროგრამა შინაგანად წინააღმდეგობრივი იყო. რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში ის მხოლოდ ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა ბატონყმური რუსეთიდან ბურჟუაზიული რუსეთისაკენ მიმავალ გზაზე, „ნაროდნიკობიდან მარქსიზმზე" გადასვლის გზაზე. ამასთან, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ეს აგრარული პროგრამა პროგრესული და რევოლუციური იყო.

ცნობილია, რომ აგრარულ საკითხში ნაროდნიკებისა და ესერების უტოპია თავისებურ ისტორიულ როლს ასრულებდა. იგი უტოპია

---

28 გაზ. „მიწა", 1906, № 2, წერილი: მიწა როგორ ვიხმარით?"

29 გაზ. „გლეხი", 1906, № 5, სტატია: „ცა იღრუბლება..."

იყო იმ საკითხში, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მიწების ახალი განაწილების ეკონომიური შედეგები, ხოლო ამავე დროს თანამგზავრი და სიმპტომი გახდა გლეხობის მასობრივი დემოკრატიული აღმავლობისა, ე. ი. იმ მასებისა, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ბურჟუაზიულ-ბატონყმურ რუსეთში.

როგორც ცნობილია, ნაროდნიკების უტოპია ასუსტებდა გლეხობის სოციალისტურ შეგნებას, ხოლო ამავე დროს მათი დემოკრატიული აღმავლობის თანამგზავრი და ნაწილობრივ გამომხატველიც იყო.

ისტორიის დიალექტიკა ისეთია, რომ ანტიკაპიტალისტურ საშუალებად ნაროდნიკები და ტრუდოვიკები აყენებდნენ და ახორციელებდნენ მაქსიმალურად თანმიმდევრულ და გადამწყვეტ კაპიტალისტურ ღონისძიებას რუსეთში აგრარული საკითხის დარგში. მიწების ახალი განაწილების „გათანაბრებითობა“ უტოპიაა, მაგრამ ყოველივე ძველთან, როგორც მემამულურ, ისე ნადელურ, „სახაზინო“ მიწათმფლობელობასთან კავშირის სავსებით გაწყვეტა, რაც აუცილებელია ახალი განაწილებისათვის, იყო ყველაზე საჭირო და ეკონომიურად პროგრესული რუსეთის სახელმწიფოსათვის, ყველაზე საჭირო ღონისძიება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით.

აგრარიკოსი მკვლევრები დაბეჯითებით უსვამენ ხაზს წვრილბურჟუაზიული „გათანაბრებითი მიწათსარგებლობის“ იდეების პროგრესულ როლს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. ამასთან აღნიშნავენ, რომ მიწის „გათანაბრებითი განაწილებაც“ და მისი „სოციალიზაციაც“ კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია და უტოპიაა. იგი წელიწადსაც ვერ გაძლებდა კაპიტალიზმის დროს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მისი შედეგები ნული ან მინუსი იქნებოდა?

სულაც არა! მისი შედეგები უდიდესი პლუსი იქნებოდა — დაიმსხვრეოდა ყოველნაირი განსხვავებანი მიწათმფლობელობის წოდებრივ და თანრიგობრივ ფორმებს შორის, ეს უდიდესი მოგება იქნებოდა მთელი სახალხო მეურეობისათვის, კაპიტალიზმისათვის, პროლეტარიატისათვის, ვინაიდან რუსეთის განვითარებისათვის ძველი მიწათმფლობელობის ფორმების გადმონაშთზე უფრო მავნე არაფერი იყო. ხალხოსნების აღმშენებლობითი გეგმები უტოპიაა, მაგრამ მათი აღმშენებლობითი გეგმები შეიცავდნენ ნგრევის ელემენტს შუასაუკუნეობრიობის მიმართ. ეს ელემენტი კი სრულებითაც არ არის უტოპია. ეს სავსებით ცოცხალი რეალობა იყო.

დაბოლოს, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ისტორიულად და დიალექტიკურად ფასდება სამამულო მეცნიერებაში გლეხობისა და გლეხური დემოკრატიის როლი, შეიძლებოდა დაგვემოწმებინა მოცემული თემატიკით გამოცემული კლასიკური ნაშრომები, სადაც ამომ-

წურავადაა განსაზღვრული როგორც წვრილბურჟუაზიულ-ნაროდნიკული მიმართულების მოაზროვნეთა, ისე ზოგიერთი მარქსისტის შეცდომების არსი. ისინი დაუფარავად ააშკარავებენ იმ ზოგიერთი მარქსისტის შეზღუდულობას და თეორიულ მოუმწიფებლობას, რომლებიც სამართლიანად აკრიტიკებდნენ რა წვრილბურჟუაზიული შეხედულებების სოციალისტურ საფარველს, ამავე დროს ვერ ამჩნევდნენ ამ შეზღუდულობათა უდიდეს პროგრესულ როლს ბატონყმური წყობილებისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ისტორიულ ბრძოლაში.

„ზოგიერთი მარქსისტის შეცდომა ის არის, რომ ნაროდნიკობის თ ე ო რ ი ი ს გაკრიტიკების დროს ვერ ამჩნევენ მის ისტორიულ-რეალურ და ისტორიულ-გეგმაშეწონილ შ ი ნ ა ა რ ს ს ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა შ ი. აკრიტიკებენ და სამართლიანადაც აკრიტიკებენ „შრომითს საწყისს“ და „გათანაბრებულობას“, როგორც ჩამორჩენილ, რეაქციულ, წვრილბურჟუაზიულ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს, და ივიწყებენ, რომ ეს თეორიები გამოხატავენ მოწინავე, რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ს, რომ ეს თეორიები ძველი, ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ უაღრესად გაბედული ბრძოლის დროშას წარმოადგენდნენ. თანასწორობის იდეა — უაღრესად რევოლუციური იდეაა საერთოდ აბსოლუტიზმის ძველი წესწყობილებისა და განსაკუთრებით ძველი ბატონყმური, მსხვილ-მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს იდეა კანონიერი და პროგრესულია, როდესაც მას წვრილი ბურჟუა-გლეხი აყენებს, რამდენადაც ის ფეოდალური, ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლას გამოხატავს... და ცუდი იქნებოდა ის მარქსისტი, რომელიც გააკრიტიკებდა ბურჟუაზიული ლოზუნგების სოციალისტური საფარველის სიყალბეს და ამავე დროს ვერ შეაფასებდა მათ ისტორიულ-პროგრესულ მნიშვნელობას, როგორც უაღრესად გაბედული ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ლოზუნგებისას ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბრძოლაში“ (ვ. ი. ლენინი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნათელია, რომ გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე წარმოდგენილი წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის სოციალისტური იდეოლოგია, ამავე დროს ყველაზე მოწინავე, პროგრესული და რევოლუციური თეორიაა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ის ნამდვილი რევოლუციური დემოკრატიზმის გამომხატველია.

ასე უნდა შეფასდეს გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე წარმოდგენილი მიწის სოციალიზაციის პროგრამა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ გაზეთების მესვეურები არ მიიჩნევენ საკმარისად მიწის განსაზოგადოებას. „როგორ დაამუშავებს ღარიბი გლეხი მიწას, თუ იარაღი არ ექნა, ხარი არ ეყოლა?“[30] — სვამს კითხვას ერთ-ერთ წერილში ს. ფირცხალავა და იქვე პასუხობს: „მიწის მუშა გლეხობა დღეს რომ მიწის განსაზოგადოებას მოითხოვს, ამასთან ერთად, რასაკვირველია, მოითხოვს იმასაც, რომ დღევანდელი მიწის მეპატრონეების — ხაზინის, ეკლესიის, უფლისწულების და კერძო მემამულეების იარაღები, ხარები, ცხენები და სხვა მოწყობილობა — გადაეცეს მშრომელ გლეხობას; გლეხობა კი გადასცემს იმას, ვისაც ესაჭიროება“[31].

როგორც ვხედავთ, წერილის ავტორის აზრით, განსაზოგადოებას (კონფისკაციას) მიწის გარდა სხვა საწარმოო საშუალებებიც უნდა დაქვემდებარებოდა: შრომის იარაღი, გამწევი ძალა და სხვ. ეს აზრი არაერთხელ მეორდება გაზეთების მასალებში. ჩანს, წერილის ავტორი მიზანშეწონილად თვლის გლეხის ხელში წარმოების ყველა საშუალების თავმოყრას და ვერ ამჩნევს, რომ ამით იგი სოფლად აგრარული კაპიტალიზმის გაშლას უწყობს ხელს და არა სოციალიზმისათვის ბრძოლას.

ამჩნევენ თუ არა გაზეთების მესვეურები გლეხობაში მიმდინარე ქონებრივ (და სოციალურ) დიფერენციაციას? გაზეთების მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ისინი ამას ამჩნევენ. აი, რას წერდა, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი: „გლეხებს სჩაგრავს და იბრიყვებს პოლიცია, მთავრობა, მემამულე და ძალიან ხშირად ისეთი გლეხებიც, რომლებსაც ჯიბე გაუსქელებიათ და თავის სუსტ მოძმეს სულს უხუთავენ“[32].

სოფლად ბობოლა გლეხების (კულაკების) არსებობას და მათ როლს გაზეთ „გლეხში“ სპეციალური წერილი აქვს მიძღვნილი. მასში ნათქვამია: „სოფელს ბატონობს და ეპატრონება რამდენიმე გლეხი, მაგრამ უბრალო გლეხი კი არა, არამედ შეძლებული, ჯიბე გასუქებული, დედულ-მამულის პატრონი, მყვირალა, ფულის სარგებლით მიმცემი. ეს შეძლებული გლეხები, ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან — „პატიოსანი ხალხი“ — განაგებს მთელი სოფლის ბედ-იღბალს; საითაც უნდათ, სოფელს იქით უზამენ თავს. თითონ ძალიან ცოტას მუშაობენ, სამაგიეროდ სულ სხვისი ხელით აკეთებენ საქმეს“[33]. ავტორი

---

30 გაზ. „მიწა“, 1906, № 12, წერილი: „მიწის განსაზოგადოება და ღარიბი გლეხი“.

31 იქვე.

32 გაზ. „გლეხი“, 1906, № 3, სტატია: „გლეხის წერილები“.

33 იქვე, № 4, წერილი: „სოფლის ბობოლები“.

ხატავს იმის კონკრეტულ სურათებს, თუ როგორ ავიწროებს და ჩაგრავს ეს „პატიოსანი ხალხი“ სოფლის გლეხობას. იგი მათ უწოდებს „აფთარს და სისხლის მსმელ წურბელებს“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი „ბობოლა გლეხები“ სარგებლობენ ადმინისტრაციის მხრივ მხარდაჭერით, „ისე ხდება, რომ ბატონი მამასახლისი იმ ბობოლას მომხრეა, ბობოლას ინტერესი და მამასახლისა ერთმანეთს ეთანხმებიან, ამიტომაც ერთმანეთს მხარს უჭერენ“[34].

ამრიგად, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მემარცხენე მიმდინარეობის გაზეთები ამჩნევენ გლეხთა დიფერენციაციას, კულაკური ზედაფენის გამოყოფას, მის ექსპლოატატორულ როლს, მაგრამ რა დასკვნა გამოაქვთ აქედან? როგორ უნდა მოექცეს გლეხობა სოფლის ზედაფენას?

პასუხი ასეთია: არა დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, არამედ მათი იზოლირება, მათთვის ფრთების შეკვეცა. „... ისინი უნდა სამართლიანობის გზას დაადგნენ...“[35]. ღარიბები უნდა შეერთდნენ და კრიჭაში ჩაუდგნენ ბობოლებს, თავიანთი არ უნდა გაატანინონ.

გაზეთების ფურცლებზე ვრცლადაა საუბარი გლეხთა გაერთიანების აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით არაერთხელაა მითითებული, რომ ასეთ გაერთიანებაში ბობოლა და კულაკი გლეხი არ უნდა იქნეს მიღებული. საუბრობს რა გლეხთა კავშირების შექმნის აუცილებლობაზე, ს. ფირცხალავა შენიშნავს: „...ჩვენ ვამბობთ ღარიბ მუშა გლეხებზე, რასაკვირველია, და არა მდიდარ, გაბურჟუებულ გლეხების შესახებ“[36].

სტატიაში „როგორ მოვაწყოთ საგლეხო კავშირი“ ნათქვამია, რომ „საგლეხო კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს გამდიდრებული გლეხი, რომელიც ღარიბი გლეხების მყვლეფელია და ერთობის მტერი“[37].

მოტანილი მასალიდან ნათელია, რომ გაზეთების პოზიცია კულაკობისადმი დამოკიდებულების საკითხში გამოიხატება პასიური პროტესტით, ან მათი იზოლაციით საერთო საგლეხო საქმისაგან. რა თქმა უნდა, ამ საკითხში გაზეთების მესვეურები ვერ ამაღლდნენ სოფლად მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის, და საერთოდ, „ორი სოციალური ომის“ მეცნიერულ გაგებამდე.

---

34 გაზ. „გლეხი“, 1906, № 4, წერილი: „სოფლის ბობოლები“.

35 იქვე.

36 გაზ. „მიწა“, 1906, № 4, მოწინავე: „მუშა ხალხი და გლეხების კავშირი“.

37 იქვე, № 6, მოწინავე: „როგორ მოვაწყოთ საგლეხო კავშირი“.

იცავდნენ რა მიწის სოციალიზაციის ესერულ პროგრამას, ჩვენ მიერ განხილული გაზეთების მესვეურები გამოდიოდნენ 1905—1907 წლების რევოლუციაში აგრარულ-გლეხური საკითხის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის წინააღმდეგ.

უთანხმოების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა გლეხობის, როგორც კლასის, ბუნებისა და რაობის გაგება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოციალური ჯგუფის (კლასის) განსაზღვრის კრიტერიუმების სხვადასხვაგვარ გააზრებასთან.

ბოლშევიკები კლასის ბუნებას განსაზღვრავდნენ წარმოების საშუალებებთან მისი დამოკიდებულების მიხედვით.

ჩვენთვის საინტერესო გაზეთების მესვეურები კი ასეთი განსაზღვრისათვის სხვა კრიტერიუმს იღებდნენ. მათი აზრით, ამა თუ იმ კლასის რაობას და ხასიათს განსაზღვრავს არა წარმოების საშუალებებთან მათი დამოკიდებულება, არამედ შრომასთან დამოკიდებულება, შრომობს ეს კლასი თუ არ შრომობს. ეს იყო საკითხისადმი წვრილბურჟუაზიული მიდგომის ნიმუში.

„მთელი საზოგადოება, მთელი კაცობა გაყოფილია ორ ნაწილად: ერთ მხარეზე არიან მდიდრები, მეორეზე — ღარიბები; ერთ ნაწილს შეადგენენ ისინი, რომლებიც საკუთარის შრომით და ოფლით ცხოვრობენ, მეორეს — ისინი, რომლებიც სხვისი ნაშრომით... სუქდებიან, ან ერთნი არიან გაყვლეფილნი, მეორენი — გამყვლეფელნი. ერთი ნაწილი საზოგადოებისა შრომობს, მეორე — არ შრომობს, ერთია მშრომელი ხალხი, მეორე ბურჟუაზია — მექარხნე-მეფაბრიკე და მემამულე“[38].

ამრიგად, კლასობრივი განსხვავების კრიტერიუმად აქ გამოყვანილია სიმდიდრე და შრომისადმი დამოკიდებულება — მშრომელი და არამშრომელი.

ასეთი მიდგომით, რა თქმა უნდა, გლეხობასა და ქალაქის მუშებს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ დავინახავთ. ისინი ორივე მშრომელი კლასია, ორივე ღარიბია და დაჩაგრული, ექსპლოატირებული. განსხვავებას ვერც გაბატონებულ კლასებს შორის დავინახავთ. ავტორს კაპიტალისტი-მეფაბრიკე და მემამულე ერთ კლასში ჰყავს გაერთიანებული. მას არ ესმის, რომ სულ სხვა ხასიათისაა ბურჟუაზიული საკუთრება და მემამულური მიწათმფლობელობა, რომელიც ფეოდალური საკუთრების სახეობაა და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთს წარმოადგენს, რომ მიწათმფლობელობის

38 გაზ. „მიწა“, 1907, № 2, სტატია: „გლეხი და სოციალ-დემოკრატები“.

ბურჟუაზიული ფორმა არის ფერმერული საკუთრება, დამყარებული მიწის შეუზღუდავ მფლობელობაზე და დაქირავებული შრომის გამოყენებაზე. შეიძლება ითქვას, რომ გაზეთების შეხედულება კლასებზე, სოციალურ ჯგუფებზე და ფენებზე არასწორია.

გაზეთებში შეინიშნება რუსეთში რევოლუციური მოძრაობის მ·მდინარე ეტაპის შეუფასებლობა. რა ხასიათის რევოლუციური მოძრაობა იყო რუსეთში 1900-იანი წლების დასაწყისში? რა მიზნებისათვის იბრძოდა გლეხობა?

საგლეხო გაზეთების მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთში ჯერ რევოლუციას უნდა გაემარჯვა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები უნდა განხორციელებულიყო. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო გადასვლა სოციალისტურ გარდაქმნებზე.

გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლები აგრარული პრობლემისადმი კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას ვერ ახერხებდნენ. ამასთან, მათი გაზეთები არასწორად აფასებდნენ სოციალ-დემოკრატების მოთხოვნებს აგრარულ საკითხში.

ამრიგად, პოლემიკა ამ ორ კონცეფციას შორის აღმოცენებული იყო მათი მეთოდოლოგიური საფუძვლების სხვადასხვაობის ნიადაგზე. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკურ პლატფორმას გაზეთები საერთოდ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციად მიიჩნევდნენ და ვერ ამჩნევდნენ, რომ ამ საკითხებზე ბოლშევიკებს სხვა პასუხი გააჩნდათ.

სოციალ-დემოკრატების შეხედულებას გლეხობაზე გაზეთი „მიწა“ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „სოციალ-დემოკრატების შეხედულებით, მუშა ხალხია მხოლოდ პროლეტარები (ბოგანოები), ის მუშები, რომლებსაც აღარ აქვთ საწარმოვო-საკუთარი იარაღები და მანქანები; მთელი საზოგადოება გაიყოფება ორ ნაწილად: საწარმოო იარაღების პატრონები — კაპიტალისტები (ბურჟუები) და იარაღებს მოკლებული პროლეტარები. ამგვარათ მიწის მუშა გლეხები, სოციალ-დემოკრატების აზრით, მუშა ხალხს კი არ ეკუთვნიან, არამედ ბურჟუები არიან, რადგან მათ საკუთარი საწარმოო იარაღები აქვთ; სახნისი, გუთანი, ფარცხი, ხარი, მიწა. ქალაქის მუშას, პროლეტარს არც თავისი იარაღი აქვს, არც თავისი მანქანა, ქარხანა, ის სხვის იარაღით მუშაობს; მიწის მუშა გლეხი კი საკუთარ მიწაზე, საკუთარი ხარითა და გუთნით მუშაობს, ამიტომ გლეხი ბურჟუაა, მექარხნე-მეფაბრიკეების ბანაკშია, ამბობენ სოციალ-დემოკრატები“[39].

---

39 გაზ. „მიწა“, 1906, № 10, მოწინავე წერილი: „ვის როგორ უნდა მოაწყოს მიწის საქმე. სოციალ-დემოკრატები და მიწის მუშა გლეხები“.

ამის საპირისპიროდ თავიანთ შეხედულებებს გაზეთები ასე აყალიბებენ: „...საქმე მარტო ის კი არ არის, აქვთ თუ არა ადამიანს საკუთარი საწარმოვო იარაღი; უფრო მეტი მნიშვნელობა იმას აქვს, თავის შრომით ცხოვრობს თუ სხვას ყვლეფს, სხვისი შრომის ნაყოფს ითვისებს; ვინც თავის შრომით ცხოვრობს, ის მუშაა, ვინც სხვას ყვლეფს, ის ბურჟუაა. გლეხების უმრავლესობა საკუთარი შრომით ირჩენს თავს, სხვას არ ქირაობს, სხვას არ ართმევს ნაყოფს, მაშასადამე ეს გლეხობაც მუშაა. ქარხანა-ფაბრიკის მუშა და მიწის მუშა გლეხი ძმები არიან, ერთს უღელს ეწევიან, შეადგენენ ერთ მუშათა კლასს, ერთ მუშათა ხალხს, ორივე იჩაგრება და იყვლიფება. ქალაქის მუშას ძარცვავს მექარხნე, სოფლის მუშას კი ხაზინა, მემამულე, ჩარჩი, მევახშე, მედუქნე“[40].

სოციალ-დემოკრატების აგრარული პროგრამის გადმოცემა გვხვდება აგრეთვე წერილებში: „გურული გლეხი და სოციალ-დემოკრატები მიწის შესახებ“[41], „გლეხი და სოციალ-დემოკრატები“[42], „გლეხებს ეღიხებისაგან“[43]. ამ წერილებში გადმოცემულია გაზეთების კონცეფცია მშრომელი გლეხობის შესახებ. მასში ნათქვამია: „... სულ სხვანაირათ ფიქრობენ სოციალ-დემოკრატები. მათის აზრით, გლეხები ბურჟუები არიან, მდიდრების კლასს (წოდებას) ეკუთვნიან, მათ მიწა — საკუთრება აქვთ, ამიტომ არასოდეს არ მიემხრობიან სოციალიზმის — ერთობის მოძღვრებასო. სოციალისტური ქადაგება სოფელში შეუძლიათ შეისმინონ მხოლოდ სოფლის პროლეტარებმა, ბოგანოებმა, რომლებსაც არც მიწა გააჩნიათ, არც სხვა რამ საკუთრება და რომლებიც იმით ცხოვრობენ, რომ სხვებს დაექირავებიან მოჯამაგირეთ ან მუშათო“[44].

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატებს გლეხობა უყურადღებოდ ჰყავთ მიტოვებული და მათი ცხოვრების გაუმჯობესებაზე არ ფიქრობენო. ასე იყო ეს 1903 წლამდე, ანუ გლეხთა მოძრაობის გაძლიერებამდე... მხოლოდ ამის შემდეგ, გაზეთის სიტყვით, სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს ზრუნვა გლეხებთან დაახლოებისა და შეკავშირებისათვის.

„ხოლო ვინ არის გლეხობა“? — სვამს კითხვას გაზეთი — სოციალ-დემოკრატების ერთის წინამძღოლის ლენინის შეხედულებით, სოფელში დღეს ორნაირი უთანხმოებაა: ერთია უთანხმოება ყველა

---

40 გაზ. „მიწა“, 1906, № 11, მოწინავე წერილი: „ვის როგორ უნდა მოაწყოს მიწის საქმე. სოციალისტ-ფედერალისტები და მიწის მუშა გლეხები“.

41 გაზ. „მიწა“, 1906, № 15.

42 იქვე, 1907, № 2.

43 იქვე, № 3.

44 იქვე, № 2, წერილი: „გლეხი და სოციალ-დემოკრატები“.

ბლეხებსა და მემამულე თავად-აზნაურებს შორის, მეორეა — უთანხმოება სოფლის ბოგანოებსა და მესაკუთრე გლეხებს შორის; პირველი უთანხმოება თანდათან ისპობა, მეორე ვითარდება და იზრდება. რომელ უთანხმოებაზე უნდა დაამყარონ სოციალ-დემოკრატებმა თავისია ქადაგება სოფელში? რასაკვირველია, ამბობს ლენინი: სოციალ-დემოკრატები არასოდეს არ დაივიწყებენ თავის მოვალეობას და შეაკავშირებენ სოფლის პროლეტარებს — ბოგანოებს, რომ მათ იბრძოლონ სოციალიზმისათვის, მაგრამ დღესდღეობით სოფლის ბოგანოებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ამიტომ სოციალ-დემოკრატებმა დღეს ხელი უნდა ჩასჭიდონ იმ უთანხმოებას, რომელიც არსებობს ყველა გლეხებსა და მემამულეებს შორის, შეაერთონ და შეაკავშირონ ყველა გლეხები განურჩევლად მათი შეძლებისა და ქონებისა, როგორც ღარიბი ისე მდიდარი გლეხები"[45]. აქ საქმე გვაქვს სოფლად „ორი სოციალური ომის" სოციალ-დემოკრატიული გაგების მცდარ ინტერპრეტაციასთან.

გაზეთი „მიწა" გადმოგვცემს სოციალ-დემოკრატთა აგრარული მოთხოვნების შინაარსს, რომელიც შემუშავდა 1903 წლისათვის: ჩამონაჭრების დაბრუნება გლეხებისათვის, გამოსასყიდი თანხის დაბრუნება და სხვ. შემდგომში, აღნიშნავს გაზეთი, სოციალ-დემოკრატებმა შეცვალეს თავიანთი მოთხოვნები: „...1905 წელს გამოაცხადეს: ჩვენ მხარს დავუჭერთ გლეხობის ყოველივე სარევოლუციო მოქმედებას, რომელიც კი გააუმჯობესებს მის ცხოვრებას, თვით მემამულეების, ხაზინის, ეკლესია-მონასტრების და მეფის გვარეულობის მიწების ჩამორთმევასაც კი"[46].

საკითხზე იმის შესახებ თუ ვის უნდა გადასცემოდა ჩამორთმეული მიწები, გაზეთს მოჰყავს სოციალ-დემოკრატთა „ზოგიერთი მეთაურის" აზრი, რომ „ჩამორთმეული მიწები საჯარო ვაჭრობით გაიყიდებაო"[47] და შემდეგ აკრიტიკებს ამ შეხედულებას.

აქვე გაზეთი აღნიშნავს კიდევ ერთ ცვლილებას, რომელიც, მისი სიტყვით, სოციალ-დემოკრატთა აგრარულ პროგრამაში ერთი წლის შემდეგ (1906 წელს) მოხდა. „დაადგინეს ამ ერთი წლის წინათ: ჩამოერთვას მიწები მსხვილ მემამულეებს, ხაზინას, ეკლესია-მონასტრებს, მეფის გვარეულობას და ეს მიწები გადავიდეს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის განკარგულებაში, რომელიც იჯარით გასცემს შემდეგ ამ მიწებსო. ერთი სიტყვით დაადგინეს მიწის მუნიციპალიზაცია, როგორც თვითონ ამბობენ"[48].

---

45 გაზ. „მიწა", 1907, № 2, წერილი: „გლეხი და სოციალ-დემოკრატები".

46 იქვე, № 3, წერილი: „გლეხი და სოციალ-დემოკრატები" (წერილი მეორე).

47 იქვე.

48 პუბლიცისტი მუნიციპალიზაციის გეგმის ავტორად ასახელებს მასლოვს.

ავტორი არ აღნიშნავს, რომ მიწის მუნიციპალიზაციის მოთხოვნა მენშევიკების აგრარული პროგრამა იყო. ის მხოლოდ ასაბუთებს, რომ მიწის მუნიციპალიზაცია მდიდრებისათვის იქნება ხელსაყრელიო.

გაზეთები ზუსტად არ გადმოსცემენ ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატების მოთხოვნებს აგრარულ საკითხში, მათ აგრარულ პროგრამას. ისინი ვერ ჩაწვდნენ იმის მიზეზებს, თუ რატომ შეცვალეს ბოლშევიკებმა თავიანთი აგრარული პროგრამა.

ბოლშევიკების შეხედულებით, რევოლუციური პროლეტარიატის დამოკიდებულება გლეხობისა და მემამულეების დავისადმი ყველა შემთხვევაში და ყველა პირობებში არ იყო ერთნაირი რუსეთის რევოლუციის სხვადასხვა პერიპეტიების დროს. ბოლშევიკები აკრიტიკებენ იმ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ყველა კომბინაციისათვის ერთნაირ გადაჭრას ეძებდნენ. მათი (ისევე როგორც სოციალისტ-რევოლუციონერების) შეცდომა ის იყო, რომ კლასობრივ თვალსაზრისს ვერ იცავდნენ და. როდესაც ამოცანის ისეთ გადაჭრას ეძებდნენ, რომელიც ყველა კომბინაციისათვის ერთნაირი უნდა ყოფილიყო, ივიწყებდნენ შეძლებული და საშუალო გლეხობის ორმაგ ბუნებას. თავიანთ მსჯელობაში ისინი, არსებითად, მხოლოდ ორ კლასს ღებდნენ მხედველობაში: ან მემამულეებსა და „გლეხურ-მუშურ კლასს“, ან მესაკუთრეებსა და პროლეტარებს. „ნამდვილად კი ჩვენს ხინაშეა სამი სხვადასხვა კლასი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი უახლოესი და საბოლოო მიზნებით: მემამულენი, შეძლებული და ნაწილობრივ საშუალო გლეხობა და, ბოლოს, პროლეტარიატი“ (ვ. ი. ლენინი).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური აგრარული პროგრამა, მისი ტაქტიკა აგრარულ საკითხში რევოლუციური ვითარების ცვლილებების და განვითარების შესაბამისად იცვლებოდა. გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში ამ კლასის ორმაგი ბუნების გათვალისწინება და ამასთან შეფარდებული ტაქტიკა, გაუგებარი დარჩა საგლეხო გაზეთების პუბლიცისტებისათვის.

ამრიგად, გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე აგრარული საკითხის განხილვაზე დაკვირვებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გლეხური დემოკრატიის პრესის ორგანოებთან, რომლებიც თავიანთი იდეური შიმართულებით, რევოლუციური სულისკვეთების დემოკრატიულ და პროგრესულ ორგანოებს წარმოადგენდნენ.

გაზეთების ფურცლებზე ყველაზე დიდი ადგილი დაეთმო აგრარულ-გლეხურ საკითხს, გლეხთა ინტერესების დაცვას. აგრარულ საკითხში ისინი იცავდნენ მიწის სოციალიზაციის იდეას, რომლის მიხედვითაც მიწაზე ყოველგვარი საკუთრება უნდა გაუქმებულიყო და

მშრომელ გლეხობას სარგებლობაში უნდა მიეღო იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებასაც საკუთარი ძალებით შეძლებდა.

ამასთან, მიწის სოციალიზაციის იდეა სოციალისტურ იდეად იყო გამოცხადებული. ეს აშკარა შეცდომაა, რადგან მიწის სოციალიზაციის განხორციელება განამტკიცებდა წვრილ, გლეხურ მეურნეობას, წვრილბურჟუაზიულ სექტორს სახალხო მეურნეობაში.

გაზეთების ფურცლებზე აგრარული საკითხის ინტერპრეტაცია ისტორიზმის პრინციპის დაცვით უნდა შეფასდეს.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ეს აგრარული პროგრამა უდავოდ პროგრესული იყო, ვინაიდან მიზნად ისახავდა ფეოდალიზმის ერთ-ერთი დიდი გადმონაშთის — მემამულური მიწათმფლობელობის რევოლუციურ მოსპობას. სწორედ ამაშია გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ და, საერთოდ, გლეხური დემოკრატიული აზრის დადებითი ისტორიული მნიშვნელობა.

თავი III

სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხები გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე

გაზეთ „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხებიც. აგრარული საკითხი ამ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს რგოლად იყო მიჩნეული. ამასთან, არც დემოკრატიული თავისუფლების მოპოვების საკითხები იყო დატოვებული უყურადღებოდ. დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებას პუბლიკაციათა ავტორები მჭიდროდ უკავშირებდნენ ერთობა-სოციალიზმის განხორციელებას, იძლეოდნენ სოციალიზმის თავისებურ მოდელს, სოციალიზმისათვის ბრძოლის საშუალებათა თავისებურ კონცეფციას.

1. სოციალიზმის ფვრილბურჟუაზიული მოდელი

როგორც ცნობილია, არსებობს სოციალიზმის, სოციალისტური წყობილების მრავალნაირი გაგება, სხვადასხვა მოდელი. მრავალრიცხოვანი სოციალისტური თეორიები იყო რუსეთში XX საუკუნის დასაწყისში, რაც ამ ქვეყნის ჩამორჩენილობით აიხსნებოდა.

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში არაპროლეტარული რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობანი საქართველოში არასწორ რევოლუციურ თეორიებს ანვითარებდნენ. ეს გამოწვეული იყო საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ჩამორჩენილობით. სხვანაირად, ამ თეორიების პოპულარობა ქართველ გლეხობაში აიხსნებოდა საქართველოს კიდევ უფრო გლეხურობით, ვიდრე რუსეთის ცენტრალური რაიონები იყო. ეს თეორიები თავისი ხასიათით წვრილბურჟუაზიულ-გლეხურია, ხალხოსნურია.

როგორი ყაიდის სოციალიზმზე ოცნებობდნენ საქართველოში გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლები? სოციალიზმის როგორი მოდელია წარმოდგენილი გაზეთების ფურცლებზე?

გაზეთების მესვეურები თავს გლეხობის იდეოლოგებად თვლიდნენ. მათი აზრით, გლეხობა შეადგენდა მშრომელი ხალხის ძირითად

რაზმს, ძირითად ბირთვს. გლეხობა მრავალმხრივ დაჩაგრული და ექსპლოატირებული კლასი იყო. რა სურდა მას? გაზეთების მესვეურების აზრით (ისევე, როგორც თავის დროზე ხალხოსნების აზრით), გლეხობას ორი რამ ესაჭიროებოდა: მიწა და თავისუფლება.

ხსენებულ გაზეთებში აისახა სოციალიზმისათვის ბრძოლის არაპროლეტარული რევოლუციურ-დემოკრატიული პროგრამა, რომელიც სოციალიზმ-ფედერალიზმში უკიდურეს მემარცხენე ფრთად უნდა მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ს. ფირცხალავა, მ. ჯავახიშვილი და დ. ნახუცრიშვილი. შეიმჩნევა, რომ მათ ზოგიერთი თეორიული საკითხის გააზრებისას მარქსიზმის გავლენა განიცადეს. ასეთ შემთხვევასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა ვეცნობით ს. ფირცხალავას მსჯელობას სოციალიზმის არსის, მისი განხორციელების გზებისა და საშუალებების შესახებ.

რას წარმოადგენს სოციალიზმი ანუ ერთობა? სვამს კითხვას ს. ფირცხალავა და პასუხის გაცემას იწყებს კაპიტალისტური წარმოების განხილვით. ის მიუთითებს, რომ მისი თანადროული წარმოება ორგანიზებულია ისეთ პირობებში, როცა ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელში თავმოყრილია წარმოების იარაღები, მშრომელ მასებს კი არაფერი გააჩნია და იძულებული არიან მიექირაონ მემამულეებს და მექარხნეებს. აქედან გამომდინარე სოციალიზმის განხორციელებისათვის საჭიროა „...ჩამოვართვათ მდიდრებს საწარმოო იარაღები და გადავსცეთ მუშა ხალხს; რაც კი საწარმოო იარაღია, იქნება ეს მიწა, მადნები, ქარხანა, ფაბრიკა, რკინის გზები თუ სხვა — უნდა იყოს საზოგადო და ყველა მუშა უნდა სარგებლობდეს, ყველას უნდა შეეძლოს თავისუფლად მუშაობა და მისი შრომის ნაყოფი უნდა იყოს მთლად მისი... არ უნდა იყოს კაცის დაქირავება, არამედ ყველა უნდა მუშაობდეს, მუშაობა უნდა იყოს საზოგადო“[1].

იგივე აზრია გატარებული ს. ფირცხალავას წერილში „ერთობა“[2]. ავტორს მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა გაჭირვებიდან გლეხობის დამხსნელად არ მიაჩნია, მაგრამ მიწაც და თავისუფლებაც, მისი აზრით, ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ავტორის შეხედულებით სოციალისტური საზოგადოება მშრომელთა საზოგადოებაა, იქ ყველამ უნდა იმუშაოს, სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა სავალდებულო იქნება. შრომის ხანგრძლივობა არ აღემატება 4—5 საათს. შრომისაგან თავისუფლები იქნებიან ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები. მუშაობა ისე იქნება

---

[1] გაზ. „გლეხი“, 1906, № 6, სტატია: „როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება“.

[2] იქვე, № 7, წერილი: „ერთობა“.

უზრუნველყოფილი პირობებით ქალაქშიც და სოფელშიც, რომ ყველასათვის სასიამოვნო იქნება. ყველას ბევრი დრო დარჩება დასასვენებლად, გასართობათ, გასაკითარებლად. სოციალიზმის დროს საკმარისი იქნება ადამიანმა 10—12 წელი იმუშაოს წარმოებაში, ცხოვრების შემდგომი პერიოდი კი თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს. სოციალიზმის დროს დოვლათის სიუხვე იქნება და „ამ სიმდიდრით დატკბება ყველა“[3] — აცხადებს ავტორი.

ს. ფირცხალავა ცდილობს განიხილოს სოციალიზმის სხვადასხვა ასპექტები. მისი აზრით, სწავლა-განათლება საყოველთაო და საყალდებულო იქნება, აღიზრდებიან ნასწავლი და განათლებული ადამიანები. ტექნიკის განვითარება გამოიწვევს შრომის გაადვილებას, სამუშაო დროის შემცირებას. ადამიანი მეტ დროს მოახმარს გონებრივ განვითარებას. ტექნიკური პროგრესის საფუძველზე გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და „მეტი სიმდიდრე იქნება ქვეყნად, მეტი ბედნიერება დამყარდება“[4]. მატერიალური დოვლათის განაწილება ავტორს ადამიანის საჭიროების მიხედვით წარმოუდგენია. „... ყველა მიიღებს, რაც კი დაჭირდება და რამდენიც დაჭირდება.. ყველას შეეძლება იშოვნოს, რასაც კი მოისურვებს“[5].

ს. ფირცხალავას მიაჩნია, რომ ერთობა-სოციალიზმის დროს აღარ იქნება ვაჭრობა, ყველა იმ მანკიერებით, რომელიც მას ახლავს.

დაბოლოს, ავტორი საკუთრივ ადამიანის გარდაქმნის შესახებ საუბრობს: ადამიანი ამაღლდება სულით, მისი სინდისი გაკეთილშობილდება, ამაღლდება მისი გონიერება, ზნეობა, ხასიათის სიმტკიცე, მაშინ „ადამიანი იქნება ნამდვილი ადამიანი და ეცდება, ისე მოაწყოს ცხოვრება, რომ ეს ქვეყანა დაემსგავსოს სამოთხეს“[6].

ასე მარტივად (ტრივიალურად) აქვს წარმოდგენილი მომავალი სოციალისტური საზოგადოება ქართული საერთოდემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ს. ფირცხალავას. შესაძლებელია გაზეთების პოპულარული ხასიათი და სოფლის მოსახლეობისათვის მისაწვდომ ენაზე გადმოცემული მასალაა იმის მიზეზი, რომ ავტორი თავს არიდებს რთულ სოციოლოგიურ მსჯელობებს მომავალი საზოგადოების შესახებ, მაგრამ, ეს არ არის მთავარი. მთავარია რა გზით ფიქრობენ გლეხური დემოკრატიის იდეოლოგები ასეთი საზოგადოების დამკვიდრებას? ამ კითხვაზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ს. ფირცხალავას მეორე წერილი — „სოციალიზმი“ და დ. ნახუცრიშვილის წერილი: „რა უნდათ სოციალისტებს?“.

---

3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.
6 გაზ. „გლეხი“, 1906, № 7, წერილი: „ერთობა“.

აღნიშნულ წერილში ს. ფირცხალავა იმეორებს იმ აზრს, რომ კერძო საკუთრება არის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გავრცელებული ყოველგვარი უსამართლობის საფუძველი, რომლის მეშვეობით მდიდრები ყველფენ მუშა ხალხს. ამიტომ, ავტორის აზრით, „უნდა მოისპოს ეს კერძო საკუთრება, არ უნდა იყოს ერთის მხრით მყვლეფელი ბურჟუა და მეორეს მხრით გაყვლეფილი მუშა და დამკვიდრდეს სოციალისტური წესწყობილება და წარმოება“[7]. იგი განაგრძობს: „სოციალისტური წესწყობილების დროს არ იქნება მიწისა და შრომის იარაღები კერძო საკუთრება, ყველა ტყეები და რკინის გზები, მთელი მიწა და მიწის სიმდიდრე იქნება მთელი საზოგადოების, ყველა მუშების და არა რამდენიმესამე მუქთამჭამელის“[8]. ს. ფირცხალავას წერილი „სოციალიზმი“ ასეთი სიტყვებით მთავრდება: „კერძო საკუთრების მოსპობა და მიწის და საწარმოვო იარაღების გადაცემა მშრომელთა ხელში, აი რა გვინდა ჩვენ, სოციალისტებს, აი, რას მოითხოვს მუშა ხალხის და მასთან მთელი კაცობრიობის ინტერესი“[9].

დ. ნახუცრიშვილის წერილში ყურადღებას იქცევს ავტორის მსჯელობა მატერიალური დოვლათის განაწილების პრინციპზე სოციალისტური წყობილების დროს. „... მაშინ ყველანი ეცდებიან, დღეში თანასწორი დრო იმუშაონ; გაკეთებული საქონელი კი, ანუ შრომის ნაწარმოები, ისე გაიყონ ერთმანეთში, როგორც ჩვენი დურგლები იყოფდნენ აღებულს ფულს (ე. ი. საჭიროების მიხედვით).

საზოგადოება მაშინ ყველას მოსთხოვს სასარგებლო შრომას იმის ძალღონის მიხედვით და ყველა მიიღებს შრომის ნაწარმოებს იმდენს, რამდენიც მისთვის საჭიროა, რომ მაძღრად და კმაყოფილად იცხოვროს...

იმ ხალხს, ვისაც ასეთი წესწობილება უნდა, ეძახიან სოციალისტებს“[10].

როგორ წარმოუდგენიათ ჟურნალების მესვეურებს სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრება? რა გზით, რა საშუალებით?

„მხოლოდ ამწამსვე იმ წესის დამყარება, როგორც სოციალისტებს უნდათ — წერს ს. ფირცხალავა, — ძნელია. ყველა ფაბრიკების, ქარხნების და მიწის ჩამორთმევა იმათგან, ვისაც დღეს ეკუთვნის, შეუძლებელია, ვიდრე ჩინოვნიკები განაგებენ სახელმწიფოს; თავდაპირველად ისე უნდა მოეწყოს, რომ სახელმწიფოს განაგებდნენ ხალხის არჩეული კაცები. მაშინაც გაძნელდება ერთბაშად ფაბრიკების, ქარხნების და მიწის ჩამორთმევა, უფრო ადვილია ჯერ მიწის ჩა-

---

7 გაზ. „მიწა“, 1906, № 12, წერილი: „სოციალიზმი“.

8 იქვე.

9 იქვე.

10 იქვე, № 15, წერილი: „რა უნდათ სოციალისტებს?“.

შორთმევა... მაშინ ცხოვრება გაუადვილდება არამცთუ გლეხს, აგრეთვე ქარხნის მუშასაც"[11].

ავტორის შემდგომი მსჯელობიდან ჩანს, რომ მას აგრარული გარდაქმნები (მიწის კონფისკაცია) მიაჩნია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის (ფაბრიკა-ქარხნების კონფისკაციის) საფუძვლად. იგი ფიქრობს, რომ თუ გლეხი მიიღებს მიწას, ის აღარ წავა ქალაქში და აღარ გაუწევს კონკურენციას ქალაქის მუშას. „მაშინ მუშები სულ სხვანაირად დაუწყებენ ლაპარაკს ქარხნის პატრონებს... მაშინ მალე საქმე იქამდის მივა, რომ ყველა ფაბრიკებს, ქარხნებს, სახელოსნოებს და ყველა იარაღსაც ჩამოართმევენ პატრონებს და საზოგადოდ გაჰხდიან"[12].

როგორც ვხედავთ, გულუბრყვილოა ავტორის წარმოდგენა, რომ აგრარულ რევოლუციას შეიძლება მოჰყვეს გარდაქმნები ფაბრიკა-ქარხნების მფლობელობაში. ასეთი წარმოდგენები სოციალიზმის ამ კონცეფციას უტოპიურ ხასიათს ანიჭებენ.

აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ გაზეთების პუბლიცისტებს ერთობის (სოციალიზმის) მიღწევა ბრძოლის გარეშე არ წარმოუდგენიათ. „მხოლოდ ბრძოლით შეგვიძლია დავახწიოთ თავი ჩვენ ბრძანებლებს. მხოლოდ ბრძოლით შეგვიძლია მოვიპოვოთ ყველა ის, რაც ჩვენთვის აუცილებელია. მაშ ბრძოლა, ამხანაგებო, ბრძოლა მედგარი!"[13] ვკითხულობთ გაზეთ „გლეხში" გამოქვეყნებულ მუშა კ ო ბ ა გ უ რ უ ლ ი ს წერილში.

აზრი, თავისუფლების ბრძოლით მოპოვების აუცილებლობის შესახებ, წითელ ზოლად გასდევს გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს[14].

გაზეთების პუბლიცისტთა აზრით, მდიდრების წინააღმდეგ ბრძოლა საკმარისი არ არის. შეძლებულ კლასს ჰყავს თავისი დამცველი მთავრობა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა, მათი დამარცხება და შეცვლა აუცილებელია.

„სოციალიზმი ერთბაშად, ერთის ბრძოლით და იერიშის მიტანით არ მოიპოვების. — ვკითხულობთ გაზეთ „მიწაში". — სოციალიზმის დასამკვიდრებლად საჭიროა ხანგრძლივი ბრძოლა და მეცადინეობა: მუშა ხალხმა ყოველ დღე დაუღალავად უნდა ებრძოლოს ერთის მხრით მდიდრებს და მეორეს მხრით მდიდრების დამცველ მთავ-

---

11 გაზ. „მიწა", 1906, № 15, სტატია: „რა უნდათ სოციალისტებს?".

12 ი ქ ვ ე.

13 გაზ. „გლეხი", 1906, № 5, სტატია: „მუშის წერილი".

14 იქვე, № 1, სტატია: „გლეხი"; ი ქ ვ ე, სტატია: „მშრომელო ხალხო, შეერთდი!".

რობას, ყოველდღიური ბრძოლით შეასუსტოს მდიდრებიც და მთავ-
რობაც და მათის შესუსტებით გაიღონიეროს თავისი თავი"[15].

გაზეთებში მთავრობის წინააღმდეგ მიმართული სტრიქონები
დიდი სიმძაფრით ხასიათდება. აი ამონაწერები, რომლებიც შეიცავენ
მთავრობის კრიტიკას, მთავრობის შეცვლის, დამხობის მოთხოვნას:

„თავისუფლებას მოიპოვებს გლეხკაცობა და საზოგადოთ მშრო-
მელი ხალხი, როდესაც გადააყენებს დღევანდელს მთავრობას, აღარ
დასტოვებს არც უფროსსა და არც უმცროს მოხელეს, თვითონ გა-
უძღვება თავის საქმეებს, თვითონ გამოსცემს კანონს, თვითონ დაად-
გენს სამართალს, იმოქმედებს თავისუფლად"...[16]

„რა არის და რისთვის არის მოგონილი პოლიცია"? — კითხულობს
მ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილში, — ვინ დაუყენა ხალხს ბოქაული,
ჩაფარი, გუბერნატორი და მამასახლისი? რას აკეთებენ, ან ვის ემსა-
ხურებიან ეს მუქთახორა ავაზაკები?

პოლიცია იმისათვის არის მოგონილი, რომ მდიდრებს მშრომელ
ხალხის გაყვლეფაში ხელი გაუმართოს და თუ გაჭირდება, იარაღით
მიეშველოს. ბოქაულები, ჩაფრები, გზირები, მამასახლისები და ამი-
სთანა წურბელები ხალხს მოახვია მთავრობამ, მინისტრებმა, მეფემ,
რომელნიც ყურმოჭრილი მონები არიან მდიდარ მემამულეებისა და
ვაჭრებისა"[17].

„საზღვარი აღარ ეჩანს მთავრობის ძალმომრეობას, მაგრამ ბოლო
მოეღო ხალხის მოთმინებასაც და ხალხი ემზადება საბრძოლველ-
ლად"[18] — ვკითხულობთ სხვა წერილში.

მთავრობა „მუშა ხალხს ჩაგრავს, სულს უხუთავს, ყოველის მხრით
ავიწროებს"[19].

ეჭვის ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის ამაზე მძაფრი კრი-
ტიკა თითქმის წარმოუდგენელია.

სადაა გამოსავალი? როგორ უნდა მიაღწიოს მშრომელმა ხალხმა
თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას?

ამ კითხვებზე გაზეთების მესვეურები ასე პასუხობენ: „თავის-
თავად აშკარაა, რომ სამართალი, ნამდვილი კანონი, წესი მაშინ იქნე-
ბა, მაშინ დამყარდება თავისუფლება, როცა მოისპობა დღევანდელი

---

15 გაზ. „მიწა", 1906, № 3, მოწინავე წერილი: „რისთვის არის საჭირო გლე-
ხების კავშირი".

16 იქვე, წერილი: „თავისუფლება".

17 გაზ. „გლეხი", 1906, № 3, წერილი: „გლეხის წერილები"..

18 იქვე, № 1, წერილი: „ახლოვდება განკითხვის დღე!".

19 იქვე, № 5, წერილი: „როდის ვიქნებით თავისუფალი".

მთავრობა, დღევანდელი „ჩინოვნიკობა“ და ხალხი თვითონ გაუძღვება ყველა თავის საქმეებს“[20].

„დღევანდელი მთავრობის იმედი ნულარავის ექნება, — წერს ს. ფირცხალავა გაზეთ „გ[illegible]ში“, — ის ვერაფერს გააკეთებს და მას არც უნდა რამე გააკეთოს ხალხისათვის. სახალხო საქმეს თვითონ ხალხმა უნდა მოჰკიდოს ხელი“[21].

გაზეთის სიტყვით, მთავრობა თავის თავსა და მუქთახორა მდიდრებს უყარაულებს. მეფე მათი ბელადია, მეთაურია, წინამძღვარია მთავრობის და ყველაფერი რასაც მთავრობა სჩადის მეფის თანხმობით ხდება. მეფემ იცის რომ მთავრობა ხალხს ჩაგრავს, მაგრამ აჯილდოებს და აქებს მოხელეებს[22].

რატომ არის ქვეყნად ასეთი უსამართლობა? — კითხვას სვამს გაზეთი „გლეხი“ და იქვე პასუხობს: „იმიტომ, რომ მართვა-გამგეობა ხალხის ხელში კი არაა, არამედ მეფის, მინისტრების და სხვადასხვა „ჩინოვნიკების“ ხელშია; იმიტომ, რომ მთავრობა ხალხის მტერია და თავის ბედნიერებისათვის ფიქრობს და არა ხალხის გაჭირვებისათვის“[23].

შემდეგ: „თქვენ კარგათ იცნობთ ეხლანდელ მთავრობას, — ეკითხულობთ „მუშის წერილში“, — და მის ვერაგულ მოქმედებას. მთავრობა მდიდრების, მექარხნეების და მემამულეების დამცველი და დარაჯია ამიტომ ეს მთავრობა უნდა დავსცეთ ძირს“[24]... ამავე წერილში ჩამოთვლილია მთვრობის რეპრესიები მშრომელთა მიმართ: 9 იანვრის დახვრეტა, „პოგრომები“, ჩამოხრჩობები და ა. შ. „მე არ შევუდგები აქ იმის ჩამოთვლას, თუ რამდენი საზიზღრობა და სიმხეცე ჩაუდენიათ მთავრობის ავაზაკებს“[25] — დასძენს პუბლიცისტი.

„... დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს დღევანდელი მთავრობა და დამყარდეს თავისუფლება. აი პირველი და ახლობელი საქმე მუშა ხალხისათვის“[26].

„მთავრობა მუშა ხალხის მტერია, ეს კარგად იციან გლეხებმა და არასოდეს არ შეურიგდებიან მთავრობას“[27].

---

20 გაზ. „გლეხი“, 1906, № 5, წერილი: „როდის ვიქნებით თავისუფალი“.

21 იქვე, № 4, მოწინავე წერილი: „როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე“.

22 იქვე, № 3, სტატია: „გლეხის წერილები. მთავრობა“.

23 იქვე, № 5, სტატია: „როდის ვიქნებით თავისუფალი“.

24 იქვე.

25 გაზ. „გლეხი“, 1906, № 5, სტატია: „როდის ვიქნებით თავისუფლები“.

26 გაზ. „მიწა“, 1906, № 3, მოწინავე წერილი: „რისთვის არის საჭირო გლეხების კავშირი“.

27 გაზ. „მიწა“, 1906, № 8, სტატია: „მთავრობა და გლეხების დეპუტატები“.

გაზეთების მასალებიდან ასეთი ამონაწერების მოტანა უხვად შეიძლება. ვკითხულობთ კორესპონდენციების სტრიქონებს და გასაგები ხდება, თუ რატომ დახურა ხელისუფლებამ გაზეთი „გლეხი“, რატომ მისცა პასუხისგებაში მისი ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი მ. ჯავახიშვილი, რომელმაც თავს უცხოეთში გაქცევით უშველა.

სოციალიზმის, თავისუფლების, დემოკრატიის, სახალხო მმართველობის დამყარების მოთხოვნა წითელ ზოლად გასდევს გაზეთების მთელ პუბლიცისტიკას.

2. თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის გზები და საშუალებები

გაზეთების მესვეურებს საკმარისად არ მიაჩნდათ მიწის საკითხის გადაწყვეტა, მიწის სოციალიზაცია. მათი აზრით, გლეხობამ მიწასთან ერთად თავისუფლების მოპოვებისათვის უნდა იბრძოლოს[28]. თავისუფლების ცნების სოციალისტ-ფედერალისტური გაგება არ სცილდება საერთოდემოკრატიული გაგების ფარგლებს. ს. ფირცხალავა წერს: „თავისუფლება არის ის, რომ ყოველი ადამიანი თვითონ უნდა იყოს თავისი პატრონი, მომვლელი, გამძღოლი; რაც უნდა, ის ილაპარაკოს და წეროს, როგორც უნდა, ისე შეიკრიბოს და შეუამხანაგდეს სხვებს, სადაც უნდა, იქ წავიდეს, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს თავისი შრომა და შრომის ნაყოფი, რაც უნდა, ის იწამოს და რომელ ღმერთსაც უნდოდეს, იმას შეევედროს“[29].

ეს არის თავისუფლების ვოლუნტარისტული განსაზღვრება, რაც შეუთავსებელია ამ ცნების მეცნიერულ გაგებასთან.

თავისუფლების რეალური არსის მეცნიერული განმარტების მიხედვით, თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა ანუ ისეთი ქმედება, რომელიც შეესაბამება ობიექტური აუცილებლობის კანონებს, ობიექტურ-ისტორიულ პირობებს, როცა ეს პირობები შეცნობილია.

თავისუფლება დიალექტიკური ხასიათის კატეგორიაა, მასში დიალექტიკურადაა შერწყმული აუცილებლობა და ნებისყოფის თავისუფლება, რომელშიც ობიექტური აუცილებლობის შეცნობას და გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი ეს გაუთვალისწინებელი რჩება პუბლიკაციის ავტორს, ამდენად მისი განმარტება ვოლუნტარისტულია.

---

28 გაზ. „გლეხი“, 1906, № 3, მოწინავე წერილი: თავისუფლება“.

29 იქვე.

მაგრამ ამით არ მცირდება თავისუფლების ისეთი გაგების ისტორიული მნიშვნელობა, როგორსაც გვთავაზობენ გაზეთები. ისტორიულად, თავისი დროისათვის თავისუფლების ასეთი ზოგადი გაგებაც კი პროგრესული მნიშვნელობისა იყო, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, როცა წარმოებდა ბრძოლა ფეოდალური რეგლამენტაციისა და შემდეგ კი მისი გადმონაშთების წინააღმდეგ.

გაზეთები დაბეჯითებით განუმარტავდნენ მკითხველს თავისუფლებათა ფორმებს და სახეებს, მათი განხორციელების საშუალებებს. ანალოგიისათვის იშველიებენ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი) არსებულ ვითარებას.

გაზეთ „გლეხის" ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია საგულისხმო სტატია — „შვიდი თავისუფლება", რომელშიც პოპულარულადაა განმარტებული თუ რა და რა სახის თავისუფლება არსებობს ქვეყნად, როგორ ხორციელდება ისინი ისეთ მოწინავე ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს განაგებს ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები. ესენია: 1. პიროვნების ხელშეუხებლობა; 2. სინდისის და რწმენის თავისუფლება; 3. სიტყვის თავისუფლება; 4. წერა-კითხვის (ბეჭდვის) თავისუფლება; 5. კრების თავისუფლება; 6. კავშირების თავისუფლება; 7. გაფიცვის თავისუფლება. „აი, ის შვიდი უმთავრესი თავისუფლება, — შენიშნავს ბოლოს ავტორი, — რომელიც უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, რჯულისა და ეროვნებისა"[30].

ამ თავისუფლებათაგან კრების თავისუფლებას და მის მნიშვნელობას გაზეთი „მიწა" სპეციალურად აშუქებს[31].

ერთ-ერთ წერილში განმარტებულია, თუ რატომ იცავს მთავრობა ასე თავგამოდებით მდიდრებს, კერძო საკუთრებას. მოვიყვანთ სათანადო ამონაწერს: „მთავრობა იმიტომ სცემს ასე პატივს კერძო საკუთრებას, რომ კერძო საკუთრებაზეა დამყარებული მთელი დღევანდელი წესწყობილება და თუ კერძო საკუთრება მოისპო, ხომ დღევანდელი მთავრობის სახსენებელიც აღარსათ იქნება"[32].

მოტანილ ციტატაში კარგადაა დანახული არა მარტო სოციალური, არამედ პოლიტიკური უკეთმართობის ღრმა საფუძველი — ბურჟუაზიული საკუთრება, კერძო საკუთრება მიწაზე და შრომის საშუალებებზე. გაზეთების მესვეურებმა იციან, რომ კერძო საკუთრების მოსპობისათვის საჭიროა შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ მათ წარ-

---

30 გაზ. „გლეხი", 1906, № 2, წერილი: „შვიდი თავისუფლება".

31 გაზ. „მიწა", 1906, № 5, სტატია: „კრების თავისუფლება".

32 იქვე, № 8, სტატია: „ვის როგორ უნდა მოაწყოს მიწის საქმე (რა სურს მთავრობას?)".

მოდგენა არა აქვთ რევოლუციური ბრძოლის სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. ზოგადი ფრაზებით პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება კი, წმინდა წყლის უტოპიზმი იყო.

მიუხედავად ამისა, გაზეთების მესვეურებს მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გარკვეული საშუალებები მაინც ჰქონდათ გაანზრებული. ასეთ საშუალებათა რიცხვს ეკუთვნის: გლეხობის გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა, ცოდნით შეიარაღება, გლეხის გამოფხიზლება და გლეხობაში იმის შეგნების შეტანა, რომ მისი მდგომარეობის შეცვლა მხოლოდ განათლებით, შეგნებული ბრძოლით შეიძლება.

მეორე საშუალებად მათ მიაჩნდათ გ ლ ე ხ ო ბ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა, ერთად გამოსვლა, გ ლ ე ხ თ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა და მათი ამოქმედება.

დაბოლოს, მესამე საშუალებად ისინი სახავდნენ გ ლ ე ხ ე ბ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ს მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს თ ა ნ, სოფლისა და ქალაქის მუშების (ერთიანი მშრომელი კლასის — როგორც გაზეთები განსაზღვრავენ) ერთად გამოსვლას ხელისუფლების წინააღმდეგ.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ეს საკითხები.

განათლება. გაზეთების მესვეურები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ გლეხთა დაბეჩავებული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია მათი გაუნათლებლობა, შეუგნებლობა. „... მშრომელი ხალხი ნაკლებათ იყო შეგნებული, ნაკლებს ყურადღებას აქცევდა იმ უსამართლობას, რომელიც იმას მაჯლაჯუნასავით დასწოლოდა და დახრჩობას უპირებდა“[33] — წერია ერთ-ერთ წერილში.

გაზეთი „გლეხი“ ხშირად იმეორებს: „ხალხის გონების ბრალია, რომ ძალა და ბატონობა ხალხის ხელში კი არ არის, არამედ ერთი მუჭა მუქთახორების ხელშია“[34]. კითხვაზე, თუ რატომაა მშრომელი ხალხი დაჩაგრული, გაზეთი „გლეხი“ პასუხობს: „იმიტომ რომ ხალხის გონება დახშულია“[35], გლეხი გაუნათლებელია. პუბლიცისტები ხალხის ასეთ მდგომარეობას ხსნიან გაბატონებული კლასებისა და მთავრობის მისწრაფებით — სიბნელეში იყოლიონ მშრომელი მასები, ხელი შეუშალონ მათ შორის განათლების შეტანას[36]. „მთავრობას არ უნდა, ჩვენი განათლება, არ უნდა, რომ თვალები ავახილოთ, ყურები გამოვიჩიჩქნოთ და ჩვენც ადამიანები გავხდეთ“[37]. მდიდრები და მთავრობის მოხელეები: „ძალიან ცდილობენ, რომ ხალხი მუდამ სიბნელეში დარჩეს. ისინი სხვებს ნებას აძლევენ სოფლებში სასწავლებლები გა-

---

33 გაზ. „გლეხი“, 1906, 1, წერილი: „მშრომელო ხალხო, შეერთდი!“.
34 ი ქ ვ ე, № 5, წერილი „კანონი“.
35 ი ქ ვ ე.
36 ი ქ ვ ე.
37 იქვე, № 2, სტატია: „გლეხის წერილები“.

ხსნან, მაგრამ მასწავლებლებს ნებას არ აძლევენ, რომ გლეხებს ელაპარაკონ, არ აძლევენ ნებას, რომ სოფელში კარგი წიგნები გაავრცელონ და სამკითხველოში იქონიონ ხეირიანი გაზეთები და წიგნები.

თუ სოფელში ისეთი კაცი მივა, რომელიც გლეხების განათლებას მოისურვებს, გაჩნდება ჩაფარი, ბოქაული, უანდარმი და ამისთანა კაცს ან ციხეში ჩაამწყვდევენ, ან სადმე შორეულ ქვეყანაში უკრავენ თავს"[38].

ერთ-ერთი სტატიის ავტორი წერდა: „ცოდნა დიდი იარაღია. რაკი კაცი გაიგებს, ე. ი. რაკი კაცს ეცოდინება მიზეზი თავის დაჩაგვრისა, თავის გაყვლეფისა და გატყავებისა, ეცოდინება ისიც, თუ ვინც ბრძანდებიან იმის ასეთი მოკეთენი და მწყალობელნი, მაშინ უეჭველად მოახერხებს კიდეც, თავი იხსნას ამ მტაცებელ-მძარცველებისაგან"[39].

ამრიგად, გაზეთების მიხედვით,ხალხის განათლება, ცოდნის გავრცელება ხალხში, იმის გაგება თუ რატომაა მშრომელი ხალხი დაჩაგრული — გარანტიაა ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისა, მოძალადეთა დათრგუნვისა. გაზეთის მესვეურები ცოდნასა და განათლებას განმათავისუფლებელ ფუნქციას აკისრებენ. გაზეთები აღიარებენ სოფლად ბიბლიოთეკების დაარსების, გაზეთების გამოწერის საჭიროებას, ამხანაგურ მუშაობას. „დროა ამხანაგო გლეხებო — წერდა გურული მუშა პ. გუჯაბიძე, — შევძახოთ ქალაქის მუშებთან ერთად, რომ ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვსურს თეატრი, ჩვენც გვინდა გაზეთების კითხვა, ჩვენც გვსურს კარგი სასმელ-საჭმელი, სეირნობა, დასვენება, განათლება, ჩვენც კარგად მოგვიხდება ბახმარო, აბასთუმანი და ბორჯომი. მაგრამ რა არის მიზეზი, რომ ჩვენ ვერ გავმხდარვართ ამის ღირსნი? მიზეზი ჩვენი შეუგნებლობაა. მიზეზი ის არის, რომ დღემდის გვეძინა. ეხლა კი თანდათან გვესმის, რაშიდაც ყოფილა საქმე, გვესმის, რომ ითელება ჩვენი ადამიანობა. გვესმის ყველაფერი და ვემზადებით კიდეც დიდებულ საქმისათვის: შრომა უნდა გავანთავისუფლოთ და დღეს თუ ხვალ მოვიპოვოთ მიწა და თავისუფლება!..."[40]

რა შეიძლება ითქვას აქ მოტანილი მასალების შესახებ?

გაზეთების პუბლიცისტების ეს მსჯელობა განათლების განმათავისუფლებელ მისიაზე რამდენადმე გულუბრყვილოა. ამასთანავე, ის თავისი არსებით გარკვეულ ჭეშმარიტებას შეიცავს და მოწმობს საზოგადოებრივი აზრის მოცემული მიმდინარეობის შეგნებულობას. ცნო-

38 ი ქ ვ ე, № 5, წერილი: „კანონი".

39 ი ქ ვ ე, № 1, წერილი: „მშრომელო ხალხო, შეერთდი!".

40 გაზ. „მიწა", 1906, № 1, წერილი: „გლეხების და მუშების წერილი სოფლის გაჭირვებულ გლეხებს".

ბილია, რომ მშრომელ მასებში შეგნებისა და განათლების შეტანას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კიდევ მეტი. მშრომელ მასებში რევოლუციური იდეების შეტანა, მათი მომზადება ექსპლუატატორებზე იერიშის მისატანად, აუცილებელია და რევოლუციური ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი საწინდარია.

გლეხთა ერთობა და კავშირები. სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთ გზად და საშუალებად, განათლების გარდა, გაზეთების მესვეურებს მიაჩნდათ მშრომელი ხალხის შეკავშირება, მათი ერთობლივი ბრძოლა ჩაგვრის წინააღმდეგ. პუბლიკაციებში საუბარია გლეხთა კავშირების შექმნაზე, გლეხთა ამხანაგობების ჩამოყალიბებასა და კავშირების მიერ რევოლუციური ბრძოლის უკეთ ორგანიზაციაზე.

გაზეთ „გლეხის" პირველივე ნომრის მოწინავე წერილში აღნიშნულია, რომ გლეხები უნდა შეერთდნენ და მედგრად, მხნედ, თავგანწირულად იბრძოდნენ მიწისათვის. „ყველანი რომ შეერთდებით, — წერს ს. ფირცხალავა, — მთელი მშრომელი, ხალხი შეერთებული რომ იქნება მტკიცედ და იტყვის: მოგვეცით მიწა და თავისუფლებაო! მაშინ ხალხის მტრები, ხალხის მოძულენი, იმის კისერზედ გასუქებული ვაჟბატონები ყველაფერს დასთმობენ. შეერთებული ძალა მათ შიშის ქარებს აუტეხავს, დავთრებს დაუბნევს. შეერთებული ხალხი ყველაფერს გააკეთებს, ყველას დაიმორჩილებს"[41].

ერთობის იდეა თან სდევს გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების აბსოლუტურ უმრავლესობას. თავდაპირველად ეს იდეა ზოგად და გაუფორმებელ ხასიათს ატარებს — საუბარია ერთობლივ გამოსვლაზე, საერთოდ მშრომელთა გაერთიანებაზე, ერთობლივ იერიშზე და ა. შ. შემდეგ კი მსჯელობა უფრო კონკრეტულ სახეს იღებს. პუბლიცისტები საუბრობენ „გლეხთა კავშირების" შექმნის აუცილებლობაზე და სანიმუშოდ „რუსეთის გლეხთა კავშირს" ასახელებენ. ერთ-ერთ მაგალითად გაზეთების მესვეურები მიიჩნიეოდნენ აგრეთვე ქალაქის მუშების შეკავშირებულ ბრძოლას, მათი კავშირებისა და ორგანიზაციების წარმოქმნას.

„ქალაქის მუშები შეერთებულნი არიან, — ვკითხულობთ იმავე წერილში, — იმათ კარგა ხანია, მოახერხეს ეგ. ჭაპანს ერთად ეწევიან თავიანთ სასახელოთ და სასარგებლოთ. ახლა ჯერი გლეხებისაა! გლეხებიც უნდა შეერთდნენ, შეკავშირდნენ თავიანთ საქმის გასაკეთებლად"[42].

მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციების შესახებ გაზეთები სისტემატიურად ბეჭდავდნენ სათანადო ინფორმაციას, ცდილობდნენ

---

41 გაზ. „გლეხი", 1906, № 1, წერილი: „მშრომელო ხალხო, შეერთდი!"

42 იქვე.

გლეხობაშიც გაეღვივებინათ ანალოგიური მოქმედების სურვილი. მათი აზრით, შეერთებული, დარაზმული ხალხი დიდი ძალაა, რომელსაც შეუძლია ყველაფერი დაათმობინოს მოწინააღმდეგეს.

„შეერთდით!" — ასეთი მოწოდებით იწყება „საუბარი გლეხებთან" გაზეთ „გლეხის" ერთ-ერთ ნომერში. ამ წერილში უკვე საუბარია არა ზოგადად გლეხობის შეერთების საჭიროებაზე, არამედ, კონკრეტულად, გლეხთა კავშირების შექმნის აუცილებლობაზე, მოტანილია მაგალითები ქალაქის მუშათა პროფესიული კავშირების საქმიანობიდან[43]. კავშირებში გაერთიანებას გაზეთების პუბლიცისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. „თუ ჩვენ არ შეერთდით, თუ არ შევიგნეთ ჩვენი დამხსნელი ერთობა, ისე ვერაფერს ვერ გავაკეთებით, დღევანდელ უსამართლო ცხოვრებას ჩვენი შეერთებული ძალა გადააკეთებს, თორემ თავისთავად ცხოვრება არ მოგვცემს ერთობას — სოციალიზმს"[44].

1906 წელს გაზეთი „მიწა" სპეციალურ სტატიას აქვეყნებს „გლეხთა კავშირის" შესახებ. „ძალა ერთობაშია, — ვკითხულობთ სტატიაში, — და ყველა მუშა გლეხებიც უნდა შეადგენდნენ ერთს მოწყობილს კავშირს. ყველანი უნდა ემორჩილებოდნენ საერთო წესებს, საერთო დადგენილებას. უნდა ყავდეთ არჩეული წინამძღოლები, კომიტეტები. საერთო ყრილობაზე უნდა წყვეტდნენ საგლეხო საქმეებს და ამ გადაწყვეტილებას უნდა ასრულებდეს ყოველი გლეხი. ერთი სიტყვით დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ ჩვენი გლეხობაც ისე მოიქცეს, როგორც მოიქცა რუსეთის გლეხობა"[45].

გაზეთი ცდილობს დაასაბუთოს გლეხთა კავშირების შექმნის აუცილებლობა. „მაგრამ სოციალიზმი თავისთავად არ მოვა. — ვკითხულობთ გაზეთ „მიწის" მოწინავე წერილში. — მუშა ხალხმა რომ სოციალიზმი დაამყაროს, თავი გაითავისუფლოს ყოველგვარი დაჩაგვრისაგან და მოიპოვოს ბედნიერება, — ამისათვის საჭიროა ხელგამოღებული შრომა, მეცადინეობა, მომზადება, თავის გამოდება, ბრძოლა. ყველა ამისათვის კი საჭიროა აუცილებლივ შეკავშირება"...[46]

აღსანიშნავია, რომ გაზეთების პუბლიცისტები უნდობლობას ამჟღავნებენ გამდიდრებული და გაბურჟუებული გლეხების (ანუ კულაკების) მიმართ. გაზეთ „გლეხში" გამოქვეყნებულ წერილში მ. ჯავახიშვილი წერს: „გლეხებს ჩაგრავს და იბრიყვებს პოლიცია,

---

43 იქვე, № 7, სტატია: „საუბარი გლეხებთან".

44 გაზ. „მიწა", 1906, № 1, წერილი: „გლეხების და მუშების წერილები".

45 იქვე, № 2, მოწინავე წერილი: „გლეხების კავშირი".

46 იქვე, № 3, მოწინავე წერილი: „რისთვის არის საჭირო გლეხების კავშირი".

შთავრობა, მემამულე და ძალიან ხშირად ისეთი გლეხებიც, რომლებსაც ჯიბე გაუსქელებიათ და თავის სუსტ მოძმეს სულს უხუთავენ"[47].

გაზეთების მესვეურებს „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი" მიაჩნდათ საქართველოში გლეხთა კავშირის ნიმუშად. ისინი მოუწოდებდნენ გლეხობას რევოლუციური ბრძოლისაკენ, შეფის ხელისუფლების დამხობისა და დემოკრატიული ხელისუფლების დამყარებისაკენ, რათა შემდეგ განეგრძოთ გზა „ერთობა-სოციალიზმისაკენ". საქმის დაუყოვნებლივ დაწყება გლეხური გაზეთების მესვეურებს წარმატების ერთ-ერთ საწინდრად მიაჩნდათ.

„ჩვენ უკვე გავიცანით გლეხების კავშირი. ყოველი გლეხი ხედავს, რომ ხსნა და შველა მხოლოთ შეერთებაშია. — წერს ს. ფირცხალავა. — ... დაუყოვნებლივ უნდა შედგეს მტკიცე საგლეხო კავშირი ისე, როგორც დაარსდა მთელი რუსეთის გლეხების კავშირი და ჩვენებურმა გლეხებმაც მძლავრათ და ერთხმათ უნდა მოითხოვონ: თავისუფლება და მიწა მიწის მუშებს!"[48].

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გლეხთა შეკავშირებას, გლეხთა პროფესიული კავშირების შექმნას გაზეთების მესვეურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ეს გზაც მიაჩნდათ ერთობა-სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად.

მუშათა კლასისა და გლეხობის გაერთიანების იდეა. სოციალიზმისათვის ბრძოლის წარმატებისათვის გაზეთების მესვეურებს საჭიროდ მიაჩნდათ აგრეთვე გლეხობისა და ქალაქის მშრომელი ხალხის (მუშების) შეკავშირება, მათი ერთობლივი ბრძოლა. ეს ძალზე საყურადღებო საკითხია გაზეთების „გლეხისა" და „მიწის" სოციალურ-პოლიტიკური მრწამსის გარკვევის თვალსაზრისით.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეას თვალსაჩინო ადგილი უკავია გაზეთების მასალებში. ასეთი შეკავშირების საჭიროებას და აუცილებლობას პუბლიცისტები საფუძვლად უდებენ იმ აზრს, რომ მუშები და გლეხები ერთ კლასს წარმოადგენენ, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი კლასის ორი შემადგენელი ნაწილი არიან.

„მშრომელო ხალხო, შეერთდი! — მოუწოდებს გაზეთი „გლეხი" და იქვე სვამს კითხვას. — კარგი და პატიოსანი, მაგრამ მშრომელ ხალხს ვის ეძახითო, მკითხავს მკითხველი: ... მშრომელ ხალხად ითვლება გლეხობა — სოფლის მუშა და ქალაქის მუშა — ქარხანა-ფაბრიკებში მომუშავე"[49].

„მთელი დედამიწის ბურგზე საზოგადოება განიყოფება ორ კლასათ, ორ ბანაკათ: ერთ ნაწილს შეადგენს ბურჟუაზია, მეორეს კი —

---

47 გაზ. „გლეხი", 1906, № 3, სტატია: „გლეხის წერილები".

48 გაზ. „მიწა", 1906, № 7, მოწინავე წერილი: „საქმე დავიწყოთ!".

49 გაზ. „გლეხი", 1906, № 1, წერილი: „მშრომელო ხალხო, შეერთდი!".

მშრომელი ხალხი. პირველ ნაწილს შეადგენენ მძარცველები, მეორეს კი — გაძარცულები, პირველს შეადგენენ მჩაგვრელები, მეორეს კი — დაჩაგრულები და დამონებულები"[50]... ამიტომ, დაასკვნის გაზეთი „გლეხი": „დროა, ამხანაგებო გლეხებო, შევძახოთ ქალაქის მუშებთან ერთად, რომ ჩვენც ადამიანები ვართ... გვესმის, რომ ითელება ჩვენი ადამიანობა და ვემზადებით კიდეც დიდებულ საქმისათვის"[51]... „მოვა ის დროც, როცა თქვენ და თქვენი ამხანაგი მუშები სამუდამოდ მოიშორებთ კისრიდან მონობის უღელს და მოიპოვებთ სრულ თავისუფლებას"[52].

გაზეთები ვერ ხედავენ განსხვავებას მუშასა და გლეხს შორის, საერთო კი, მათი აზრით, ისაა, რომ ორივე მშრომელია. მუშისა და გლეხის ასეთ გაიგივებას საფუძვლად უდევს გლეხური დემოკრატიის წარმომადგენელთა არასწორი წარმოდგენა საზოგადოების კლასობრივ დაყოფაზე, ამ დაყოფის საფუძველზე. გაზეთის პუბლიცისტებს ზუსტად ვერ გაუცნობიერებიათ, რომ კლასი არის ადამიანთა ის ჯგუფი, რომელსაც აქვს ერთგვაროვანი, სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი. კლასებს განასხვავებს ის, რომ ერთნი სრული მესაკუთრენი არიან წარმოების საშუალებებისა, მეორენი სრულიად მოკლებული არიან წარმოების საშუალებებს, მესამენი მხოლოდ ნაწილობრივ ფლობენ მათ და ა. შ. მაშასადამე, დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი (საკუთრების ფორმა) განსაზღვრავს კლასის რაობას.

გაზეთის მესვეურებს კი სხვა სფეროში გადააქვთ კლასობრივი განსხვავების კრიტერიუმი, შრომით საწყისში ხედავენ კლასობრივ განსხვავებას. მათი აზრით, მთავარია შრომობს თუ არა შრომობს ადამიანი, თავისი შრომით ცხოვრობს თუ სხვის ნაშრომს ითვისებს.

ყოველივე ამის მიუხედავად, გაზეთების ფურცლებზე გადმოცემული მუშათა და გლეხთა ბრძოლის ერთმანეთთან დაკავშირების იდეა, გლეხობის მოკავშირედ ქალაქის მუშების აღიარება, ძალზე ცხოვრებისეული იყო. ამ შემთხვევაში გაზეთების მესვეურები სწორედ გლეხობის პოზიციებიდან გამოდიოდნენ და ქალაქის მუშებს თავიანთ მოკავშირედ თვლიდნენ. თუმცა, ცალკეული გამოთქმებიდან შეიძლება ის აზრიც გამოვიტანოთ, რომ გლეხობა უნდა გაჰყოლოდა მუშებს, გლეხობა უნდა გამოსულიყო მუშათა კლასის მოკავშირედ და დამხმარე ძალად სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

---

50 იქვე, № 7, წერილი: „გლეხების და მუშების წერილები. ვინ არის გლეხი?"

51 იქვე, № 1, წერილი: „გლეხების და მუშების წერილი. სოფლის გაჭირვებულ გლეხებს".

52 იქვე, № 7, წერილი: „საუბარი გლეხებთან".

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გაზეთების მესვეურები არ ცნობდნენ მუშათა კლასის ავანგარდულ როლს რევოლუციურ მოძრაობაში. გაზეთების მასალებიდან ჩანს, რომ პუბლიცისტები რევოლუციაში ჰეგემონობას გლეხობას მიაკუთვნებენ (მათი სიმრავლის გამო).

ქართული გლეხური დემოკრატიის და, კერძოდ, ხსენებული გაზეთების პუბლიცისტთა ამგვარი შეხედულება არასწორ წანამძღვარს ემყარებოდა.

3. ეროვნული ავტონომიის საკითხი

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში მთელი სიმძაფრით დადგა საქართველოში სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხი. აქეთკენ იყო მიმართული ძირითადად იმდროინდელი ქართული დემოკრატიული პრესაც. ამის ერთ-ერთი ნიმუშია გაზეთების „გლეხისა“ (1906) და „მიწის“ (1906—1907) ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილების დიდი ნაწილი. გაზეთებში მთავარი ყურადღება გადატანილია აგრარულ-გლეხურ საკითხზე, რომელიც განსაზღვრავს მათ იდეურ მიმართულებას. ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ გაზეთების მესვეურები (ს. ფირცხალავა, შ. ჯავახიშვილი, დ. ნახუცრიშვილი და სხვ.) მიეკუთვნებოდნენ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის იმ წვრილბურჟუაზიულ-გლეხური დემოკრატიის მემარცხენე ფრთას, რომელმაც ამ დროისათვის თავის სამოქმედო პროგრამაში წინ წამოსწია აგრარულ-გლეხური საკითხი და მეტი მნიშვნელობა მიანიჭა მას, ვიდრე ამას სოციალისტ-ფედერალისტთა ძირითადი იდეოლოგიური მიმართულება ითვალისწინებდა.

გაზეთებმა გარკვეული ყურადღება დაუთმეს ეროვნულ საკითხს. ამ ხასიათის წერილთა რიგს განეკუთვნება: „რა არის ავტონომია“[53], „ჩვენი დედინაცვალი“[54], „სახელმწიფო სათათბირო“[55], „გლეხის წერილები“[56], „როდის ვიქნებით თავისუფლები“[57]. ეროვნული საკითხით დაინტერესება მოჩანს მრავალ სხვა საგაზეთო წერილშიც.

სოციალისტ-ფედერალისტთა იდეოლოგია, საერთოდ, ხალხოსნური და ესერული იდეებისაგან იყო დავალებული. ეროვნულ საკითხში სოციალისტ-ფედერალისტები მთლიანად ადგილობრივ ისტორიულ ტრადიციებს ეყრდნობოდნენ და თერგდალეულთა მძლავრი ეროვნული მოძრაობის თავისებურად გაგრძელებას ცდილობდნენ.

---

53 გაზ. „მიწა“, 1907, № 11.
54 იქვე, № 13.
55 გაზ. „გლეხი“, 1906, № 1.
56 იქვე, № 2.
57 იქვე, № 5.

თერგდალეულები და მათი მეთაური დიდი ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის საკიროებას დაბეჯითებით ასაბუთებდა. ამ პრობლემის გადაჭრას უკავშირებდა ივი საქართველოს მომავალს, ამ გზით ფიქრობდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, „ჯერ შეზღუდული სუვერენიტეტის, ავტონომიის ფორმით, შემდეგ კი სრული დამოუკიდებლობით"[58]. ფედერაციაში საქართველო და რუსეთის იმპერიის სხვა ეროვნული კუთხეები უნდა შესულიყვნენ თვითმმართველ ეროვნულ ერთეულებად. ამ გზით რუსი ხალხი სხვა ერების ნდობას დაიმსახურებდა, შექმნილი სახელმწიფოებრივი წყობილება მრავალეროვანი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და გაძლიერების საფუძველი გახდებოდა. ავტონომიისათვის ბრძოლაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ილიას აზრით, ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველი უნდა ჩაბმულიყო. ამისათვის იგი ქართველი ხალხის ეროვნული შეკავშირების აუცილებლობას ასაბუთებდა.

ეხებოდა რა კავკასიის ადმინისტრაციულ ავტონომიას, რომელიც 1882 წლამდე არსებობდა, ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა: „ჩვენი ფიქრით, ერთი არსებითი და უდიდესი ნაკლოვანება ძველის წესებისა ის იყო, რომ ეროვნების საჭიროებანი და სახელმწიფოსი ერთმანეთში გარჩეული არ იყო, ყველაფერი სახელმწიფოს ანაცვალეს და ეროვნებას გზა შეუკრეს"[59]. ილიას აზრით, „ეროვნებათა ბუნებრივი უფლებების შეზღუდვა" სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ფედერაციის საკითხს, ანუ საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ გარდაქმნას ილია ჭავჭავაძე 90-იან წლებშიც შეეხო. ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდა 1905—1907 წლებში გაზეთ „ივერიის" რედაქცია, რომელიც ქადაგებდა, რომ ხალხი გამოფხიზლდა, მომწიფდა პოლიტიკური საქმიანობისათვის და მართვა-გამგეობის ძველი, მონარქისტული ფორმები მას უკვე აღარ აკმაყოფილებს[60].

ყოველივე ეს ცხადყოფს თერგდალეულთა იდეოლოგიის პროგრესულობას. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენების და განვითარების პირობებში, ეროვნული საკითხის წვრილბურჟუაზიულ-გლეხური კონცეფცია მაინც ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციებს.

---

58 ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წწ., თბ., 1980, გვ. 141.

59 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., 1914, ტ. 6, გვ. 193—194.

60 გაზ. „ივერია", 1905, № 32, მოწინავე.

ახლა ვნახოთ რა მომენტებია წამოწეული წინ გლეხური გაზეთების ფურცლებზე ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.

მ. ჯავახიშვილმა ერთ-ერთ თავის წერილში ქართველთა ეროვნულ შევიწროებაზე მიუთითა და გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ავტორი („ქართლელი გლეხის“ ფსევდონიმით) აღნიშნავს, რომ მან რამდენიმე წელი იცხოვრა რუსეთში, გაეცნო რუსი გლეხის ცხოვრებას. „რუსი და ქართველი გლეხი ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან, — წერს იგი, — ორივენი ერთ უღელში არიან შებმული, ორივენი ერთნაირად იტანჯებიან მთავრობისაგან, მემამულეებისაგან, პოლიციისაგან“[61]... მაგრამ მისი აზრით, მათ შორის განსხვავებაც არის. და ეს უმთავრესად მათი ეროვნული განსხვავებიდან გამომდინარეობს. რუს გლეხს უფლება აქვს რუსულ ენაზე იქონიოს ურთიერთობა ხელისუფლების ორგანოებთან, პოლიციასთან, სასამართლოსთან. ქართველ გლეხს კი არა აქვს ნება ქართულ ენაზე მიმართოს მთავრობას, ქართულად იმეტყველოს ხელისუფლების ორგანოებში[62]. ეს, რა თქმა უნდა, ეროვნული შეზღუდვაა. პუბლიცისტს მხოლოდ ამის აღნიშვნაც არ აკმაყოფილებს. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქართველოში ისევე, როგორც რუსეთის სხვა განაპირა რაიონებში, შიდა რუსეთისაგან განსხვავებით, საგლეხო რეფორმით გათვალისწინებული მრავალი დადგენილება არ გატარებულა. მაგალითად, საქართველოს არ მისცეს ერობის შექმნის უფლება.

ავტორი სწორად აფასებს საქართველოში ერობის არარსებობის უარყოფით შედეგებს, შთამბეჭდავად ახასიათებს ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაჩაგრული ქართველი ხალხის მდგომარეობას[63]. პუბლიცისტი ცდილობს შთააგონოს ხალხს, რომ ცარიზმის წინააღმდეგ აუცილებელია თავგანწირული ბრძოლა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ს. ფირცხალავაც შეახსენებს მკითხველს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის მდიდარ ტრადიციებს:

„ამბავათ გაგონილი გვქონდა, რომ ჩვენი პატარა, მაგრამ სამოთხესავით მშვენიერი ქვეყანა მრავალჯერ ტანჯულა და წამებულა. ბევრი გასაჭირი გამოუვლია ჩვენს ხალხს, ბევრი სიმწარე და შავი დღე უნახავს. გლეხი ყმა იყო, მონა, მუდამ სხვისთვის მუშაობდა, გლეხი ბატონის და მეფის საკუთრება იყო; ამას კიდევ ის უბედურება ემატებოდა, რომ ხშირათ გარეშე მტრები შემოესეოდნენ ჩვენს ქვეყანას, აიკლებდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. ყველას მოსწონდა ჩვენი მხარე, და უნდოდა მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ ხალხი

---

61 გაზ. „გლეხი“, 1906, № 2, სტატია: „გლეხის წერილები“.

62 იქვე.

63 იქვე.

არ ნებდებოდა, თავგანწირულათ ეომებოდა მტერს, არ უთმობდა თავის ბაბა-პაპეულს მიწას, თავის სახლკარს. ურიცხვი მტერი ეხვია გარს ჩვენს ქვეყანას, განუწყვეტელი ომი იყო და ეს მუდმივი ომიანობა გლეხობას აწვა კისერზე ყველაზე მეტათ: გლეხები ომობდნენ ბრძოლის ველზე, გლეხებს უნდა აღედგინათ, აეშენებინათ და გაეახლებინათ მტრისაგან გადამწვარი და აკლებული ქვეყანა"[64].

ქართველი ხალხის ისტორია მდიდარ მასალას აწვდიდა ს. ფირცხალავას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მნიშვნელობის დასახასიათებლად. ისტორიული წარსული მას თანამედროვეთა შთამაგონებელ ძალად ესახება, მასზე დაყრდნობით ცდილობს გამოაღვიძოს და აღანთოს ქართველთა გულში ეროვნული გრძნობა, ეროვნული თავმოყვარეობა, ეროვნული ღირსებისათვის ბრძოლის სურვილი.

ეროვნული გრძნობითაა გაჟღენთილი გაზეთ „მიწაში" გამოქვეყნებული წერილი: „ჩვენი დედინაცვალი"[65]. ამ წერილში სწორადაა მითითებული საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზანი და დანიშნულება „... სამუდამოთ მოვიშორეთ კისრიდან სპარსელებისა და ოსმალების უღელი..."[66], მაგრამ იქვეა ნათქვამი, რომ მეფის მთავრობამ ქართველი ხალხის ბედიღბალი უსულგულო, ქურდბაცაცა მოხელეებს ჩააბარა და ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ავტორი მიუთითებს, რომ მთავრობა დედინაცვალივით ეპყრობოდა ქართველ ხალხს. საყურადღებოა პუბლიცისტის დასკვნაც: „ხვეწნამუდარას თავი უნდა დავანებოთ და ჩვენივე ხელით უნდა მოვიპოვოთ ყველაფერი, რაც გვინდა, რაც ჩვენს უფლებას შეადგენს და ურომლისოდაც გაძლება არ შეგვიძლიან"[67]. ეს არის აქტიური ეროვნული ბრძოლისაკენ მოწოდება — „ჩვენ თვითონვე უნდა მოვუაროთ ჩვენს თავსაო".

ეროვნული საკითხის ისტორიულ ჭრილში წარმოდგენას ხელს უწყობდა გაზ. „მიწის" მიერ 1907 წელს გამოქვეყნებული ნაწყვეტები, ივანე ჯავახიშვილის ცნობილი ნაშრომიდან: Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке». ბრწყინვალე მეცნიერულ გამოკვლევაში გაშუქებულია საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი სოციალ-პოლიტიკური საკითხები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის წანამძღვრებისა და თვით ამ რევოლუციის თავისებურებების გაშუქება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, 1905—1907 წლების რევოლუციური მოძრაობა საქართველოში უნდა

---

64 გაზ. „მიწა", 1907, № 1, სტატია: „შავი დღეები (წარსული წელიწადი)".
65 იქვე.
66 იქვე.
67 იქვე.

განიხილებოდეს, როგორც ლოგიკური შედეგი ქართველი ხალხის ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისა.

ნაშრომში განვითარებული თვალსაზრისი საქართველოსა და კავკასიის ადგილის შესახებ რუსეთის იმპერიის კოლონიურ სისტემაში, კოლონიისა და მეტროპოლიის ურთიერთმიმართების სურათი ძირითადად შეესაბამება იმ თვალსაზრისს, რომელიც ჩამოყალიბდა დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში[68].

არსებობს ივ. ჯავახიშვილის ხსენებული წიგნის დღემდე უცნობი ქართული თარგმანი, რომელიც ქვეყნდებოდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალურ ორგანო გაზეთ „შრომაში"[69]. სწორედ ამ ნაშრომით უსარგებლია ს. ფირცხალავას და კონსპექტების სახით დაუბეჭდია გაზეთ „მიწაში" 1907 წელს სათაურით: „ბრძოლა მთავრობისა და მემამულეების წინააღმდეგ (ი. ჯავახიშვილის წიგნაკიდან)"[70]. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციები, როგორც გაზეთ „შრომაში", ასევე „მიწაში" ხელმოუწერელია. საფიქრებელია, რომ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის თარგმანი გაზეთ „შრომაში" ს. ფირცხალავას ეკუთვნის.

გაზეთების მიხედვით, საქართველოში ეროვნული საკითხის წვრილბურჟუაზიულ-გლეხური გადაწყვეტის ძირითად დებულებას წარმოადგენდა ფართო პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა. სოციალისტ-ფედერალისტები და მათი მემარცხენე რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობა თავიანთი ეროვნული მრწამსით ავტონომისტები იყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ს. ფირცხალავას წერილი, რომელშიც განხილულია საკითხი ავტონომიის არსის შესახებ. რა შინაარსს სდებს ამ ცნებაში ავტორი?

„ავტონომია არის ისეთი წეს-წყობილება,, როცა სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს შეუძლია საკუთარის კანონით მოაწყოს თავისი შინაური საქმეები, გამართოს სკოლები, როგორც სურს, მოაწყოს საადგილ-მამულო საქმე, როგორც თვითონ საჭიროთ დაინახავს, დააწესოს სასამართლო, როგორც უჯობდეს"[71]. ეს არის იგივე თვითმმართველობა — შენიშნავს ავტორი.

---

68 ბ. რატიანი, ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე, ტ. I, თბ., 1976, გვ. 63—69.

69 გაზ. „შრომა", 1906, № 72, 76, 83, 85 (შენიშვნა. № 72-ის სქოლიოში მინიშნებულია, რომ დასაწყისი დაბეჭდილია № 69-ში. სინამდვილეში, დასაწყისი ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო არ დაბეჭდილა არა თუ ხსენებულ ნომერში, არამედ გაზეთ „შრომაში" საერთოდ არ მოიპოვება — ა. ნ.).

70 გაზ. „მიწა", 1907, № 3—5.

71 იქვე, № 11, მოწინავე: „რა არის ავტონომია".

ავტონომიის იურიდიული შინაარსი აქ საკვლევით სწორადაა მოცემული. განმარტავს რა ავტონომიის შინაარსსა და დადებით, საკეთო მნიშვნელობას, ავტორი მაშინვე გადადის რუსეთის მაგალითზე და ასაბუთებს რუსეთის სხვადასხვა მხარეებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის მინიჭების აუცილებლობას. ავტორი სწორად მსჯელობს, როცა მიუთითებს, რომ რუსეთის უზარმაზარი სივრცეები და, რაც მთავარია, ეთნიკური და სოციალური სიჭრელე შეუძლებელს ხდის ყველა საქმის ცენტრალიზებულ გადაწყვეტას, ცენტრალიზებულ მართვას, მით უმეტეს მაშინ, როცა რუსეთში მცხოვრები ხალხები ერთნაირ მდგომარეობაში არ იმყოფებიან. ავტორი თვლის, რომ ყველა ამ ხალხს აქვს საერთო ინტერესები, საერთო საქმეები და მხოლოდ მათთვის შეიძლება იყოს შემოღებული საერთო კანონები. ადგილობრივი, საკუთარი საჭიროებისათვის კი ხალხს ნება უნდა ჰქონდეს შემოიღოს და დაწესოს საკუთარი კანონები.

სათათბიროს შექმნაც არ მიაჩნია ავტორს საკითხის გადაწყვეტად, რადგან სათათბიროც ვერ გაწვდებოდა რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს. ამიტომ ს. ფირცხალავას აზრით, ისე უნდა მოეწყოს რუსეთის სახელმწიფო, რომ „საერთო საქმეებს გაუძღვება მთელი ხალხის არჩეული (საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დახურული კენჭისყრით) სათათბირო და ადგილობრივი საქმეებისათვის დაწესებული იქნება ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ არჩეული (საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დახურული კენჭისყრით) ადგილობრივი სათათბირო. ერთი სიტყვით, როცა რუსეთში დაწესდება ავტონომიები, მაშინ ყოველივე საქმე უკეთესად მოეწყობა, ხალხი უფრო მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში, დეპუტატები დაახლოებული იქნებიან ხალხთან, უფრო ეცოდინებათ ხალხის გაჭირება-დალხინება და უკეთეს კანონსაც გამოსცემენ“[72].

მოტანილ ციტატაში აღწერილია რუსეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ისეთი პროგრამა, როგორც მას წარმოადგენდნენ გაზეთების მესვეურები. როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი სოციალურ საკითხზე, არ ჩანს ასეთ ფედერაციად ისინი ბურჟუაზიულ რუსეთს გულისხმობენ თუ სოციალისტურს.

როგორც ცნობილია, არჩ. ჯორჯაძე ავტონომიებს გულისხმობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში. საფიქრებელია, დუმილი რუსეთის სოციალური გარდაქმნის აუცილებლობაზე ნიშნავს იმას, რომ აქ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთის ავტონომიური მოწყობა იგულისხმება.

აღნიშნულ სტატიაში ს. ფირცხალავა სამაგალითოდ ასახელებს ავტონომიებს ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა,

---

72 გაზ. „მიწა“, 1907, № 11, მოწინავე: „რა არის ავტონომია“.

ავსტრია, შვეიცარია და სხვ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ავტონომია არ ნიშნავს გამოყოფას, განცალკავებას. მისი სიტყვით, საერთო გამგებლობაში უნდა დარჩეს ჯარის, ბაჟების, ფულის, თავდაცვის, ომის, ფოსტის, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისა და სხვა საკითხები. ადგილობრივი კანონები მხოლოდ ადგილობრივ საქმეებს მოაწესრიგებენ. „მთელი რუსეთის ყველა ნაწილები და ყველა ხალხები ძმურათ შეერთებულნი იქნებიან“...[73].

იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის სოლიდარობისა და მებრძოლ ძალთა კონსოლიდაციის თვალსაზრისით რუსეთის განუყოფლობის იდეა პროგრესული იყო. ზემოხსენებული შეხედულებით, ასეთი მოთხოვნის წამოყენება სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამაში (ეროვნულ დემოკრატებთან შედარებით) დადებით მომენტად უნდა მივიჩნიოთ.

ამასთან ერთად, სოციალისტ-ფედერალისტთა არაერთი წარმომადგენელი დღენიადაგ ფიქრობდა ეროვნული ავტონომიის მოპოვებაზე. სამსონ ფირცხალავას ორ წერილში: „როდის ვიქნებით თავისუფლები“[74] და „ორნაირი თავისუფლება“[75] — დასახულია პოლიტიკური ავტონომიის განხორციელების გზები, დახასიათებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური წყობილება, სადაც ხალხის ცხოვრება ავტონომიის პრინციპზეა მოწყობილი.

გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ კორესპოდენტთა ნაწილს მხოლოდ საკუთარ, ადგილობრივ, დემოკრატიულ პრინციპზე აგებული წარმომადგენლობითი დაწესებულებების შექმნა მიაჩნდათ საქართველოს ეროვნული უფლებების განხორციელების გარანტიად.

გაზეთების ეროვნული პლატფორმის დასახასიათებლად საინტერესო მასალებს შეიცავს აგრეთვე ის წერილები, რომლებიც მიეძღვნა სახელმწიფო სათათბიროში გაშლილ მწვავე პოლემიკის განხილვას. გაზეთების მესვეურები ილაშქრებენ მენშევიკების მიერ 1906 წელს წამოყენებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნაზე და მას ფართო პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას უპირისპირებდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტები სიხარულით შეეგებნენ სახელმწიფო სათათბიროში ავტონომისტ-ფედერალისტთა ფრაქციის ჩამოყალიბებას[76]. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს მოსწონდათ ფრაქციის მისწრაფება ქვეყნის სახელმწიფო მართვა-გამგეობის დეცენტ-

---

73 გაზ. „მიწა“, 1907, № 11, მოწინავე: „რა არის ავტონომია“.

74 გაზ. „გლეხი“, 1906, № 5.

75 გაზ. „მიწა“, 1907, № 18.

76 გაზ. „შრომა“, 1906, № 35, სტატია: „ავტონომისტ-ფედერალისტთა ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში“.

რალიზაციისაკენ, დემოკრატიზაციისაკენ და ფართო პოლიტიკური ავტონომიის უზრუნველყოფისაკენ; აკმაყოფილებდათ ფრაქციის მოთხოვნა ერების უფლებათა შემსღუდველი კანონების გაუქმებისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დაუყოვნებლივ დაკანონების შესახებ. თუმცა სოციალისტ-ფედერალისტები ამაოდ იმედოვნებდნენ, რომ პროგრესულ ძალთა მხარდაჭერით „სახელმწიფო სათათბიროში ავტონომია საკანონმდებლო სანქციას მიიღებდა“[77].

მ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მიერ ეროვნული მოთხოვნების წამოყენებაზე. დეპუტატები ითხოვდნენო, — გვამცნობს მ. ჯავახიშვილი, — „რომ ყველა ხალხს ნება ჰქონდეს თავის ენაზე ილაპარაკოს, თავის ენაზე ილოცოს, თავისი შინაური საქმეები, როგორც მისი ნება იქნება, ისე მოაწყოს; ქართველმა ქართულად უნდა ისწავლოს სკოლებში, სომეხმა სომხურად და თათარმა თათრულად“[78].

შემდეგ ავტორი აცნობებს მკითხველს, რომ სათათბიროს ქართველმა დეპუტატებმა „იერიში მიიტანეს მთავრობაზე და ანგარიში მოსთხოვეს. ქართველებმა მოახსენეს რუსების დეპუტატებს, რომ მთავრობა საშინლად სტანჯავდა ქართველ ხალხს, გლეხებს, მუშებს, დიდს, პატარას; მოახსენეს, რომ გენერალმა ბაუერმა მთელი ქართლი აიკლო, გენერალმა ალიხანოვმა მთელი გურია, იმერეთი, რაჭა და სამეგრელო გადასწვა, გადაბუგა, აოხრა და გაატიალა“[79].

გაზეთ „მიწის“ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ სათათბიროს კავკასიელმა დეპუტატებმა პასუხი მოთხოვეს მთავრობას, „რატომ არაფერს აკეთებს კავკასიის სასარგებლოთ, რატომ არ ფიქრობს, შემოიღოს კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, დააწესოს თვითმმართველობა, ადგილობრივ დაწესებულებებში შემოიღოს ადგილობრივი ენა, გაავრცელოს ცოდნა და სხვ“[80].

აღსანიშნავია, რომ გაზეთების მესვეურებს არ სწამდათ სახელმწიფო სათათბიროში ეროვნული საკითხის სასურველი გადაწყვეტის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ ისინი მშრომელ გლეხობას მოუწოდებდნენ — ბრძოლით მოეპოვებინათ დემოკრატიული თავისუფლება და მასთან ეროვნული თანასწორობაც.

* * *

აქვე საჭიროდ ვთვლით რამდენიმე სიტყვით გავაშუქოთ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხი, რომელსაც ჩვენ-

77 იქვე.
78 გაზ. „გლეხი“, 1906, № 1, სტატია: „სახელმწიფო სათათბირო“.
79 იქვე.
80 გაზ. „მიწა“, 1907, № 16, სტატია: „სახელმწიფო სათათბირო“.

თვის საინტერესო გაზეთებიც გამოეხმაურნენ. ავტოკეფალიის საკითხი, რა თქმა უნდა, მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული თავისუფლების მოთხოვნას და ამიტომ ეროვნული პროგრამის შემადგენელ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ.

საქართველოს ავტოკეფალიის საკითხს თავის დროზე დიდ ყურადღებას აქცევდნენ თერგდალეულები. საუბრობს რა ქართული ენის გაძევებაზე საქართველოში არსებული სასულიერო სასწავლებლებიდან, ქართული ეკლესიის დამორჩილებაზე სინოდისადმი და, საერთოდ, ქართველი ერისა და ქართული ენის შევიწროებაზე, ი. გოგებაშვილი დაასკვნიდა: „აქედან ცხადად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიურს, თვითმმართველობის პრინციპს ჩვენის ქვეყნისათვის და რამდენად საჭიროა, რომ ჩვენის ეკლესიის მართვა და განგება უმთავრესად იყოს საქართველოს ექსარხოსის ხელში და პირდაპირ არ ექვემდებარებოდეს პეტერბურგის ინსტანციას...“[81].

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთების დამოკიდებულება სამღვდელოებისადმი მეტად კრიტიკულია „... ეხლანდელი ეკლესია და სამღვდელოება, — ვკითხულობთ გაზეთ „გლეხის“ ფერცლებზე, — მთავრობის მოსამსახურეა და ყველაფერში ისე იქცევა, როგორც მთავრობა უბრძანებს“[82].

ამ კრიტიკას აგრძელებს გაზეთი „მიწაც“, მაგრამ ამჯერად ჩვენ საკითხის ეს მხარე არ გვაინტერესებს. ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ როგორც კი ქართველმა სამღვდელოებამ წამოჭრა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, გაზეთებმა მაშინვე მხარი დაუჭირეს მას და მისი პოპულარიზაცია დაიწყეს. ისინი განმარტავდნენ ავტოკეფალიის არსს, აღნიშნავდნენ, რომ ეკლესიის თავისუფლება დაკავშირებულია სინდისის თავისუფლებასთან, ხოლო „სინდისის თავისუფლება იგივე პიროვნების თავისუფლებაა“ და ასაბუთებდნენ ეკლესიის ქართული მმართველობის მთელ რიგ უპირატესობას, სინოდის მმართველობასთან შედარებით[83]. გაზეთი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „წინათ სამღვდელო პირები ქართულათ იღებდნენ განათლებას, კარგად იცოდნენ ხალხის ენა, სინოდმა კი ბრძანა, — საქართველოში გახსენით ექვსი სასულიერო სასწავლებელი და სემინარია, სადაც სწავლება მარტო რუსულათ უნდა სწარმოებდეს და მოწაფეებს აღმზრდელებადაც რუსები უნდა ეყოლოსთო“[84].

---

81 ჟურნ. „ივერია“, 1882, № 2, გვ. 103.

82 გაზ. „გლეხი“, 1906, № 6, სტატია: „გლეხის წერილები“.

83 გაზ. „მიწა“, 1906, № 3, წერილი: „რას თხოულობს სამღვდელოება“.

84 იქვე.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის ინტერპრეტაციაში გაზეთების მესვეურთათვის ქართული ეროვნული ინტერესების დაცვას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ამრიგად, სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, ყველა ერის თანასწორუფლებიანობა, სახელმწიფო კანონმდებლობაში ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება, მკობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული ენით სარგებლობის უფლება, ეროვნული კულტურის განვითარება და დაცვა — ასეთი იყო ის ეროვნული მოთხოვნები, რომლებსაც გაზეთები „გლეხი" და „მიწა" აყენებდნენ 1906—1907 წლებში. ეს მოთხოვნები არსებითად ქართველი რევოლუციური გლეხობის მოთხოვნები იყო და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ეროვნულ საკითხში წვრილბურჟუაზიული, გლეხური დემოკრატიის მიმართულებაზე.

ამავე დროს, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ესწრაფოდნენ გამოსულიყვნენ მთელი ქართველი ერის სახელით. თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ეროვნულ თავისუფლებას მიიჩნევდნენ, სოციალურ-ეკონომიკურ თავისუფლებას კი მეორე რიგში აყენებდნენ. მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ფართო პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში.

საქართველოს იმდროინდელ პირობებში ეს პლატფორმა უდავოდ პროგრესული იყო, რადგან, როდესაც ერი განიცდის ჩაგვრას, ერის ცხოვრებაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საჭიროება აუცილებლად წინა პლანზე წამოიწევს, სოციალური საკითხები კი მეორე რიგში ინაცვლებს. ამის დასაბუთებას ვხვდებით საქართველოს ისტორიულ წარსულშიც, მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებშიც.

ფ. ენგელსის აზრით, სანამ სიცოცხლისუნარიანი ერი შებორკილია უცხო დამპყრობთა მიერ, ის მთელ თავის ძალებს, მიზნებსა და ენერგიას აუცილებლად მიმართავს ეროვნული განთავისუფლებისათვის და სანამ ერის შინაგანი ცხოვრება პარალიზებულია, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური თავისუფლებისათვის[85]. ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება ყოველი ჯანმრთელი ერის თავისუფალი განვითარების ძირითადი პირობაა[86].

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისტორიულ თავისებურებას მისი კოლონიური მდგომარეობა განსაზღვრავდა. საქართველო

---

[85] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 18, 1961, გვ. 555.
[86] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, 1964, გვ. 221.

იმ დროს წარმოადგენდა მეფის რუსეთის უუფლებო მხარეს, რომელიც მეტროპოლიის გაბატონებული კლასებისაგან სასტიკ ჩაგვრასა და შევიწროებას განიცდიდა[87]. ამდენად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია საქართველოში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პირველადობას აღიარებდა.

აქ ისმის კითხვა: რა საშუალებით ცდილობდნენ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას? შესაძლებელი იყო თუ არა მათი მიზნების განხორციელება აღნიშნულ პერიოდში?

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია საქართველოს ფართო პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდა რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში. ამდენად, მათ სეპარატიზმს ვერ დავწამებთ. ამასთან, თავისი ეროვნული პროგრამის განხორციელების გზები და საშუალებები სოციალისტ-ფედერალისტებს, მათ შორის ამ პარტიის მემარცხენე ფრთას, ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდათ. აღნიშნულ პერიოდში ფართო პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას განხორციელება არ ეწერა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ისტორიამ იცის ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მრავალი გზა, როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში. მართლაც, მრავალეროვან იმპერიებში, მათი დაშლისა თუ სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის გადახალისების შედეგად, შესაბამისი ეროვნების ხალხები ბევრგან ეღირსნენ ეროვნულ თვითგამორკვევას, არა მარტო ეროვნულ ავტონომიას, არამედ ეროვნულ დამოუკიდებლობასაც, რის მრავალ მაგალითს იძლევა პურეუაზიული ეპოქაც. ასე, რომ ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა სრულებით არაა სოციალიზმის პრიორიტეტული მოვლენა. მეფის რუსეთში ამ მოთხოვნას რეალიზაცია არ ეღირსა „სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმის“ ტიპიური სამშობლოს პირობებში, სადაც ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბარბაროსული სისასტიკით იხშობოდა და ითრგუნებოდა. ხალხთა ხსენებული საპყრობილის გაცამტვერების გარეშე საქართველოში ეროვნული მოძრაობა ვერ გაიმარჯვებდა, სანამ იმპერიის ჩაგრული ხალხები ჯერ კიდევ ითმენდნენ ისეთ მთავრობას, რომელიც ჯალათის მძვინვარებით ახშობდა არათუ ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისადმი, არამედ იყენებდა რუსეთის ჯარებს „სხვა ხალხების დასამონებლად“.

ასე იდგა ეროვნული საკითხი გაზეთების „გლეხისა“ და „შიწის“ სამოქმედო პროგრამაში.

---

87 პ. რატიანი, ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე, ტ. I, 1976, გვ. 69.

4. სახელმწიფო სათათბირო და გაზეთების პოზიცია

რუსეთის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით შეშინებულმა ხელმწიფემ, როგორც ცნობილია, 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც აცხადებდა საკანონმდებლო სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას. მასში მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებიც დაიშვებოდნენ. მანიფესტით წესდებოდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს გარეშე არც ერთი კანონი არ იქნებოდა მიღებული[88].

მანიფესტი რევოლუციის უდიდესი გამარჯვება იყო, მაგრამ ის არ სპობდა თვითმპყრობელობას, ვერ წყვეტდა თავისუფლების საკითხს. მანიფესტი ცარიზმის უკანდახევა, ერთგვარი დათმობა იყო, ვიდრე მთავრობა ძალებს მოიკრებდა რევოლუციაზე შეტევისათვის.

1906 წლის 27 აპრილს მოწვეულ იქნა I სახელმწიფო სათათბირო. შეზღუდული საარჩევნო კანონის გამო სათათბიროში უმრავლესობას კადეტები წარმოადგენდნენ. სათათბიროს 478 დეპუტატიდან 179 კადეტი იყო, მაშინ, როდესაც ოქტიაბრისტებს ჰყავდათ 16 დეპუტატი, ავტონომისტებს — 63, ტრუდოვიკებს — 97, უპარტიო დეპუტატებს — 105, სოციალ-დემოკრატებს — 18 (ყველა მენშევიკი).

როგორც ცნობილია, სათათბიროს გახსნისთანავე კადეტებმა შეადგინეს აღრესი მეფის სახელზე და მოითხოვეს: შექმნილიყო სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო, რომელსაც საზოგადოება ენდობოდა; გამოცხადებულიყო პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია; გაუქმებულიყო ქვეყნის ცალკეულ რაიონებში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა; გადაწყვეტილიყო მიწის საკითხი კადეტების პროგრამის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა საგლეხო-სანადელო მიწათმფლობელობის გაფართოებას საუფლისწულო, კაბინეტების, მონასტრებისა და სახელმწიფო მიწების ხარჯზე. ამასთან, შემამულეთა კერძო მიწისმფლობელობა ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ამ მიწების გლეხებისათვის გადაცემა საჭირო გახდებოდა, მიწის მესაკუთრეს „სამართლიანი ფასი" უნდა მისცემოდა.

მეფის მთავრობამ კადეტების ამგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაც კი შეუძლებლად მიიჩნია.

კადეტების ეს აღრესი „შემთანხმებლური" იყო. იგი გაუბედავად და არასრულად გამოხატავდა ხალხის, გლეხობის ინტერესებს, რომლებსაც მთელი მიწის მიღება სურდა ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე. მშრომელი ხალხის დეპუტატებს სათათბიროში უნდა გამოეყე-

---

88 გაზ. „მიწა", 1906, № 14, მოწინავე წერილი: „როგორ იქნა მოწვეული პირველი სათათბირო".

ნებინა კადეტების — ლიბერალური ბურჟუაზიის ყველა გაუბედავი დემოკრატიული მისწრაფება, მაგრამ არ უნდა დავიწყებოდა მათი „ეემთანხმებლური“, გამცემლური სულისკვეთება. გლეხური დემოკრატია ძალზე განსხვავდებოდა ლიბერალური დემოკრატიისაგან. გლეხური დემოკრატია ობიექტურ პირობათა გამო, რომლებშიც ჩაყენებული აღმოჩნდა გლეხთა მასა, იძულებული იყო, მის რიგებში სრული შეგნებულობის უქონლობის მიუხედავად, რევოლუციურად გამოსულიყო. ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის ძირეული ინტერესები არ უბიძგებდნენ მას ხელისუფლებასთან გარიგებისაკენ, არამედ აიძულებდნენ გადაჭრით ებრძოლათ არსებული წყობილების წინააღმდეგ. ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ლიბერალური, ანუ კადეტური და გლეხური, ანუ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის მიზნები ერთმანეთისაგან გადაჭრით განსხვავებულია.

I სახელმწიფო სათათბიროს მთელი მოღვაწეობა ხალხის მასების რევოლუციური მოძრაობის მიმართ „მაჩანჩალური“ იყო. ხალხი წინ უსწრებდა სათათბიროს, უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდა, ნაკლებ მშვიდობისმოყვარეობას იჩენდა, უფრო ენერგიულად იბრძოდა დემოკრატიული თავისუფლების მოსაპოვებლად.

როგორღა აფასებდა სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობას ქართული დემოკრატიული პრესა, კერძოდ, გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“?

გაზეთ „გლეხის“ პირველივე ნომერში დაიბეჭდა მ. ჯავახიშვილის წერილი „სახელმწიფო სათათბირო“. ავტორი აღწერს სათათბიროსა და ხელისუფლებას შორის არსებულ ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ მთავრობის უარმა სათათბიროს მოთხოვნებზე (პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია, საყოველთაო არჩევნების დაწესება, კანონის წინაშე ყველა ეროვნების თანასწორობა, მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობისათვის მშობლიური ენის თავისუფლება, მიწის განაწილება გლეხებზე და სხვ.), მათ შორის კონფლიქტი წარმოშვა. სათათბიროს არ აღმოაჩნდა ძალა ზემოქმედება მოეხდინა მთავრობაზე და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას უნდობლობა გამოუცხადა. მ. ჯავახიშვილის აზრით, გლეხობას სათათბიროს იმედი არ უნდა ჰქონდეს: „ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ სახელმწიფო სათათბირო ხალხს ვერც მიწას მისცემს და ვერც თავისუფლებას. ვერ მისცემს იმიტომ, რომ მთავრობა სათათბიროს... ხელის განძრევის ნებას არ აძლევს“[89].

ამავე წერილში ავტორი გადმოგვცემს მიწის საკითხის განხილვის მიმდინარეობას I სახელმწიფო სათათბიროში და გვამცნობს, თუ როგორ მოხდა სათათბიროს დათხოვნა.

---

89 გაზ. „გლეხი“, 1906, № 4, სტატია: „გლეხის წერილები. სათათბირო და ხალხი“.

როგორც ცნობილია, I სახელმწიფო სათათბიროში მიწის საკითხზე დადგენილების ორგვარი პროექტი იყო წარდგენილი: ერთი კადეტებისა, ხოლო მეორე — ტრუდოვიკებისა. ეს უკანასკნელნი მოითხოვდნენ: 1. შექმნილიყო მიწის საერთო სახალხო ფონდი, რომელშიც შევიდოდა მთელი სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო, საეკლესიო და კერძო სამამულო მიწები; 2. ღარიბებოდა ეს მიწები გლეხებს „შრომითი ნორმის" მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ რამდენი მიწის დამუშავება შეეძლო ამა თუ იმ გლეხის ოჯახს საკუთარი ძალებით; 3. მიწის ფონდის მართვა უნდა დაკისრებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომელთაც აირჩევდნენ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით[90].

შემდგომში გლეხობის დეპუტატებმა კიდევ უფრო რადიკალურად დააყენეს საკითხი და მიწის სრული ნაციონალიზაცია მოითხოვეს.

ანალოგიურ მოთხოვნებს აყენებდნენ გაზეთები „გლეხი" და „მიწა". მათი აზრით, მიწის სრული ნაციონალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდებოდა მიწის განსაზოგადოება, თანაბარი განაწილება, რასაც განახორციელებდა მცირე და მსხვილი ტერიტორიული ერთეულები სამომხმარებლო-შრომითი ნორმის მიხედვით. ყოველივე ეს, გაზეთების აზრით, ხელს შეუწყობდა ღარიბსა და მდიდარს შორის განსხვავების მოსპობას. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აგრარულ პროგრამაში ნათქვამი იყო: „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თავის აგრარულ პროგრამას საფუძვლად უდებს მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას რათა იგი ხალხის საერთო სიმდიდრედ იქცეს: ა) სახელმწიფოს, ეკლესიას, მონასტრებს, კაბინეტს, უფლისწულებს და მსხვილ მემამულეებს მიწა რევოლუციური გზით გამოუსყიდველად უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს წვრილსა და მსხვილ ტერიტორიალურ ერთეულებს; ბ) სადაც კოლექტიური შრომის განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდება, იქ პარტია მხარს დაუჭერს ჩამორთმეულ მიწების ნაჭერ-ნაჭერ გადაცემას დასამუშავებლად, იმ პირობით კი, რომ არავის იმაზე მეტი მიწა არ მოეზომოს, რის დამუშავებასაც თავისი საკუთარი ძალღონით ვერ გაუძღვება"[91].

ტრუდოვიკების პროგრამა შეტანილი I და II სათათბიროში, რომელიც მიწის ნაციონალიზაციას ითვალისწინებდა, გლეხთა მასების პროგრამა იყო. ის ასახავდა გლეხობის ინტერესებს და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „შრომითი საწყისის" იდეა მიწის საკითხში სოციალისტური არ იყო, რადგან უაღრესად სრული „თავისუფლება" და მთელი მიწის

---

90 იქვე.

91 ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მესამე (დამფუძნებელი) პარტიული კრების ანგარიში, 1907, გვ. 95.

უალრესად „სამართლიანი“ განაწილება არათუ ვერ სპობდა კაპიტალიზმს, არამედ, პირიქით, ქმნიდა პირობებს მისი განსაკუთრებით ფართო და მძლავრი განვითარებისათვის.

კამათი აგრარულ საკითხზე I სახელმწიფო სათათბიროში დიდხანს გაგრძელდა. აგრარული საკითხის ირგვლივ სათათბიროში გამოთქმული მრავალი თვალსაზრისია განხილული გაზეთ „მიწის“ 1906 წლის მე-9 ნომერში. წერილის ავტორი (ს. ფირცხალავა) მთავრობასა და სათათბიროს პოზიციებს მიწის საკითხში მოკლედ აყალიბებს, განიხილავს იმ დაჯგუფებათა თვალსაზრისებს, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ სოციალისტთა რიგებს და მშრომელი ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის ინტერესებს იცავდნენ. ავტორი ეთანხმება მშრომელთა ჯგუფის (ტრუდოვიკების) მოთხოვნებს: მთელი მიწა და ის, რაც მიწის წიაღშია, უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. ამასთან, სოფლის მეურნეობისათვის სამყოფი მიწა უნდა მიეცეს მხოლოდ იმათ, ვინც საკუთარი ძალებით დაამუშავებს. ტრუდოვიკების აზრით, მიწაზე ყოველგვარი საკუთრების მოსპობა განაპირობებდა სოციალიზმთან მიახლოებას[92].

სახელმწიფო სათათბიროში წარმოდგენილი მოთხოვნებიდან გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მესვეურების მრწამსთან ყველაზე ახლოს სწორედ მშრომელთა ჯგუფის (ტრუდოვიკების) პროგრამა იდგა. ამიტომ, მშრომელთა ჯგუფის პროგრამულ მოთხოვნებს საგანგებოდ ეხება ს. ფირცხალავა[93].

„მშრომელთა ჯგუფმა მოითხოვა:

1. მთავრობამ უნდა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი, თავისუფლებისათვის მებრძოლი პირები, განურჩევლად იმისა იბრძოდნენ ისინი მართვა-გამგეობის (პოლიტიკური დანაშაული), ეკლესიის (სარწმუნოებრივი დანაშაული), თუ მემამულეების (აგრარული დანაშაული) წინააღმდეგ.

2. მთავრობამ უნდა გამოსცეს მიწის კანონი, რომლითაც მიწა გამოცხადდება საზოგადო საკუთრებად. მიწა უნდა მიეცეს მხოლოდ იმათ, ვინც საკუთარი შრომით დაამუშავებს მას.

3. ტრუდოვიკები მოითხოვენ პიროვნების სრულ თავისუფლებას, მისი შემავიწროებელი შეზღუდვების მოსპობას.

4. სათათბირომ უნდა გააუქმოს: ა) სიკვდილით დასჯა; ბ) სამხედრო წესები, სამხედრო სასამართლოები; გ) კანონები კავშირებისა და გაფიცვების წინააღმდეგ; დ) წოდებები, ენების შევიწროება. სა-

---

92 გაზ. „მიწა“, 1906, № 9, წერილი: „ვის როგორ უნდა მოაწყოს მიწის საქმე. რა უნდა მუშა ხალხს და რა უნდა მდიდრებს“.

93 გაზ. „გლეხი“, 1906, № 1, წერილი: „სათათბიროს მშრომელთა ჯგუფის პროგრამა (მოქმედების გეგმა)“.

ერთო საქმეებისათვის იხმარებოდეს რუსული ენა, ადგილობრივი საქმეებისათვის — ადგილობრივი ენები; ე) უნდა გამოსცეს კანონები პიროვნების, ბინის, მიმოწერის ხელშეუხებლობის, ბეჭდვის, სიტყვის, კრების, მიმოსვლის, გაფიცვების თავისუფლების შესახებ; ვ) სათათბიროს მინისტრები უნდა აძლევდნენ განმარტებას ამა თუ იმ საკითხზე; ზ) გაუქმდეს სახელმწიფო საბჭო; თ) მოქალაქეს მიეცეს უფლება სასამართლოში გაიწვიოს მთავრობის წარმომადგენელი.

5. მუშებისათვის უნდა დაწესდეს:

ა) 8 საათიანი სამუშაო დღე; ბ) ბინის ქირა; გ) დაცული იყოს ქალების და ბავშვების შრომა; დ) აიკრძალოს ზედმეტი მუშაობა; ე) აიკრძალოს ღამის მუშაობა (ღამონაკლისის გარდა); ვ) მუშებს მიეცეს ანაღლვევა; ზ) შრომის კანონის დარღვევისათვის დაწესდეს სასჯელი მეწარმეთათვის და სხვ.

როგორც ვხედავთ, ტრუდოვიკების პროგრამა გაზეთ „გლეხში" დაწვრილებითაა გადმოცემული. ამასთან დაკავშირებით მ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილში მიუთითებს, რომ სათათბიროში კადეტთა პროგრამამ გაიმარჯვა მათი რიცხობრივი სიმრავლის გამო[94]. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ სათათბიროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მთავრობამ არავითარი ანგარიში არ გაუწია. მან 9 ივლისს გამოსცა ბრძანება სათათბიროს დათხოვნის შესახებ. სათათბიროზე თხრობას მ. ჯავახიშვილი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ დღემდის სულ იმას ველოდით, რომ ან ხელმწიფე მოგვცემს მიწას და თავისუფლებას, ან მინისტრები მოგვცემენ, ან სახელმწიფო სათათბირო. ველოდით და ვეუცერებდით, მაგრამ ლოდინით თვალები დაგველია და ხახამშრალები დავრჩით: არც ხელმწიფემ მოგვცა რამე, არც მინისტრებმა და არც სათათბირომ. ის ხომ წინადაც ვიცოდით, რომ მთავრობა თუ წაგვართმევდა რამეს, თორემ მოცემით არას მოგვცემდა; მაგრამ ამ სათათბიროს რაღას შევჩერებივართ? ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგანაც დიდი ხანია რუსეთის სათათბიროზე ბევრად უკეთესი პარლამენტები არსებობს, მაგრამ დღემდის მათ ხალხისთვის არც მიწა მიუცია და არც თავისუფლება. რუსეთის სათათბირო რაღა წითელი ცოცი იყო, რომ ხალხისთვის მიეცა რამე!

არა, ჩვენ სათათბიროსაგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ. თუ რამე გვინდა და თუ რამე შეგვიძლიან, ჩვენივე ხელით უნდა ვიშოვოთ მიწაც და თავისუფლებაც"[95].

ჰქონდა თუ არა ასეთ პირობებში სახელმწიფო სათათბიროს რაიმე მნიშვნელობა?

---

94 გაზ. „გლეხი", 1906, № 4, „გლეხის წერილები. სათათბირო და ხალხი".

95 იქვე.

გაზეთის პუბლიცისტის (ვინმე „კარ-ის“) მართებული აზრით, სათათბირომ თვალი აუხილა ხალხს, კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ მთავრობისაგან ხალხი არაფერს არ უნდა მოელოდეს[96]. ამაშია I და II სახელმწიფო სათათბიროს ისტორიული მნიშვნელობა. ორივე სათათბიროში კადეტების საქმიანობამ ცხადყო, თუ რამდენად დგანან ისინი დემოკრატიისათვის მებრძოლთა რიგებში. ნამდვილ დემოკრატიას წუწუნი არ მართებდა ლიბერალების ასეთი საქციელისათვის. კადეტების გამოაშკარავებით ხალხმა მოიგო ის, რომ დაჰკარგა თავისი ილუზიები. რუსეთის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ მოიგო ის, რომ დაჰკარგა უვარგისი ბელადები და უნიათო მოკავშირენი, რაც სასარგებლო იყო ამ დემოკრატიის პოლიტიკური განვითარებისათვის.

დიახ, ხალხმა დაკარგა ილუზია, რომ სათათბიროს გზით შეძლებდა თავისი მიზნის მიღწევას. მაგრამ როცა მეორე სათათბიროს მოწვევის ცნობა გამოქვეყნდა, გაზეთ „მიწაში“ დიდძალი მასალა დაიბეჭდა იმის თაობაზე, თუ როგორი კანდიდატი უნდა აერჩია გლეხობას თავის დეპუტატად. ამასთან, გაზეთი „მიწა“ გამოვიდა ახალი საარჩევნო კანონის კრიტიკით, რომლითაც აშკარად იზღუდებოდა გლეხობის საარჩევნო უფლებები: „... ახლა მთავრობამ გლეხების მესაკვიწროებლათ აღო და შესცვალა ეს კანონი“[97].

მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების პერიოდში გაზეთმა „მიწამ“ მრავალი წერილი მიუძღვნა მომავალ სათათბიროს, მისი რაობის, უუფლებობისა და დანიშნულების საკითხებს, აგრეთვე იმ მოსალოდნელ შედეგებს, რაც შეიძლება ჰქონოდა ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობას. აკრიტიკებდა რა სათათბიროს, გაზეთი „მიწა“ წერდა: „მთავრობა ეუბნება დეპუტატებს: ილაპარაკეთ, რაზედაც გინდათ, ხოლო ძირითად კანონებს არ შეეხოთ, ხმა არ დასძრათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს რუსეთში უმაღლესი მართებლობაო“[98]. „მთავრობამ 20 თებერვალს დაადგინა, მინისტრს შეუძლია დაკეტოს სათათბიროს კარი და არც გაზეთის მწერალი შეუშვას შიგ, არც სხვა ვინმეო“...[99] მინისტრები არ ექვემდებარებიან სათათბიროს, სათათბირო პასუხს ვერ მოსთხოვს მათ ამა თუ იმ ქმედებისათვის, სათათბირო ვერ შეცვლის მთავრობის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას (ბიუჯეტს) და ა. შ.

„ამგვარათ, — ასკვნის გაზეთი, — 20 თებერვალს და შემდეგ 8 მარტს გამოცემული კანონების ძალით, ხალხის არჩეულ დეპუტატებს არაფრის ნება აღარ შერჩათ. მინისტრებს, როგორც უნდათ, ისე შე-

---

96 გაზ. „გლეხი“, 1906, № 5, სტატია: „კანონი“.

97 გაზ. „მიწა“, 1906, № 8, წერილი: „მთავრობა და გლეხობის დეპუტატები“.

98 იქვე, № 15, წერილი: „რისი ნება აქვს სათათბიროს“.

99 იქვე.

უძლიათ აწარმოონ საქმეები, ისე ხარჯონ ხალხის ფულები, ხელის შემშლელი არავინაა. ასე დააწესა მთავრობამ, ასე შეზღუდა და შეჰბორკა ხალხის წარმომადგენლების მოქმედება"[100].

გაზეთი „მიწა" ასეთ სათათბიროს „თამაშობას და მასხარაობას" უწოდებს. ს. ფირცხალავას აზრით, უკვე პირველმა სათათბირომ გაუტეხა სახელი მთავრობას და ხალხს მისი ნდობა დაუკარგა, თვალი აუხილა გლეხობას. სწორედ ამიტომაა საჭირო II სათათბიროს მუშაობაში მონაწილეობის მიღება. „... საჭიროა სათათბირო. სათათბიროში მთავრობის მხილება, მისი ძალმომრეობის და ავაზაკობის გამოქვეყნება. სათათბიროს შემწეობით მთელს რუსეთს მოეფინება მთავრობის ბოროტების ამბები, ყველა დაინახავს, რომ ეს მთავრობა სრულიათ უვარგისია, რომ ხალხის წარმომადგენლებს უკეთ შეუძლიათ ქვეყნის მართვა-გამგეობა"[101].

მოწინავე წერილებში: „ვინ ავირჩიოთ დეპუტატად"[102], „რა უნდა გააკეთონ დეპუტატებმა"[103], — გაზეთები ქადაგებენ სათათბიროში გლეხობის ღირსეული დეპუტატების არჩევას და გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ხალხმა II სათათბიროც უნდა გამოიყენოს ხელისუფლების საჭხილებლად[104].

გაზეთი „მიწა" თვლის, რომ მშრომელი ხალხის დეპუტატებმა უნდა დაიცვან ის მოთხოვნები, რომლებიც შემუშავებული და წამოყენებული იყო პირველ სახელმწიფო სათათბიროში მშრომელთა ჯგუფის დეპუტატების (ტრუდოვიკების) მიერ. არჩევნების დროს გაზეთი გლეხობას მოუწოდებდა აერჩიათ „მუშა ხალხის ერთგული მეგობრები, რომლებიც მედგრათ შეებრძოლებიან მთავრობას და არასოდეს, არავითარი განსაცდელის დროს არ დაივიწყებენ ტანჯული მუშების და გლეხების ინტერესებს"[105].

როგორც ცნობილია, მეორე სახელმწიფო სათათბირო 1907 წლის 20 თებერვალს შეუდგა მუშაობას. მეფის მთავრობა იმედოვნებდა, რომ მეორე სათათბირო უფრო თვინიერი იქნებოდა ვიდრე პირველი. მაგრამ მოხდა პირიქით.

მეორე სათათბირო პირველ სათათბიროზე უფრო მემარცხენე აღმოჩნდა. მეორე სათათბიროში ბევრად მეტი სოციალ-დემოკრატი და მეტი რევოლუციური დემოკრატი (სოციალისტ-რევოლუციონერები და ტრუდოვიკების ნაწილი) იყო. პირველი სათათბირო მშვიდობიანი

---

100 იქვე.

101 იქვე, 1907, № 1, მოწინავე წერილი: „რას მოგვიტანს ახალი სათათბირო".

102 იქვე, № 2.

103 იქვე, № 3.

104 იქვე, № 2, წერილი: „ვინ ავირჩიოთ დეპუტატად".

105 იქვე, № 4, წერილი: „ამხანაგო გლეხებო!".

გზის იმედების სათათბირო იყო. მეორე სათათბირო — მეფის შავრაზმულ მთავრობასა და მასის წარმომადგენლებს შორის მწვავე ბრძოლის სათათბირო.

გაზეთი „მიწა“ ყურადღებით ადევნებდა თვალს სათათბიროს საქმიანობას და სათანადო ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს[106]. ამასთან, გაზეთმა დაკარგა სათათბიროს იმედი, დარწმუნდა რომ „სათათბირო სრულიათ უძლურია, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, ვერც ქვეყანას მოაწესრიგებს და ვერც მშვიდობიანობას დაამყარებს, რომ სათათბიროს არა აქვს იმის ძალა და ღონე, რომ რამე დაათმობიოს მთავრობას, გამოსცეს კანონი ხალხის სასარგებლოთ, მოუპოვოს ხალხს თავისუფლება და მიწა“[107]. „გაზეთი „მიწა“ აცხადებდა, რომ: „...ხალხის ძალას სათათბირო კი არ შეადგენს, ხალხის ძალა მის შეერთება-შეკავშირებაშია“[108]. გაზეთი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა რევოლუცია!

„სათათბირო მეტია!“ ამ სათაურით აქვეყნებს წერილს გაზეთი „მიწა“ 1907 წლის ბოლო ნომერში. სათათბიროს იმედი გაზეთს საბოლოოდ გადაეწურა: „თუ მუშა ხალხს რამე სურს, თვითონვე უნდა მოიპოვოს ძალით, ბრძოლით, თავგანწირული მოქმედებით. ისე, არც მთავრობა, არც შემამულეები, არც სხვა მდიდრები არაფერს არ დაუთმობენ. ასეთია ცხოვრების კანონი: შენს სიმართლეს მხოლოდ ბრძოლით მოიპოვებ!“[109].

II სახელმწიფო სათათბიროს ბედი ცნობილია: 1907 წლის 3 ივნისს მეფის ხელისუფლებამ მოახდინა ე. წ. „3 ივნისის გადატრიალება“, დანდევნა სათათბირო, დაამარცხა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და გაასამართლა; გამოსცა ახალი საარჩევნო კანონი, რომელშიც მუშათა და გლეხთა საარჩევნო უფლებები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. რუსეთში რეაქციის ხანა დაიწყო.

ამ პერიოდში გაზეთი „მიწა“ აღარ გამოდიოდა. მისი გამოცემა 26 მაისს შეწყდა[110]. ამდენად, ამ მოვლენების ასახვა გაზეთის რედაქციამ მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, როცა შვიდი თვის შემდეგ, 1908 წლის დამდეგს განაახლა გამოცემა და გაზეთის ორი ნომერი გამოუშვა.

გაზეთმა ამხილა III სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა-სათვის მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი საარჩევნო კანონის ანტიხალხური ხასიათი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ამომრჩეველთა

106 გაზ. „მიწა“, 1907, № 15, მოწინავე წერილი: „მთავრობა და სათათბირო“.

107 იქვე, № 18, მოწინავე წერილი: „საჭიროა რევოლუცია“.

108 იქვე, № 1, მოწინავე წერილი: „რას მოგვიტანს ახალი სათათბირო“.

109 იქვე, № 19, მოწინავე წერილი: „სათათბირო მეტია“.

110 გაზ. „მიწის“ 1907 წლის მომდევნო (მე-20) ნომერი უნდა გამოსულიყო 3 ივნისს.

შემადგენლობა მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის სასარგებ-ლოდ. გაზეთი სწორად ასახავს შექმნილ ვითარებას. III სახელმწიფო სათათბირო, რომელიც 1907 წლის 1 ნოემბერს შეუდგა მუშაობას, უკვე აღარ წარმოადგენდა ოპოზიციურ ძალას მეფის რუსეთის იმპერიაში. მისი დეპუტატების უმრავლესობა მთავრობის, მეფის ხელისუფლების მომხრე იყო. III სახელმწიფო სათათბირომ 5 წელს იარსება[111].

გაზეთი „მიწა" გულისტკივილით ამცნობს მკითხველს პირველი და მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების გასამართლების და დასჯის ამბავს, მოუთხრობს მეფის ხელისუფლების სასტიკი რეპრესიების შესახებ და საბოლოოდ დასკვნის, რომ „სათათბიროსაგან ხალხს არაფითარი სიკეთე არ ეღირსება"[112].

ამრიგად I და II სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხში გაზეთების „გლეხისა" და „მიწის" მესვეურები ძირითადად სწორ პოზიციაზე იდგნენ. ისინი არ ქმნიდნენ ილუზიას იმის შესახებ, თითქოს სათათბიროს შეეძლო კარდინალურად შეეცვალა მშრომელი ხალხის მდგომარეობა, მიეცა გლეხებისათვის „მიწა და თავისუფლება". ისინი სახელმწიფო სათათბიროს დადებით როლს იმაში ხედავენ, რომ მან ხელი შეუწყო მასების გამოღვიძებას, მეფის ხელისუფლების პოლიტიკის მხილებას.

5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების ასახვა გაზეთებში („გლეხი" და „მიწა") გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებში

1905—1907 წლების რევოლუციის თემატიკას განსაკუთრებული ადგილი უკავია იმდროინდელი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში. ამ ნაწერებში აისახა ავტორთა რევოლუციური განწყობილება და იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ გაზეთებში („გლეხი" და „მიწა") გამოქვეყნებული ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები, რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით ასახავენ იმ იდეურ სამყაროს, რომელშიც ტრიალებდნენ მათი ავტორები. გაზეთებში გამოქვეყნებული თითქმის ყველა მხატვრული ნაწარმოები გლეხის თემას ეძღვნება, მასთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებს. აქ წარმოდგენილია გლეხის უმძიმესი მდგომარეობა; ხაზგასმულია გლეხის გამოფხიზლება, თვალის ახელა. აღნიშნულ მასალებში გვხვდება ინდივიდუალური ტერორის მაგალითებიც (როცა გლეხი კლავს მჩაგვრელს და ტყეს აფა-

---

111 IV სახელმწიფო სათათბირო მუშაობდა 1912 წლის 15 ნოემბრიდან 1917 წლის 6(19) ოქტომბრამდე.

112 გაზ. „მიწა", 1908, № 1, წერილი: „გლეხებს".

რებს თავს), აგრეთვე მოწოდებები ერთობლივი გამოსვლისაკენ, მებრძოლ გლეხთა რიგებში ჩადგომისაკენ. მხატვრულ ნაწარმოებებში დახასიათებულია ერთობა, ერთობისათვის ბრძოლის მნიშვნელობა, გლეხის მიერ ერთობის აღიარება და მის პოზიციაზე დადგომა*.. ამასთან, გაკრიტიკებულია სახელმწიფო სათათბირო, რომელსაც ზოგიერთი გლეხი ჩაგვრისაგან განთავისუფლების საშუალებად თვლიდა.

ერთი სიტყვით, გაზეთების პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებში გაშუქებულია იგივე პრობლემატიკა, რაც პუბლიცისტიკაშია წარმოდგენილი, გამოთქმულია იგივე შეხედულებები, იგივე იდეები, რაც გაზეთების იდეურ-პოლიტიკურ მრწამსს შეადგენს. ამას კარგად ადასტურებს გაზეთებში გამოქვეყნებულ ლექსთა სათაურების უმრავლესობაც: „გლეხი", „გლეხს", „გლეხის ფიქრები", „გლეხის სიმღერა", „გლეხის ჩივილი", „გლეხის აღსარება", „მებრძოლ გლეხებს" და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ გაზეთებში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებთა ავტორებად გვევლინებიან ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლები და პოეტები, როგორიც იყვნენ ვაჟა-ფშაველა და იროდიონ ევდოშვილი, შიო მღვიმელი და სოფრომ მგალობლიშვილი, თედო რაზიკაშვილი და იალერიან გუნია, დუტუ მეგრელი და ნოე ზომლეთელი, შიო არაგვისპირელი და ნინო ნაკაშიძე, სანდრო შანშიაშვილი და ვარლამ რუხაძე. მათი ნაწარმოებების გვერედით გაზეთებში დაბეჭდილია ნაკლებად ცნობილი ავტორების ნაშრომებიც. ესენია: დომენტი თომაშვილი (დ. ოყროშიძე), გიორგი შინატეხელი (გ. მანთაშოვი), ბორის ახოსპირელი (ბ. აღაიანცი), დავით ნინოწმინდელი (დ. როსტომაშვილი), ნავთლუღელი შაქრუა (სარქის კირაკოზოვი), მეჩონგურე (დავით ქარცივაძე), ახალციხელი (გიორგი სალარიძე), პავლე აკობია, არსენ ლომინაძე, დიმიტრი დეკანოზიშვილი, არჩილ სვიმონიძე, იოსებ მჭედლიშვილი, გრიგოლ ცენტურაძე, ანტონ დარჩიაშვილი და სხვ.

გაზეთებში გამოქვეყნებული მხატვრული ლიტერატურის განხილვას შევეცდებით თემატური თანამიმდევრობით. მართალია, ეს ნაწარმოებები ყოველთვის არ გამოირჩევიან მაღალმხატვრულობით, მაგრამ მათი დიდი ნაწილი დაწერილია გულწრფელად, შთამბეჭდავად და უთუოდ დიდ გავლენას მოახდენდა იმდროინელ ფართო საზოგადოებაზე.

ლიტერატურული ნაწარმოებების თემატური შინაარსი ჩვენ გვაინტერესებს გაზეთების იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებასთან კავშირში, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამოხატავენ და ავსე-

---

* ამ შემთხვევაში ერთობა სოციალიზმის ტოლფასია.

ბენ ისინი ამ იდეურ-პოლიტიკური მიმართულების განმსაზღვრელ მასალებს.

გლეხის მძიმე და აუტანელი მდგომარეობა თითქმის ყველა ლექსში და მოთხრობაშია ასახული. მუქ ფერებშია დახატული გლეხის ცხოვრების აუტანელი პირობები, ბეჩავი მდგომარეობა, მისი ჩაგვრა და გაყვლეფა. ამასთან, ზოგიერთ ნაწარმოებში გლეხის მდგომარეობა პესიმისტურადაა წარმოდგენილი, მას გაუმჯობესების არავითარი პერსპექტივა არ უჩანს.

მეორე რიგის თხზულებებში კი, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ, გლეხის მძიმე მდგომარეობის აღწერას უშუალოდ მოსდევს მისი გამოფხიზლების აღნიშვნა, გლეხობისათვის თვალის ახელა, მტრისა და მოყვრის გარჩევა, საბრძოლო განწყობილების გაჩენა-ამაღლება, რევოლუციური ბრძოლის დაწყებისაკენ მისწრაფება და ა. შ.

გლეხთა მდგომარეობის უნუგეშობისა და უიმედობის ჩვენებას ვხვდებით ნ. ზომლეთელის, დ. კასრაძის, ბ. ახოსპირელის და სხვათა ლექსებში ამავე ნაწარმოებებში აღწერილია გლეხთა უზომო ჩაგვრის, მათდამი არაადამიანური მოპყრობის სურათები(ეგზეკუციები, მოურავთა თარეში, სამღვდელოების პარაზიტული ცხოვრება და ა. შ.).

„ვერ გაძღნენ!“ — ასეა დასათაურებული ბ. ახოსპირელის ერთ-ერთი ლექსი, რომელშიც თანამიმდევრულადაა დახატული მთავრობის მოხელის, მებატონის, მღვდლებისა და ჩარჩ-ვაჭრების მიერ გლეხთა გაყვლეფის სურათები. „ნუთუ ვერ გასძეხ ამდენ ხანს, შე მტარვალობის ბუნაგო? ჩვენის სისხლით და ოფლითა, დიდხანს იცხოვრებ, მსუნაგო?“[113] — ათქმევინებს გლეხს ბ. ახოსპირელი. გლეხის მდგომარეობის უნუგეშობა ჩანს ნ. ზომლეთელის ლექსში „გლეხის ჩივილი“[114], დ. კასრაძის — „გლეხის გოდება“[115], ირ. ევდოშვილის — „ბოგანო“[116] და სხვ.

ბოგანო გლეხი მოთქვამს თავის უნუგეშო მდგომარეობაზე, ირგვლივ წყვდიადია, გლეხს დარდი დაუფლებია, იგი ობლად გრძნობს თავს, ხსნას და შველას არსაიდან ელის. „არცა თენდება ტიალი... გავიდე შარა გზაზედა!“ — ამთავრებს თავის ჩივილს ბოგანო გლეხი.

ასევე უიმედოდაა წარმოსახული გლეხის მდგომარეობა გ. შინატელის ლექსში: „ახალი სიმღერა“. პოეტი თავდაპირველად გამოთქვამს აღტაცებას იმით, რომ ხალხმა არ მოითმინა ბატონყმობის უღელი, აჯანყდა და გადააგდო იგი. მაგრამ, ამან ვერ მოუტანა შვება. „ისევ

113 გაზ. „მიწა“, 1906, № 13.
114 იქვე, 1907, № 1.
115 იქვე, № 5.
116 იქვე, № 2.

გვაწევს მძიმე ტვირთი, სულს გვიხუთავს ჩვენ მტარვალი. აღარა გვაქვს მიწაწყალი, არსად არის სამართალი!...“[117].

ბედზე მწარედ ჩაფიქრებული წარმოგვიდგება გლეხი შიო მღვიმელის ლექსში „კალოსპირული“[118], ირ ევდოშვილის ლექსში „ბუხართან“[119] და სხვ.

გურიის სოფლების აწიოკება 1905—1907 წლების რევოლუციის დათრგუნვის პერიოდში მკაფიოდაა აღწერილი ნ. ნაკაშიძის მოთხრობაში „გურიის სოფელში (სურათი)“[120]. ავტორი მოთხრობილი ამბის თვითმხილველია.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მხატვრულ ნაწარმოებებშიც გლეხი აღიარებულია საზოგადოების არსებობის საფუძვლად. ბ. ახოსპირელის აზრით, მუშისა და გლეხის შრომა რომ არა, საზოგადოება საერთოდ ვერ იარსებებდა. „იცოდე, შენ ხარ დიდება ამ უკუღმართი სოფლისა, შენა და მუშა ქალაქის, — შენთანვე მღვრელი ოფლისა! უთქვენოთ მთელი ქვეყანა შიმშილით ამოწყდებოდა“...[121]

ცხადია, გლეხმა უნდა შეიგნოს, რომ მის შრომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. იგი უნდა გამოფხიზლდეს, შეიგნოს თავისი ინტერესები, გაერკვეს ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე და დაიწყოს ბრძოლა არსებული წესწყობილების შეცვლისათვის. მხატვრული ნაწარმოებების მთელი რიგი ავტორები გლეხს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებენ, ან კიდევ აღნიშნავენ ამ ფაქტს: „გამოიღვიძეთ, გლეხკაცნო, ნუღარ ხართ ძილში გართული, აღზდექით, მტერზედ ამხედრდით, გახსოვდეთ ჩემი ქართული“[122].

ლექსში „ჩონგურზე“[123] ირ. ევდოშვილი გლეხს ათქმევინებს, რომ მისი მდგომარეობა უფრო უარესია, ვიდრე პირუტყვისა. გლეხი შენიშნავს ირმებს, მათ თავისუფალ ცხოვრებას. „მე კი მონა ვარ ბატონის, თოკი მაბია მკლავზედა!“ — ნაღვლიანად შენიშნავს იგი. მაგრამ ამ მდგომარეობაში მყოფს რაღაც ნუგეშის მომცემი ხმა ესმის: „მოიცა, რაღაც ხმა ისმის, ცისკარიც წითლად ენთება, იმედი არი გლეხ კაცსაც, რომ ერთხელ გაუთენდება!“.

გ. შინატეხილიც ფიქრობს, რომ გამოიდარებს — „დღე დაგვიდგება მზიანი. ბნელს დასძლევს დღისა ნათელი, მუქთათ მყოფს მუშა ღვთიანი“[124]... ანალოგიურ სურათს ხატავს ბ. ახოსპირელი ლექსში

117 გაზ. „მიწა“, 1907, № 8.
118 იქვე, 1906, № 1.
119 იქვე, 1908, № 1.
120 იქვე, 1907, № 5.
121 გაზ. „გლეხი“, 1906, № 7, ლექსი: „გლეხს“.
122 გაზ. „მიწა“, 1906, № 12, გ. შინატეხელის ლექსი: „გლეხებს“.
123 გაზ. „გლეხი“, 1906, № 3.
124 გაზ. „მიწა“, 1907, № 7, ლექსი: „გუთნის დედის სიმღერა“.

„გლეხის ჩივილი“[125]. პოეტი აღწერს გლეხის მძიმე მდგომარეობას, მის მძიმე შრომას, სიღატაკეს, უმიწობას, უსახლკარობას, გლეხი მოთქვამს თავზე დატეხილ ამ უბედურებათა გამო, მაგრამ ბოლოს მაინც იმედიანად შესძახებს: „მაგრამ კმარა! ძირს მთავრობაე, ბატონო და სალოცავო! შენ შენს მეტი ვერვინ გიხსნის, შე ტიელო ჩემო თავო!“...

გლეხი მივიდა იმ რწმენამდე, რომ მან თვითონ უნდა უშველოს საკუთარ თავს, დაამხოს მთავრობა, ბატონი და მათი ყველა სალოცავი. ამ სახის მასალაა მოცემული ირ. ევდოშვილის ლექსში „მუშის სიმღერა“[126]. „მაშ აღვზდგეთ ჩვენც, ვაგრძნობინოთ მუქთა-მჭამელთ ჩვენი ძალა! კმარა, კმარა, მოთმინების აწ ფიალა დაიცალა!“ „მეყო სიჩუმე, აივსო მოთმინებისა ფიალა!“ — ამბობს პოეტი ლექსში: „ფიალა“[127].

გლეხის გამოფხიზლების, მისთვის თვალის ახელის შესახებ მოგვითხრობენ დ. თომაშვილი ლექსში „გლეხის აღსარება“[128], ვ. გუნია (ფსევდონიმით — „ვალიკო“) ლექსში „გლეხის სიმღერა“[129], ირ. ევდოშვილი ლექსში „ჩონგურზე“[130], ბ. ახოსპირელი ლექსში „ურემზე“[131] და სხვ.

დ. თომაშვილის ლექსში „გლეხის აღსარება“ ხაზგასმულია სოფლის ინტელიგენციის, კერძოდ, სოფლის მასწავლებლების მნიშვნელობა გლეხის გამოფხიზლებასა და საბრძოლო განწყობაში. მკითხველის თვალწინ თანდათან წარმოიმართება მებრძოლი გლეხის მიმზიდველი ფიგურა, სახალხო გმირის სახე, რომელიც დაუვიწყარი რჩება ხალხის ხსოვნაში. ამ თვალსაზრისით ომახიან შეძახილად გაისმის ბ. ახოსპირელის ლექსი „მებრძოლ გლეხებს“[132]: „მაგრამ, ოხ, კმარა მოთმენა, დავაღრჩოთ ტანჯვის დღენია... აღზდექი ხალხო, დასჭექე... მოხდეს, რაც მოსახდენია“.

გლეხობის გამოფხიზლების, თავისუფლებისაკენ მოწოდების ხმა გაისმის გ. შინატეხელის ლექსში „გლეხი დღეს“[133], ს. მგალობლიშვილის მოთხრობაში „და შეჰფიცეს“[134]...

ალეგორიული ფორმით, ზღაპრის სამოსელში გახვეული იდეა ხალხის გამოფხიზლებისა, მჩაგვრელთა შეცნობისა და მათ წინააღმ-

---

125 გაზ. „გლეხი“, 1906, № 5.
126 გაზ. „მიწა“, 1907, № 3.
127 იქვე, № 5.
128 იქვე, 1906, № 16.
129 იქვე, 1907, № 9.
130 გაზ. „გლეხი“, 1906, № 3.
131 გაზ. „მიწა“, 1905, № 10.
132 იქვე, 1907, № 8.
133 გაზ. „გლეხი“, 1906, № 6.
134 გაზ. „მიწა“, 1906, № 3.

დეგ საბრძოლველად გამოსვლისა, გამოთქმულია აგრეთვე შ. არაგვის-პირელის მოთხრობაში „და აჰა მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“[135]....

გაზეთების მასალებში, ერთი მხრივ, დახატულია ინდივიდუალურად მებრძოლი გლეხი, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა მჩაგვრელი და ტყეს შეაფარა თავი, ხოლო მეორე მხრივ ნაჩვენებია გლეხთა ერთობლივი ბრძოლის სურათები, განსაზღვრულია მისი მნიშვნელობა, გამოთქმულია აზრი, რომ გამარჯვების საწინდარი სწორედ ერთობლივ ბრძოლაშია.

ა. დარჩიაშვილის მოთხრობაში „სარწყავზედ“ გლეხი კლავს მოურავ-ბატონს, რომელმაც მას წყალი დაუწყვიტა და ამით სარჩო-საბადებლის მოპოვების საშუალება მოუსპო[136].

ანგარიშს უსწორებს მჩაგვრელებს მებრძოლი გლეხი გ. შინატეხელის ლექსში „გლეხის ნაამბობი“[137]. მარჯვე და შრომისმოყვარე გლეხი ნაყოფიერად მუშაობდა, დიდძალი დოვლათი მოიწია, მაგრამ მჩაგვრელებმა ყველაფრის წართმევა მოუნდომეს — მღვდელმა და ბატონმა თავიანთი „წილი“ მოთხოვეს, მაგრამ გლეხი არ დამორჩილდა მათ. „ორთავეს ძალა ვუჩვენე, არ მივეც არაფერია“ — ამბობს გლეხი. მაშინ გლეხს ეგზეკუცია ჩაუყენეს, ყველაფერი გაუნიავეს, ააწიოკეს.. გლეხმა ვერ აიტანა შეურაცხყოფა და ცულით გაუპო თავი მტარვალებს, შემდეგ კი ტყეს შეაფარა თავი. „ერთგული მიწის მშრომელი გარდვიქეც კაცის მკვლელათა“ — სინანულით ამბობს გლეხი.

დ. ნინოწმინდელის ლექსში „ვერ შემირიგებ!“[138] გლეხი ანგარიშის გასწორებით ემუქრება მჩაგვრელს.

ისეთი სურათები, როცა ამბოხებული გლეხი ინდივიდუალურად კლავს ან სცემს ბატონს, ტყეში გარბის და ამ გზით ეძებს ხსნას, მაინცდამაინც დიდად პოპულარული არ არის გაზეთების ფურცლებზე. ლიტერატურულ ნაწარმოებებში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა გლეხთა შეერთებულ ბრძოლას, ერთმანეთის თანადგომას, ერთიან გამოსვლას; ხაზგასმულია, რომ გლეხებსა და მუშებს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ, სხვა მათი მშველელი არავინ არის. გრ. ცენტურაძე თავის ლექსში „გლეხი“[139] წერს: „არა! მუშამ თავის ბედი თვითონ უნდა გამონახოს... ჩვენვე უნდა გამოვეჭედოთ ცხოვ-

---

135 გაზ. „გლეხი“, 1906, № 1. მიხ. ზანდუკელი თავის წიგნში — შიო არაგვისპირველი (ცხოვრება შემოქმედება) — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966—101 გვერდზე მცდარად მიუთითებს, რომ ეს ნაწარმოები ავტორმა დაწერა 1909 წელს და დაიბეჭდა 13 მაისს.

136 გაზ. „მიწა“, 1907, № 7.

137 გაზ. „გლეხი“, 1906, № 7.

138 გაზ. „მიწა“, 1907, № 12.

139 გაზ. „გლეხი“, 1906, № 5.

რება და ჩვენი ბედი". ამ მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა არის ბრძოლის გზა, მხოლოდ ბრძოლით მოიპოვებს გლეხი მიწას და თავისუფლებას. ეს აზრი ნათელ ზოლად გასდევს გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებს.

ს. შანშიაშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში აფრთხილებს გლეხს — არ მოტყუვდე, არ გეგონოს, რომ თავისუფალი ხარ, არ დაიჯერო რასაც გპირდებიან, არ დაიჯერო რომ გაგათავისუფლებენო... ბრძოლით უნდა გაიკაფო გზა... „მაგრამ გწამდეს, არას გარგებს დაპირება პირწყლიანი; ბრძოლით უნდა გაიკაფოს გზა მრუდე და ეკლიანი"[140].

თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება ისმის დ. თომაშვილის[141], დ. დეკანოზიშვილის[142], ვ. რუხაძის[143] ლექსებშიც.

ბ. ახოსპირელის ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია: „მზათ იყავ, გლეხო, იმ დღისთვის, ... დაჰკა მტერს, დაჰკა, რომ ნახო შენც სხივი სიხარულისა!"[144].

ამრიგად, ბრძოლის თემა, მისი გარდაუვალობის საკითხი ფართოდაა წარმოდგენილი გაზეთების მხატვრულ ნაწარმოებებში. ამ ბრძოლაში უპირატესობა ენიჭება ერთბოლივ ბრძოლას, ერთობას[145].

სოციალიზმი — ერთობა გლეხის საოცნებო იდეალია. ვ. გუნია წერდა: „თვალი უკვე ამეხილა, არ შწამს „კერძო საკუთრება..." გაუმარჯოს „სოციალიზმს", ამაშია ხსნა და შვება!"[146]. მსგავსი აზრები ერთობის სიკეთეზე გამოთქმულია ირ. ევდოშვილის ლექსებშიც. „აჰა, ლამპარი დაჩაგრულთა თავისუფლების, სალამი შენდა, აწ ვიხილე მონამ სინათლე, ამიერიდან მე ვიბრძოლებ, რომ გავამეფო ძმობა, ერთობა და უმანკო წმინდა სიმართლე!"[147].

რევოლუცია დამარცხდა. ერთობამ ვერ გაუძლო რეაქციის შემოტევას და დათმო პოზიციები. ყველაფერი ეს კარგად არის ასახული შ. ნავთლუღელის ლექსში „გლეხის ბედი"[148]. მასში გამოთქმულია სინანული ერთობის მარცხის გამო, მაგრამ, ავტორის აზრით, გლეხს კიდევ არ დაუკარგავს იმედი, მასში არ გამქრალა რწმენა, რომ ერთობა ისევ მოვა და გაუსწორდება მჩაგვრელებს: „არ გამტეხია მით გული, არ დამიკარგავს კაცობა; ღმერთს ვფიცავ, იმედითა ვართ; კიდევ მოგვივა ერთობა!".

---

140 გაზ. „მიწა", 1907, № 9, ლექსი: „მიწის მუშა!".
141 იქვე, 1906, № 2, ლექსი: „მედგრად, ძმებო!".
142 იქვე, 1907, № 15, ლექსი: „აღსდეგ!".
143 იქვე, № 9, ლექსი: „ხსნა ბრძოლაშია".
144 გაზ. „გლეხი", 1906, № 7, ლექსი: „გლეხს".
145 გაზ. „მიწა", 1907, № 15, ა. ლომინაძის ლექსი: „გლეხის სიმღერა".
146 იქვე, № 9, ლექსი: „გლეხის სიმღერა".
147 იქვე, № 16, ლექსი: „გლეხი".
148 იქვე, № 10.

ერთობის დროშა თავისუფლების დროშაა, ერთობა ძალაა, რომელიც დალეწავს მონობის ჯაჭვს — ასე წარმოგვიდგენს ერთობას ბ. ახოსპირელი ლექსში „მებრძოლ გლეხებს“[149]. „აღმართე დროშა ერთობის, გზა გადაუხსენ სულს და გულს, დალეწე ჯაჭვი მონობის, რომ ჩვენც დავესწროთ ცაზაფხულს“.

ერთობის გამარჯვების იმედია გამოთქმული ს. შანშიაშვილის ლექსში: „მაისობა“[150]. „ვიცი, რომ მალე ჩვენ გავიმარჯვებთ და გავამეფებთ ქვეყნად ერთობას“.

ს. მგალობლიშვილის მოთხრობაში „ჯორ-ზაქარა[151] ასახულია 1905—1907 წლების რევოლუცია. ავტორი საქართველოს სოფელში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობას მშრომელი გლეხობის ინტერესების თვალსაზრისით უდგება. ავტორი მუქ ფერებში ხატავს მეფის მთავრობას, მის მოხელეებს, ხოლო თავისუფლებას, შრომას, ძმობას და ერთობას — ქება-დიდებას უძღვნის. ნაწარმოებში უხვადაა გაფანტული რევოლუციურ-დემოკრატიული აზრები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გ. შინატეხელი ორ ლექსში — „ამხანაგებს“[152] და „მაყრული“[153] — თითქმის სიტყვა-სიტყვით, სრულად გადმოგვცემს იმ შეხედულებას სოციალიზმზე, რომელსაც ავითარებდნენ გაზეთების მესვეურები და პუბლიცისტური წერილების ავტორები.

ლექსში „ამხანაგს“ გადმოცემულია აგრარულ საკითხზე გაზეთების მესვეურთა შეხედულების არსი; მიწა უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც მასზე მუშაობს.

გ. შინატეხელის მეორე ლექსი კი („მაყრული“) ეხმიანება გაზეთების მესვეურთა სოციალურ პროგრამას, ცხოვრების იმ მოდელს, რომელიც შექმნეს ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ხელმძღვანელებმა. „... ჩვენსა სამართალს მივანდობთ სოფლის არჩეულ კაცებსა... მიწა გახდება საერთო, ბატონს არ მივცემთ ღალებსა... რას დალვრემილხართ, ბიჭებო, გავიდეთ საბრძოლველათა“...

გლეხური დემოკრატიის ესა თუ ის საპროგრამო დებულება სხვადასხვა სახითაა მოცემული გაზეთებში გამოქვეყნებულ მხატვრულ ლიტერატურაში. მაგალითად, დ. მეგრელი გლეხური დემოკრატიის მოთხოვნებს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მიწა და თავისუფლება!“

---

149 გაზ. „მიწა“, 1907, № 8.
150 იქვე, № 17.
151 იქვე, № 8—16, № 19; 1908, № 2.
152 იქვე, 1906, № 4.
153 იქვე, № 14.

სხვა გზა არ არის დღეს ჩვენთვის; ყოველი ჩვენი სურვილი მხოლოდ ამ ნატვრას შეერთვის!"[154].

გაზეთებში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებში სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხიც ფართოდაა ასახული. სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობის შეფასებაში ირ. ევდოშვილი სწორ პოზიციაზე იდგა. ამ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები რეგულარულად ქვეყნდებოდა რევოლუციის პერიოდის პრესის ფურცლებზე. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ სახის მასალას აქვეყნებს ირ. ევდოშვილი გაზეთების „გლეხისა" და „მიწის" ფურცლებზეც. პოეტი უნდობლობას უცხადებს I და II სახელმწიფო სათათბიროს. იგი გლეხს ათქმევინებს: „ის რაღაც „დუმა" რომ არი, ნეტა თუ გამოგვადგება?!... არა ძმავ ეგ თქვენი „დუმა" უფალმაც გაატიალა"[155], „შარშანაც იყო ის „დუმა", წელს უარესი იქნება, გავგზავნით, გამოგვიყრიან, აურ-ზაური იქნება!"[156]. პოეტის აზრით, მხოლოდ ბრძოლის გზა რჩება გლეხებისათვის გამარჯვების მოსაპოვებლად.

ქართულ ლიტერატურაში რევოლუციური პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ირ. ევდოშვილის პატარა მოთხრობა „წერილი ქალაქიდამ"[157]. მწერალს აქაც ისევ მშრომელი ხალხის, ღარიბი გლეხობისა და მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლა ამოძრავებს. ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია სოციალური და პოლიტიკური სიმახვილე, რაც მოცემულია არსებულ საზოგადოებრივ წყობილებაში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების ფონზე.

ი. ევდოშვილის ლექსი „გმირების სიმღერა"[158] რეაქციის მძვინვარების პირველ წლებში საბრძოლო ყიჟინად გაისმა: „დღეს სიცოცხლე სიკვდილს ებრძვის და ნათელი ბნელს ღამესა; ვინც ძმა არი დაჩაგრულის, მას ჩვენც ძმურათ მოვხვევთ ხელსა!... უკანასკნელს სიცოცხლის წუთს დავლევთ ხალხის სიყვარულში!".

გლეხი იბრძვის, გლეხი თავს სწირავს, გლეხი ეტრფის მომავალს. მას აქვს მომავლის იმედი. ეს გამარჯვება მას სჭირდება იმისათვის, რომ თავისუფალი შრომა დაიმკვიდროს. „დავამსხვრევთ უკანასკნე-

---

154 გაზ. „მიწა", 1907, № 1, ლექსი: „დროა".

155 გაზ. „გლეხი", 1906, № 2, ლექსი: „ფიქრები".

156 გაზ. „მიწა", 1907, № 1, მოთხრობა: „ახალი წელი". (ეს მოთხრობა მასში ჩართული ლექსებით პირველი პუბლიკაციის შემდეგ არ დაბეჭდილა და თითქმის უცნობია). იხ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 153.
დიონ ევდოშვილი, თბ., 1956, გვ. 126.

157 ი ქ ვ ე, 1906, № 5 (მოთხრობა შემდეგ აღარ დაბეჭდილა და თითქმის უცნობია), იხ. შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

158 გაზ. „მიწა", 1907, № 4.

ლათ მტარვალის ბორკილს, ხუნდებსა, თოფის გრიალის შემდეგა დავეკონებით გუთნებსა!"[159].

ირ. ევდოშვილი ლექსში: „ბრძოლის სიმღერა" გამოთქვამს განახლებული ქვეყნის პატივისცემას თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირებისადმი: „იძინეთ, გმირნო, თავშეწირულნო მედგარს ბრძოლაში სამშობლოსათვის! თქვენს საფლავებზე ის დღესასწაულს განახლებული მალე გადიხდის! აიმართება მაღლა დროშები, იფეთქებს გრძნობა და სიყვარული, დაივიწყებენ ძველსა იარებს, დადგება შვება და გაზაფხული![160].

1906 წლის თებერვალში შავრაზმელებმა მოკლეს რევოლუციონერი ვასილ ალშიბაია. გაზეთი „მიწა" ბეჭდავს დაღუპული გმირისადმი მიძღვნილ ლექსს, რომელიც ეკუთვნის პ. აკობიას. მასში ვკითხულობთ: „მოკლეს გმირი და მისი სისხლი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ უმსხვერპლოთ ქვეყნის ჩარხი წალმა აღარ მობრუნდება, რომ ჩაგრული ხალხის დახსნა მხოლოთ ბრძოლით შეიძლება, რომ გმირული თავ-განწირვით, იპოვების გამარჯვება"[161].

დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა აღფრთოვანებით შეხვდა 1905 წლის რევოლუციას. მან არაერთი ნაწარმოები უძღვნა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას. მგოსანი ეხმიანება იმდროინდელი რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის სხვა წარმომადგენელთა მებრძოლ მხატვრულ სიტყვას. ვაჟას რევოლუციის პერიოდის ნაწერები ხელს უწყობდა ხალხის რევოლუციურ ბრძოლას. თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა სადიდებლად მომართა თავისი ჩანგი ვაჟა-ფშაველამ ლექსში „სიმღერა"[162], რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „მიწაში". „ვადიდე გმირთა სახელი, მკლავი და სულით დიდობა, დავძრახე ქვეყნის ორგული და შეურაცვყავ ფლიდობა"...

აქვე უნდა აღინიშნოს გაზეთ „მიწაში" „ტუსაღის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების შესახებ. ესენია: „ტუსაღის სიმღერა"[163], „გადასახლება"[164] და პოემა „შურისძიება"[165]. „ტუსაღის" ფსევდონიმით იმ ხანებში ლექსებს წერდა ცნობილი მუშა-რევოლუციონერი, ბოლშევიკი მიხეილ ბოჭორიძე[166]. მ. ბოჭორიძის თანამშრომლობა საგლეხო გაზეთების მესვეურებთან, ძალზე

159 გაზ. „მიწა", 1907, № 8, ირ. ევდოშვილის ლექსი: „გლეხური".

160 იქვე, № 17, ს. შანშიაშვილის ლექსი: „მაისობა",

161 იქვე, № 11, ლექსი: „ვასილ ალშიბაია".

162 იქვე, 1907, № 18.

163 იქვე, 1906, № 2.

164 იქვე, № 4.

165 იქვე, № 8—9.

166 იხ. შ. გოზალიშვილი, ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის, I, 1963, გვ. 20—25.

საგულისხმო ფაქტია. აღნიშნული პერიოდის სოციალურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთებში არაერთი ისეთი ავტორის ნაწარმოებები იბეჭდებოდა, რომლებიც გაზეთებში „გლეხსა“ და „მიწაშიც“ თანამშრომლობდნენ. ასეთები იყვნენ: ირ. ევდოშვილი, დ. თომაშვილი, ვ. რუხაძე, ი. ეკალაძე, დ. ქარცივაძე, ნ. ზომლეთელი და სხვ.

ასეთია მოკლედ გაზეთებში გამოქვეყნებულ მხატვრულ ლიტერატურაში ასახული ის პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქართველი გლეხის ცხოვრებაში 1905—1907 წლებში. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იდეები, რომლებიც გვხვდება გაზეთების მხატვრულ ნაწარმოებებში, სავსებით ეხმაურებიან გაზეთების იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას და მხატვრული სახეებით აცხადებს და ამდიდრებს გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ რევოლუციურ-დემოკრატიულ მრწამსს.

დასკვნა

გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მასალების განხილვამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდის ქართული გლეხური დემოკრატიის პრესის ორგანოებთან, რომლებიც თავიანთი იდეური მიმართულებით, რევოლუციური სულისკვეთების დემოკრატიულ და პროგრესულ ორგანოებს წარმოადგენდნენ.

გაზეთები იწოდებოდნენ საგლეხო (სახალხო) გაზეთებად და სრულყოფილად გამოხატავდნენ ქართველი მშრომელი ხალხის, მშრომელი გლეხობის ფართო ფენების ინტერესებსა და მისწრაფებებს. მშრომელი გლეხობა კი ყოველთვის ბევრად უფრო გაბედული და რევოლუციური იყო, ვიდრე ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. გაზეთი „გლეხი“ სწორედ რევოლუციური სულისკვეთებისა და მიმართულებ-ს გამო დახურა ხელისუფლებამ და მისი ოფიციალური რედაქტორი პასუხისგებაში მისცა. გაზეთი „მიწა“ კი — რეაქციის დაწყებისთანავე წყვეტს არსებობას.

მძიმე საცენზურო რეჟიმის პირობებშიც კი გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული წერილები და კორესპონდენციები, რომლებშიც კრიტიკის ქარცეცხლში იყო გატარებული გლეხთა დაბეჩავებული მდგომარეობა და მათი ულაზღვრო ჩაგვრა, მეფის მოხელეთა თვითნებობა და სახელმწიფოში შემავალი მცირე ერების ეროვნული დისკრიმინაციის პოლიტიკა.

გაზეთების ფურცლებზე ყველაზე დიდი ადგილი დაეთმო აგრარულ-გლეხურ საკითხს, რევოლუციური გლეხობის ინტერესების დაცვას. გაზეთები აგრარულ საკითხში იცავდნენ მიწის სოციალიზაციის იდეას, რომლის მიხედვითაც მიწაზე ყოველგვარი საკუთრება უნდა გაუქმებულიყო, მიწა უნდა გადასულიყო საზოგადოებრივ კუთვნილებაში; მშრომელ გლეხობას სარგებლობაში უნდა მიეღო იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებასაც საკუთარი ძალებით შეძლებდა. ამასთანავე, გაზეთები მოითხოვდნენ საწარმოო იარაღების განსაზოგადოებასაც, როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში.

მიწის სოციალიზაცია სოციალისტურ იდეად ცხადდებოდა, მაგრამ მასში არაფერი იყო სოციალისტური, ვინაიდან თუ გლეხი ფლობ-

და წარმოების საშუალებებს, ეს ისტორიულადაც და ლოგიკურადაც წარმოქმნიდა კაპიტალისტურ წარმოებას და არა სოციალიზმს. მიწის სოციალიზაციის განხორციელება განამტკიცებდა წვრილ, გლეხურ მეურნეობას, წვრილბურჟუაზიულ სექტორს სახალხო მეურნეობაში.

ამავე დროს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობებში ეს პროგრამა პროგრესული იყო, ვინაიდან, მიზნად ისახავდა ფეოდალიზმის ერთ-ერთი დიდი გადმონაშთის — მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობას.

გაზეთები აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატიის აგრარულ პროგრამას, მაგრამ ეს იყო არსებითად აგრარული საკითხის მენშევიკური პროგრამის — მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამის კრიტიკა. რევოლუციაში აგრარული საკითხის გადაწყვეტის ბოლშევიკურ პროგრამას იგი ნაწილობრივ ეხებოდა. ამასთან, აგრარული საკითხის გადაწყვეტისას მეცლავნდებოდა გაზეთების მესვეურთა მცდარი წარმოდგენა კლასის განმსაზღვრელ ნიშნებზე. პირველ ასეთ ნიშნად მათ მიაჩნდათ დამოკიდებულება შრომასთან და არა დამოკიდებულება წარმოების საშუალებებთან. ამიტომ, ისინი ვერ ხედავდნენ არსებით განსხვავებას გლეხობასა და მუშათა კლასს შორის. გაზეთები ორივე კლასს მიიჩნევდნენ ერთიან, მშომელ კლასად და ვერ ამჩნევდნენ, რომ გლეხობა იყო წვრილი მესაკუთრე, წვრილბურჟუაზიული კლასი და მიწის სოციალიზაციის მოთხოვნით ისინი არსებითად მხარს უჭერდნენ წვრლბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას.

სოციალიზმის რაობაზე გაზეთების მესვეურებს ჰქონდათ უტოპიური, წვრილბურჟუაზიული შეხედულებები. მათი იდეები, სოციალიზმის მათი მოდელი არამეცნიერული იყო. ეს იყო გლეხური სოციალიზმის იდეა.

გაზეთების მესვეურებს არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ სოციალიზმისათვის ბრძოლის გზებზე და მეთოდებზე. მათი აზრით, მთავარი იყო გლეხთა მასების განათლება, მათი შეკავშირება, ერთობლივი შეირაღებული გამოსვლა ქალაქის მუშებთან ერთად, გლეხური რევოლუცია.

სოციალური საკითხების გარდა, გაზეთები ეროვნულ საკითხსაც წვრილბურჟუაზიული, გლეხური დემოკრატიის პოზიციებიდან წყვეტდნენ. ისინი მოითხოვდნენ ეროვნულ თვითმმართველობას რუსეთის დემოკრატიული (ფედერაციული) სახელმწიფოს ფარგლებში. მათთვის ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა, ფართო პოლიტიკური ავტონომია მისაღები იყო ბურჟუაზიული რუსეთის პირობებში.

გაზეთების მესვეურები გადაჭრით გამოდიოდნენ მენშევიკი სოციალ-დემოკრატების კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეის წინააღმდეგ, რაც გაზეთების ხელმძღვანელთა პოზიციას ეროვნულ საკითხში დადებით მნიშვნელობას ანიჭებს,რადგან ფართო პოლიტიკურ თვითმმართველობას უპირატესობა გააჩნდა მენშევიკების ეროვნულ პლატფორმასთან შედარებით.

სწორი პოზიცია ეკავათ გაზეთების მესვეურებს სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხში. ისინი მთლიანად ეთანხმებოდნენ და მხარს უჭერდნენ სათათბიროს მშრომელთა ჯგუფს, „ტრუდოვიკებს" და სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობაში დადებით მხარეს ხედავდნენ. ამასთან, ისინი არ თვლიდნენ, რომ სათათბიროს შეძლებდა აგრარული საკითხის გადაჭრას გლეხთა ინტერესების შესაბამისად და ირწმუნებოდნენ, რომ მშრომელ გლეხობას არ უნდა ჰქონოდა სათათბიროს იმედი, გლეხობას მხოლოდ თავისი რევოლუციური ბრძოლის იმედი უნდა ჰქონოდა.

1905—1907 წლების რევოლუციის თემატიკას განსაკუთრებული ადგილი უკავია გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებში. თანადროული ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შემოქმედებამ ნათლად წარმოაჩინა და გაამდიდრა გაზეთების რევოლუციური სულისკვეთება, ქართული რევოლუციური დემოკრატიის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების ავტორებად გვევლინებიან არა მარტო საერთოდემოკრატიული მიმართულების ეროვნული მწერლები, არამედ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში მოღვაწე პირებიც.

გაზეთების ფურცლებზე წარმოდგენილი მხატვრული ლიტერატურა ძირითადად შემოფარგლულია გლეხობის მძიმე ცხოვრების ამსახველი სურათებით. მიმზიდველ ფერებშია დახატული გლეხობის გამოფხიზლება და მისი რევოლუციური ბრძოლა. მხატვრულ ნაწარმოებებში მკაფიოდაა დახატული შეკავშირებული მებრძოლი გლეხობა, ხოლო გლეხობის ბრძოლა დაკავშირებულია პროლეტარიატის ბრძოლასთან. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი რევოლუციური იდეები სავსებით შეესაბამებიან გაზეთების იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას, მხატვრული სახეებით აცოცხლებენ და ამდიდრებენ საგლეხო გაზეთების რევოლუციურ-დემოკრატიულ სულისკვეთებას.

ამრიგად, აგრარული პროგრამის, დემოკრატიულ თავისუფლებათა მოთხოვნის საკითხის, სოციალიზმის წვრილბურჟუაზიული მოდელის, ეროვნული საკითხის თავისებური გადაწყვეტის, მხატვრული ნაწარმოებების იდეური და სხვა საკითხების განხილვის მიხედვით, გაზეთების

იდეურ-პოლიტიკური მიმართულება შეიძლება შეფასდეს როგორც გლეხური დემოკრატიის, ანუ წვრილბურჟუაზიული რევოლუციური დემოკრატიის მიმართულებად. მისი ისტორიული შეფასებისათვის ვითვალისწინებთ კონკრეტულად ამ გაზეთების გამოცემის დროსა და პირობებს. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში აღნიშნული მიმართულება რევოლუციური და პროგრესული იყო, ვინაიდან, ის მიმართული იყო თვითმპყრობელობისა და ფეოდალიზმის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ და რევოლუციური გზით მათი ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნებისათვის.

სწორედ ამაშია გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ და, საერთოდ, ქართული გლეხური დემოკრატიის დადებითი ისტორიული მნიშვნელობა. გაზეთებს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

ГРУЗИНСКАЯ ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ МЫСЛЬ В ПЕРИОД ПЕРВОЙ РУССКОЙ БУРЖУАЗНО-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ [ГАЗЕТЫ «ГЛЕХИ» («КРЕСТЬЯНИН») И «МИЦА» («ЗЕМЛЯ»)]

Резюме

Работа посвящена актуальной, но мало разработанной в грузинской историографии проблеме — роли левого направления партии грузинских социалистов-федералистов в решении аграрно-крестьянского и национального вопроса в период Первой русской буржуазно-демократической революции.

На современном этапе развития демократизации нашей страны, когда в условиях перестройки возникла острая социальная потребность в обществоведческих исследованиях, возрос интерес ученых к богатым традициям борьбы за демократию.

В начале XX в. Грузия, как и Россия, характеризовалась значительными пережитками феодализма, где, естественно, борьба за демократические преобразования находилась в тесной связи с революционной борьбой за социализм. В этом аспекте немалый интерес вызывает демократическая пресса Грузии в первом десятилетии XX в., в частности, газеты «Глехи» («Крестьянин») и «Мица» («Земля»), выходящие в 1906—1907 гг. Они отражали интересы и чаяния самых широких слоев трудового крестьянства, выступающего в качестве союзника революционного пролетариата. Их издатели и руководители, С. Пирцхалава, М. Джавахишвили, Д. Нахуцришвили и др., принадлежали к партии грузинских социалистов-федералистов, но сильно отклонились влево от магистральной линии социал-федерализма и в сущности выражали идеологию крестьянской демократии.

Руководители вышеназванных органов не признавали истинное значение пролетарского революционного движения и остались на позициях крестьянского демократизма.

Об идейном направлении этих газет нет специальных исследований. В свое время в грузинской исторической литера-

туре, к сожалению, выявилась тенденция недооценки, а то и полного игнорирования роли «общей демократии» и непролетарских демократических направлений. Это привело к упрощению и недооценке сложного исторического процесса в целом. 1985 г. является началом нового этапа в развитии грузинской исторической науки, в преодолении догматизма, субъективизма и волюнтаризма в историческом исследовании.

Из грузинских авторов к освещению этой проблемы впервые обратились С. Хундадзе, Гр. Георгадзе и Ф. Махарадзе, а в последующие годы Г. Хачапуридзе, А. Киквидзе, Л. Торгиладзе, Ю. Качарава, И. Мирцхулава, Л. Эбанюидзе, Гр. Жвания, У. Сидамонидзе, В. Гагоидзе, А. Муджири, М. Гаприндашвили, Г. Джангвеладзе, А. Сургуладзе, А. Бендианишвили, Д. Швелидзе и др.

Основной источниковедческой базой работы являются первичные архивные материалы, очерки, статьи и художественные произведения, публиковавшиеся на страницах газет «Глехи» и «Мица», другие демократические газеты социал-федералистического направления, материалы социал-демократической прессы, а также органов других непролетарских направлений. В работе использованы труды лидеров грузинских социалистов-федералистов: А. Джорджадзе, Г. Ласхишвили, С. Пирцхалава и др.

В первой главе после характеристики эпохи, освещается история основания газет и даны биографические сведения об их основателях и авторах.

Во второй главе анализируются взгляды руководителей газет на крестьянскую реформу 1861 года, а также на решения крестьянского вопроса в период Первой русской буржуазно-демократической революции. Газеты поддерживали программу социализации земли, которая, как известно, на буржуазно-демократическом этапе революционной борьбы являлась прогрессивной программой.

На страницах газет «Глехи» и «Мица» освещены противоположные взгляды по аграрной программе социалистов-федералистов и социал-демократов.

Руководители газет, естественно, поддерживали аграрную программу грузинских социалистов-федералистов и критиковали социал-демократическую программу, не различая противоположные взгляды в решении аграрной программы внутри этой партии. Социалисты-федералисты в сущности критиковали меньшевистскую аграрную программу муниципализации земли.

В третьей главе анализируется социал-федералистическая программа борьбы за социализм. Анализ материала, опубликованного на страницах газет «Глехи» и «Мица», показывает, что руководители газет проповедывали мелкобуржуазные, в основном, революционно-демократические идеи будущего строя государства. Иначе, эта программа, разработанная представителями крестьянской демократии, предусматривала такую модель социализма, в которой основное место отводилось удовлетворению требований крестьянских масс.

В работе рассмотрены взгляды газет «Глехи» и «Мица» на решение национального вопроса как в Грузии, так и во всей России. Национальные требования газет выражались в следующем: демократизация государственного строя, местное самоуправление, учет национальных особенностей в государственном законодательстве, право образования на родном языке и пользования им в государственных учреждениях.

Газеты «Глехи» и «Мица» уделяли большое внимание вопросу о Государственной думе, а также широко освещали общественно-политические идеи в опубликованных художественных произведениях.

В конце работы изложены краткие выводы исследования.

შინაარსი

შესავალი I I 8

თავი I. დემოკრატიული პრესის ორგანოები — „გლეხი“ და „მიწა“ 23

1. ეპოქის დახასიათება 23
2. გაზეთების ისტორია . 31
3. გაზეთების ავტორები და თანამშრომლები 49

თავი II. აგრარული საკითხი გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე 66

1. 1861 წლის საგლეხო რეფორმის შეფასება 67
2. აგრარული საკითხის გადაწყვეტის წვრილბურჟუაზიული კონცეფცია 72
3. კამათი აგრარული საკითხის ირგვლივ 83

თავი III. სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხები გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე 89

1. სოციალიზმის წვრილბურჟუაზიული მოდელი . 89
2. თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის გზები და საშუალებები . 96
3. ეროვნული ავტონომიის საკითხი. . 104
4. სახელმწიფო სათათბირო და გაზეთების პოზიცია . . . 115
5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების ასახვა გაზეთებში („გლეხი“ და „მიწა“) გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებში 123

დასკვნა . 134

Грузинская демократическая мысль в период Первой русской буржуазно-демократической революции [газеты „Глехи“ („Крестянин“) и „Мица“ („Земля“)]. Резюме. 138

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4069

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. ჯიქია

გადაეცა წარმოებას 22.06.1990; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.01.1991;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობით საბეჭდი თაბახი 9.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.0;
ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1685;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Нацвлишвили Арчил Вахтангович

ГРУЗИНСКАЯ ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ МЫСЛЬ В ПЕРИОД ПЕРВОЙ РУССКОЙ БУРЖУАЗНО-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

[газеты «Глехи» («Крестьянин») и «Мица» («Земля»)]

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1990

არჩილ ვახტანგის ძე ნაცვლიშვილი

ქართული დემოკრატიული აზრი რუსეთის პირველი გურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში

(გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მიხედვით)

„მეცნიერება“
თბილისი
1990